გრიგოლ რობაქიძე

ლენინი
სტალინი
ჰიტლერი
მუსოლინი

ლენინი
სტალინი
ჰიტლერი
მუსოლინი

ამწერალი ემოციური არსებაა, მასზე ღრმად ზემოქმედებენ ძლიერი ადამიანები. როგორც სრულიად უცნობი ლამაზი ქალი აავორიაქებს მწერლის სულს და უმშვენიერეს ლექსებს დააწერინებს, ასევე აწვევს ძლიერი პიროვნება შემოქმედის აღგზნებას. უჩენს სურვილს ლოტბის შესხმის.

გრიგოლ რობაქიძეც აჰყვა ცდუნებას, როცა „ჰიტლერი“ და „მუსოლინი“ დაწერა. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ღირსეული თუ ულირსი ადამიანებით წარსულშიაც ხშირად აღტაცებულა მწერლობა. დღესაც ხდება ეს და მომავალშიც მოხდება. დამაფიქრებელი სხვა რამ არის. გრიგოლ რობაქიძემ იშვიათი შორსმჭვრეტელობით დაინახა ბოლშევიზმის არსი. ამოხსნა მისი მოქმედების მექანიზმი. საგრამ ვერ მოახერხა ასეთივე ძალით ჩასწვდომოდა ფაშიზმსა და ნაციზმს. ეს მისდამი კეთილად განწყობილ ადამიანებს აკვირვებდა. ახსნას უძებნიდნენ. მაგალითად, ნიკოლაუს ზომბარტი ფიქრობდა, რომ ჰიტლერში გრიგოლ რობაქიძე რუსი ბოლშევიკ-კომუნისტებისან დამონებული საქართველოს ჰიპოთეტურ გამანთავისუფლებელს ელოდა და ამან გამოიწვია ავადსახსენებელი ესეის დაწერა. ალბათ ეს აზრი სიმართლის გარკვეულ დოზას შეიცავდეს. მაგრამ არის კიდევ რაღაც სხვა „ჰიტლერისა“ და „მუსოლინის“ დაწერის საფუძველი, რომლის გასაღებს თავად იძლევა...

ლენინშიც, სტალინშიც, ჰიტლერშიც, მუსოლინიშიც მას იპყრობდა პიროვნება უშუალოდ, მის შუაგულში აღებული. ამ კუთხით ისინი სრულიად მეტად საინტერესონი არიან. ამიტომ ოთხივეს მიმართ ამოხატა გრიგოლ რობაქიძემ თავისი დამოკიდებულება.

აკაკი ბაქრაძე

ბ ტ ა ნ უ ბ ი
SBN 978-9941-445-45-3
789941445453

ლენინი

სტალინი

ჰიტლერი

მუსოლინი

საგამომცემლო პროექტი
უცნობი გრიგოლ რობაქიძე

პროექტის ავტორი **ზვიად კვარაცხელია**

უკვე გამოიცა:



რედაქტორი
ნატო გორდელაძე

დამკაბადონებელი
ვიოლა ტულუში

დიზაინერი
თეონა ჭანიშვილი

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია

ISBN 978-9941-445-45-3
© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2015

საავტორო ქონებრივი უფლება დაცულია

გრიგოლ რობაქიძე

ლენინი
სტალინი
ჰიტლერი
მუსოლინი

სარჩევი



ᲒᲐ.

07 ᲚᲔᲜᲘᲜᲘ
13 ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ
51 ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘ
99 ᲛᲣᲡᲝᲚᲘᲜᲘ

ლენინი

ლენინი

გრიგოლ რობაქიძე

პირველად გამოქვეყნდა გაზეთში „ქართული სიტყვა“,
1924 წ. №11.

როცკი სწერდა: „მარქსს რომ არ მოეხდინა არც ერთი რევოლუციური აქტი და დაეტოვებია შთამომავლობისათვის მარტო „კაპიტალი“, მაინც მარქსი იქნებოდა: დიდი ისტორიული პიროვნება. ლენინს რომ არ დაეწერა არც ერთი სტრიქონი და დაეტოვებია კაცობრიობისათვის მარტო რევოლიუციური მოქმედება, მაინც ლენინი იქნებოდა: დიდი ისტორიული პიროვნება“.

ამ სიტყვებში ნამდვილი გაგებაა. მარქსი მოაზრე და ლენინი მოქმედი. ორივე დიდი ეკვივალენტობით. სინამდვილეში კი მარქსიც მოქმედებდა და ლენინიც სწერდა. მართალია: მარქსის ნაწერი უფრო დიდია, ვიდრე მისი მოქმედება, ხოლო ასეთი პროპორციით ვერ ვიტყვით, თითქო ლენინის ნაწერი უფრო ნაკლები იყოს, ვიდრე მისი მოქმედება. უფრო მართებული იქნება ვსთქვათ, რომ ლენინის „მწერლობა“ იგივე მოქმედებაა.

აქ არის ლენინის საოცრება, როგორც ისტორიული მოვლენის. ასეთი მთლიანი პიროვნება ბოლო ხანებში არ იცის. ევროპის ეპოქალური ტიპი ჰამლეტია. ჰამლეტობა ევროპაში თითქმის ყველა ისტორიულ პიროვნებას ახასიათებს. ლენინი ამ მხრით პირველია ევროპის ერაში, საიდანაც იწყება სრულიად ახალი ტეხილი: ჰამლეტის ანტიპოდი პიროვნება, როგორც განუკვეთელი ალი.

ლენინის ფენომენზე ტომები დაიწერება. საოცარია მასში: იდეალი ინტერნაციონალური და ბუნება ნაციონალური, ორივე ნაკადულის შესხეულებით. ხშირად მას

პეტრე დიდს ადარებენ. ამ შედარებაში მართალია ორივეს „რუსობა“, მაგრამ გადალახვით ლენინი ბევრათ უფრო დიდია.

ლენინში მოცემულია მთელი რუსეთის „საშო“, აქ არის რუსეთის ველი, რომლის უკიდურობა სივრცის შიშს ჰბადებს. აქ არის გიჟური მოხედვა მღვრიე ქაოსის, რომლის თვალებში დოსტოევსკიმ ჩაიხედა. აქ არის ქვეყნის დაშლა, რომლის გუგუნი ქვესკნელში ტიუტჩევმა გაიგონა. აქ არის ნგრევის რიტმების აგორება, რომელსაც თან გადაჰყვა სკრიაბინი. აქ არის სლავური შეტევა სამყაროს მიმართ.

მაგრამ ლენინს კიდევ სხვა რამ ახასიათებს. რუსეთის „საშო“ რბილია და უნებო, ლენინი სასტიკია და ნებიანი. ლენინი ნებაა თვითონ, როგორც ხალიბის რკინა. მასში უთუოდ არის რასიული გაქანება მონგრეული მონღოლეთის. მონღოლი ჯერ კიდევ გამოუცნობია. აქ საკმარისია მხოლოდ იმის თქმა, რომ რაინდული გავარდნა მონღოლისა კეთილშობილურია თავის სისასტიკეში. სლავების უცნაურ არეში, როცა სული მარტო კატასტროფას ელის, ასეთი გავარდნა ფენომენალურ ფაქტად უნდა მოვლენილიყო. ეს ფაქტი ლენინია თვითონ. სწორედ აქ არის იგი მეტი პეტრე დიდზე. ლენინის გადალახვამ არ იცის საზღვარი.

ლენინის ნებისყოფას და ნაპოლეონის ნებისყოფას ადარებენ, მაგრამ, ერთი პოეტის სიტყვით, ნაპოლეონის ნება იყო ქოლერიული, ჭკუა კი – მელანქოლიური. ლენინის ქოლერიულ ნებას კი კიდევ უფრო ახელებს ქოლერიული ჭკუა. ამისათვისაა ლენინი მარტო ცეცხლი და მარტო წვა. ახალს ისტორიში ასეთი ცეცხლი მგონი არავის არ ჰქონია. აქ არის სიცხე ჰანნიბალის და რისხვა თიმურის.

ნების პრიმატი! ეს ხაზი ტროცკის სიტყვებიდანაც სჩანს. მაგრამ ეს პრიმატობა არ უნდა იყოს ინტელექტის პირისპირ. აქ არის ლენინის ფენომენალობა. რასაკვირველია, შესაძლოა – სხვას ოთხი უნივერსიტეტი ჰქონდეს გათავებული და ცამეტი ფაკულტეტი, შესაძლოა – ათასი სხვადასხვა პრობლემა წამოეყენებიოს და გასაოცარი ორიგინალობითაც გადაეჭრას. ასეთ ინტელექტზე აქ არ მაქვს ლაპარაკი. მე მაქვს სახეში ინტელექტი, რომელიც „ფატუმშია“ მოცემული. „ფატუმი“ ანტიური გაგებით. ლენინში უთუოდ არის „ბედი“ თუ გინდ იმ გაგებით, რომელიც ბოლო ხანებში ოსვალდ შპენგლერმა წამოაყენა. აქედან მომდინარეობს ლენინის დიდი ინსტინქტი: ყოველის წამსავე გაგება, ტომებისა და ტრაქტატების გარეშე. აქედან გამოდის მისი სწორი და უტყუარი თვალი გაზომვაში. აქედანვე – მისი რევოლუციური მიმართება და ტაქტი.

ლენინი ყველაზე დიდი რევოლუციონერია. ამ მხრით მან არ იცის ტოლი. ნუ შეგვეშინდება გაბედული თქმის. ევროპაში რევოლუცია უფრო მატერიალურ სიკეთეთა „გადალაგებაა“, რუსეთში რევოლიუცია სამყაროს პრობლემადაა გადაქცეული. ყოველ შემთხვევაში: პათოსით და რომანტიკით. ეს პათოსი და რომანტიკა შექმნა ლენინმა. „რომანტიკა“ არა როგორც სისხლნაკლულობა და „ოცნებობა“: რასაკვირველია. კიდევ მეტი: ლენინის სახით მოცემულია ახალი რასსა რევოლუციონერის. აქ ნება და ინტელექტი ერთი და იგივეა.

ცხადია აქედან: რომ „მარქსიზმთან“ ერთად „ლენინიზმი“ შეიქმნა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ „ლენინიზმი“ ახალი სწავლაა „მარქსიზმთან“ შედარებით. ამაზე ალბად ტომებს დასწერენ.

ლენინი ბედია და მაშასადამე გაბედული. ასეთი „გაბედვა“ სამყაროს მხრით არ ჰქონია არავის. ასეთი რისხვა არ მოვლენია ჯერ კაპიტალისტურ სისტემას. თვითონ სახელი მისი „ულიანოვ-ლენინ“ მოდის ისე, როგორც ურაგანი. ლენინში არ არის ის, რაც გულგრილობას იწვევს. ის მოცემულია, როგორც ძელქვის კორძი, უტეხი და უკვეთელი. ის სასტიკია, როგორც მოქნეული ხმალი. მაგრამ „სასტიკია ყოველი შემოქმედი“ (ნიცშე). „პირადული“ წარეცხილია თითქო მასში. მასში მოსჩანს „უპიროვნო“ სახე თვითონ ისტორიისა, ამისთვის არის იგი საოცარი და საშიშარი. ასეთია „ფატუმი“ თვითონ. ამაშია მისი ძლევა.

სიტყვის გაგრძელება შეიძლება. მაგრამ საჭირო არაა... ვისაც განუცდია, თუ რა არის მონობა-ჩაგვრა-სიმშილი-დაბეჩავება-წამება: მას არ შეუძლია არ მიიღოს რევოლუცია; ვისაც განუცდია, თუ რა არის: თავისუფლება-მონობის მოსპობა-ადამიანის ღირსების აღდგენა-ქვეყნის გადახალისება-ერთა თვითდამყარება: მას არ შეუძლია არ ახსენოს სახელი ლენინის, განურჩევლად პარტიული დაყოფის და პროგრამებისა.

... ...

როცა რადიომ ლენინის სიკვდილი მსოფლიოს აცნობა, ალბად ჰაერში მისი ტალღა სხვანაირად დაიკლაკნა. მე არა მგონია არსებობდეს ისეთი ადამიანი, რომელიც ლენინის სიკვდილით არ შერხეულიყოს.



სტალინი, ვითარცა არიმანული ძალმოსილება

გრიგოლ რობაქიძე

გერმანულიდან თარგმნა
მანანა კვატაიამ

შესულია წერილებისა და ესეების წიგნში „დემონი და მითოსი“
(პირველად გამოიცა გერმანულ ენაზე
დიდერიხის გამომცემლობაში 1935 წელს)

ლენინმა სტალინს „ლეგენდარული ქართველის“ სახელი ამოატვიფრა. სტალინში ლეგენდარული ჭარბადაა, ქართული კი ოდენ მწირად. საქართველოში სტალინის ხასიათის თავისებურებებს მისი წარმომავლობით ხსნიან: მამამისი წარმოშობით ოსი იყო. შესაძლებელია, რომ აქ საქმე სხვა ფენომენთან გვქონდეს. ყოველი ხალხი თავის წიაღში უცხოსაც, თვით საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ მიმართულსაც კი ჰბადებს. ეს ბიოლოგიური საიდუმლო უნდა იყოს: ალბათ ხალხს უნდა შეეძლოს, უცხო შობოს, რათა სხვა-რასისეული სძლიოს. სტალინი ქართველია მხოლოდ იმ გაგებით, რამდენადაც ის ქართველის საწინააღმდეგო პოლუსია.

გაქვავებული თავი პრეისტორიული ხვლიკისა: ასეთი სახელდება მას მისმა ოდინდელმა თანამოსაგრემ მისცა. თავად ის ალბათ ვერც ხვდებოდა, თუ საგნის არსს რამდენად მოახვედრა. ვიწრო, უკანგადაქანებული, მცირედ განვითარებული შუბლი. ალბათ, უპირატესობა მოქმედების ადამიანისათვის, მთლად განსაკუთრებულად მაშინ, თუ მას ულევი ზურგის ტვინი აქვს. სტალინის აზრისმიერი ხერხემალიც ძლიერია. მას რეპტილიის მგრძნობელობა აქვს. ბავშვობაში ყვავილი ჰქონია და ძლივს შესამჩნევი ნაჭდევები თავის ქალის პრეისტორიულობას უსვამს

ხაზს – ისევე, როგორც ჭორფლი, რომელიც მისი სახის ელფერს ციცარს ამსგავსებს. ულვაშებქვეშ მიმალული ირონია, დაცინვა, თითქოს მას სურს, გითხრას: მე უკვე ვხვდები, შენ რისი დამალვა გსურს. ეს მდუმარე მტკიცებულება მაღლააწეული მარცხენა წარბითაა ხაზგასმული – საყურადღებოა: ლენინთან ის მარჯვენა იყო. სუსხიანი, პატარა, გაუმჭვირვალე თვალები გაქვავებულად, დადარაჯებულად იმზირებიან. მთელ მის არსებაში იგრძნობა ცივი სისხლი უბედურებით მუცლადღებული არსებისა, რომელიც ჭკუით ყველას აჯობებს. მისი მზერის წინაშე ყოველი ნება უკან იხევს.

სტალინის ნაბიჯები მუდამ კატისებრი იყო, ნელი, რბილი, თითქოს სწადდეს, საკუთარი თავი რაიმეს დაუმალოს, ან ვინმეზე თავდასხმა სურდეს. იდუმალი ჯადოქრობა, რომელსაც ადამიანის გაუჩინარება შეუძლია, ზღაპარი არ არის – ტიბეტში ის რეალობაა. ტიბეტელი, რომელსაც ვინმეს თვალში მოხვედრა არ სურს, საკუთარ თავს აუჩინარებს: ნებისყოფის საშინელი დაძაბვით ის საკუთარ გარსში იმალება და ამით გამომააშკარავებელ ელემენტებს ამცირებს. ამგვარივე გახლდათ სტალინიც, უკვე იმ დროისათვის, როცა მას, როგორც რევოლუციონერს, ოხრანკა დასდევდა. ის მთვარეულივით ქუჩებში გარბოდა და ყველა კუთხე-კუნჭულს ზვერავდა. თუ მას ვინმე შენიშნავდა, შეშინდებოდა არა მთვარეული, არამედ მდევარი, რადგან ფიქრობდა, რომ რეალობის ნაცვლად მოჩვენებას ხედავდა. ეს არა პიროვნება, არამედ ნიღაბი გახლდათ. სტალინი მრავალ ფსევდონიმს ოდენ ნახევრად არალეგალურობისათვის არ ატარებდა: მისთვის ისინი, როგორც სტენდალისათვის, ნამდვილი სახელები გახლდათ. სახელში პიროვნება მოიაზრება, ფიქრობდ-

ნენ ძველი ეგვიპტელები. სტალინი სახელებს გამუდმებით იცვლიდა: ასე მას ვერასოდეს მოიხელთებდნენ და დაიჭერდნენ, დამჭერებს ხელიდან უსხლტებოდა და თავისი გზით მიემართებოდა. მან ბევრი ციხე გამოიცვალა: ბათუმში, ტფილისში, ბაქოში, ცენტრალურ რუსეთსა და ციმბირში – ხშირად ის ციხეებიდან გაქცევას ახერხებდა. იჭერდნენ – კვლავ გარბოდა და სხვა ადგილას ჩნდებოდა ახალი სახელით, ახალი ნიღბის ქვეშ. იგი შესამჩნევ კვალს არასოდეს ტოვებდა. უეცრად აღიმართებოდა, უსახელო მოგზაური, მსგავსი გოლემისა, რომელიც, ებრაული გადმოცემის მიხედვით, 30 წელიწადში ერთხელ სამყაროს ეწვევა ხოლმე: მასთან შეხვედრისას კრთები – გონს მოდიხარ და უკვე ველარ ხედავ.

სტალინი კანს იცვლიდა, ვითარცა გველი და ამით თავის შინაგან არსებას ხელუხლებლად ინახავდა: თუმცა მას თავდაცვის კიდევ სხვა საშუალებაც ჰქონდა: საძულველი გაეხადა სინამდვილე. ერთხელ ბაქოს ციხეში პოლიტიკური ტუსაღები აიძულეს, როზგებმომარჯვებული ჯარისკაცების მწკრივში გაერბინათ. ეს მწკრივი სტალინმაც გაიარა – მაგრამ როგორ? ხელში ბროშურა ეჭირა, ალბათ, მარქსისტული, მიაბიჯებდა და კითხულობდა, თითქოს საქმე მას არანაირად ეხებოდა. ის მტანჯველებს აბუჩად იგდებდა და თავის პიროვნებას მორალური განადგურებისაგან იცავდა. აქ მან უკვე თავისი ჭეშმარიტი სტიქია იპოვა.

ვინ იყო ეს ანონიმი? მამამისი მეწაღე გახლდათ, ლოთი, სასტიკი და გესლიანი. დედამისი – მკერავი, წყნარი, მორჩილი, გულკეთილი. მამა სიმთვრალისას დედას სცემდა. ის თავის ერთადერთ პატარა ვაჟსაც სცემდა ხოლმე. საცხოვრებელ ქოხში სიღარიბე, ცოფიანის დორ-

ბლი და ცრემლები მეფობდა. მამის დაბრუნებაზე ფიქრის დროსაც კი შვილს სხეულის ყველა ნაწილით აკანკალებდა. თვით ქმნადობაში ის ოდენ სიძულვილს ხედავდა და მამა მას ურჩხულად ეჩვენებოდა. ოჯახური კავშირის ამგვარი რღვევა ბავშვის გულს საბედისწეროდ ამძიმებდა.

აღმოსავლეთმა იცის, რას ნიშნავს მამა. ის თესლია, კოსმიურად გამანაყოფიერებელი. თუ ბაყაყის ჩანასახოვან უჯრედს ორ ნაწილად გავჭრით, მისგან ორი ბაყაყი გაჩნდება. ორი ნაწილიდან თითოეული გადაიქცევა არა ნახევარ, არამედ ნახევრად დიდ, მთლიან ბაყაყად. ბიოლოგია აქ მამობის აღმოსავლურ გაგებას შეუდარებლად ამტკიცებს. ერთი ჩანასახოვანი უჯრედიდან ორი იბადება, მაგრამ რა მოსდის თავდაპირველს, შექმნისათვის განსაზღვრულს? მან ხორცი ვერ შეისხა, ის ფიზიკურად მეტად აღარ არსებობს – მაგრამ მეტაფიზიკურად იგი ორ პატარა ბაყაყში ცოცხლობს. თითოეული მათგანი თავის თავში ატარებს მას, არ-დაბადებულს. აქ მამისადმი გვაროვნული ხსოვნა ცოცხლობს. სადაც ეს ხსოვნა კვდება, იქ სიცოცხლე საფრთხეში ჩავარდება.

სტალინის სახლში ეს ხსოვნა დაირღვა. შვილი წყევლიდა მამას, თესლს, გაბოროტებულს სძულდა თავად ქმნადობა. მისთვის არ იყო სიყვარული, მისთვის მეტად არ არსებობდა სიხარული. სიცოცხლის სხეული მამისადმი აღმოუფხვრელი სიძულვილით მოიწამლა.

ამგვარად, უმამობისას – თუ ის მისტიურად გადალახული (დაძლეული) არაა – ადამიანს თავიდანვე მუდამ აკლია რაღაც არსებითი: სიცოცხლისადმი სიხარული. მას აღარაფერი ახარებს. მის გულს აღარ ძალუძს, სიღრმეებამდე კოსმიურად გაიხსნას. იგი არ არის ანთებული, ხორცადქმნილი ნაწილი მისტიურად დაფლეთილი ღმერთისა:

ის ცივი, მტკიცე და მკაცრია. ამგვარი ყაიდის ადამიანს ექსტაზი არ ეძლევა. ასეთ უმამოს ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია რომ მოესმინა, განსაკუთრებით დასასრული, სადაც მქუხარე ორკესტრში ადამიანების ხმები ერთმანეთს ეხლართება, ხმები დიონისოთი მთვრალი ადამიანებისა, ხმები, რომლებიც სხვა ცხოვრებას, მეცხრეს, ადამიანურს ან ზეადამიანურს აცხადებენ, ამის მიუხედავად, ის (უმამო ადამიანი) ვერ შეძლებდა საკუთარი, ვიწრო გარსიდან ამოძრომას, რათა ამით უნაპირო სინამდვილეს ზიარებოდა. ის ცივი, მტკიცე, მკაცრი დარჩებოდა, თავად უექსტაზოს, სხვების ექსტაზი არ გადაედებოდა – უცხო ექსტაზი მას ვერ დაიპყრობს, ის მისთვის ლამის უსიამოვნებაა.

ამას შედარება გააცხადებდა. 1849 წლის დრეზდენის გადატრიალების წინ ვაგნერი სწორედ მეცხრე სიმფონიას დირიჟორობდა. ბოლო ნაწილის შესრულებისას აქ აჯანყების ფარული წამქეზებელი, ანარქისტი მიხეილ ბაკუნინი ორკესტრის წინ გამოვარდა და ანთებულმა ვაგნერს დაუყვირა: „როცა მოახლოებული მსოფლიო ხანძრის ჟამს ყოველგვარი მუსიკა მოისპობა, მაშინ ჩვენი სიცოცხლის საფრთხით ეს სიმფონია უნდა გადავარჩინოთ!“ ბაკუნინი მთლად ანთებული იყო. სხვაგვარია ლენინი. ცნობილია მისი სიტყვები აპასიონატაზე: „არაფერს ვიცნობ უფრო მშვენიერს, ვიდრე აპასიონატაა, მე შემიძლია, მას ყოველდღიურად მოვუსმინო. როდესაც ეს ბგერები მესმის, ყოველთვის სიამაყით და ალბათ ბავშვური გულუბრყვილობით ვფიქრობ: და მაინც საოცარია, რისი სრულქმნაც ადამიანებს ძალუძთ. მაგრამ მუსიკის ხშირად მოსმენა არ შემიძლია, ის ჩემს ნერვებზე მოქმედებს. მე ვისურვებდი, საყვარელი სისულელეები მელაპარაკა და თავზე ხელი

გადამესვა ამ ადამიანებისათვის, რომელთაც ჭუჭყიანი გამოქვაბულის შიგნით ამგვარი მშვენიერების შექმნა შეუძლიათ. მაგრამ დღეს ადამიანების თავზე ხელის გადასმის დრო არ არის. დღეს ეს ხელები დაბლა ეშვებიან, რათა თავის ქალა გაგიხეთქონ". აქ ლენინი ფხიზლადაა. სტალინს ამგვარი ნახევრადექსტაზიც არ ძალუძს. დამახასიათებელი დეტალი. მავანნი ამტკიცებენ: ლენინი ფილტვების ანთებით ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალაო – სხეულის 42,3 გრადუსი ტემპერატურით. აქ ლენინში ცეცხლოვან-ლუციფერული გამოვლინდა, სტალინში ცივ-არიმანულის საწინააღმდეგოდ.

ამგვარი არსება იმთავითვე გადამწყვეტ ადგილას მისტიკურად ნაკლოვანია და საფრთხე ემუქრება. თქმულება კაენსა და აბელზე სტალინსაც მიესადაგება. ღმერთმა აბელის მსხვერპლი მიიღო და უარყო კაენის მსხვერპლი. რატომ? თქმულება არ იძლევა ამის არავითარ ახსნას. იქნებ კაენის მსხვერპლი გულით არ იყო შეწირული? ალბათ მას ეს სურდა, მაგრამ ის სურვილად დარჩა. ერთი ახსნაღა რჩება: ჩანს, რომ კაენს თავიდანვე სიცოცხლის მადლი აკლდა. ეს ეჭვი უშუალოდ „შესაქმეთა" სტრიქონებიდან გვიჩნდება: იაჰვეს კაენის მსხვერპლი რომ მიეღო, განა კაენი ძმის მკვლელობას ჩაიდენდა? არა. ვისაც სიცოცხლის მადლი აკლია, მისი გული წმინდა გრძნობათათვის დახშულია. ყმაწვილ სოსო ჯუღაშვილს ეს უკვე ადრიდანვე ბუნდოვნად და ალბათ გამწარებითაც უნდა შეეგრძნო, როცა იგი ავადმყოფ სკოლის ამხანაგს სტუმრობდა. ჩანს, ის მასთან გულითადად საუბრობდა, მაგრამ მისი სიტყვები ავადმყოფის სულს არ ეკარებოდა. ახალი სტუმარი, სხვა ამხანაგი შემოდის, რომელიც ავადმყოფს ალერსიანად თავზე ხელს უსვამს და ტკივილი ცხრება.

ეს ღვთაებრივი ძალმოსილება ხომ სიცოცხლის ძალაა. მაინც როგორ ამბობს გრეტხენი? „მისი აქ ყოფნაც კი შიგნეულს მიკუმშავს. სადაც მას – მეფისტოფელს – ჩვენთან შეხვედრა შეუძლია, იმასაც ვფიქრობ, რომ აღარ მიყვარხარ". აქ გრეტხენის წრფელი გული რაღაცას გრძნობს: უკვე თავისი ოდენ იქ ყოფნით ეშმაკი სიყვარულს სპობს, ხრწნის მის ატმოსფეროს. მას ლირიულობა აკლია. მას ალბათ შეეძლო, ბევრად უფრო მშვენიერი ლექსები დაეწერა, ვიდრე რაინერ მარია რილკეს – მხოლოდ ერთი რამ რჩება მისთვის მიუწვდომელი: მოუხელთებელი პოეტური დინებები, რილკეს სიტყვებს ასე მადლიანად რომ ასხივოსნებს. აქ წყევლა იმალება.

პოეტურ აღტყინებას სტალინის გული არასოდეს გაუმსჭვალავს, მიუხედავად იმისა, რომ ის მონაფეობისას საეპისკოპოსო გუნდში ხავერდოვანი რბილი ალტით მღეროდა. მაგრამ ეს უთუოდ დაცემული ანგელოზის ხმა იყო, რადგან ამ ანგელოზსაც მომაჯადოებლად სიმღერა ისევ შეუძლია. სტალინი ლექსების წერასაც ეცადა – საოცარია: პატრიოტული ლექსებისას – თუმცა ამავე დროს ის ესპერანტოსაც სწავლობდა. უკვე იმ დროს მას სწამდა მსოფლიო ენისა, ბუნებრივია, მექანიკურად შექმნილისა. ჩანს, მას სამყაროს ორგანული მრავალფეროვნება სტანჯავდა. უფრო მეტიც: თვით სიცოცხლის ატანა არ შეეძლო. მას ბოროტმოქმედივით ნგრევა იზიდავდა, რათა თავისი გამანადგურებელი თვითნებობა გამოეცადა და გაეტარებინა.

ამისათვის ნიჰილიზმი მისწრებასავით გახლდათ. ვლადიმირ სოლოვიოვმა, დიდმა რუსმა მოაზროვნემ და მისტიკოსმა, რუსი ნიჰილისტი ინტელექტუალების მთელი ნაცოდვილარი ერთი ირონიული წინადადებით შეაჯამა:

ადამიანი მაიმუნისაგან წარმოიშვა, მაშასადამე, გაუმარ-ჯოს თავისუფლებას! თუმცა აქ „მაშასადამე“ უაზრო-ბაა: ნაკლებად დამაჯერებელია ის, რომ მაიმუნისაგან წარმოშობას ადამიანისათვის თავისუფლების გარანტი-რება შეეძლო – მაგრამ ლოგიკას ხშირად ფსიქოლოგია შთანთქავს და ამ სენტენციაში უცილობლად ფსიქოლო-გიური ალღო იყო ჩადებული. თუ დამტკიცდებოდა ის, რომ ადამიანი მაიმუნების გვარს ეკუთვნის, მაშინ თვით რჩეულნიც ყოველგვარ ხიბლს კარგავდნენ, ნაპოლეო-ნი არასოდეს იქნებოდა „ვინმეზე“ არაჩვეულებრივი და კლეოპატრა სხვა არავინ იქნებოდა, თუ არა რომელიღაც რიგითი ქალი. უპირატესობასთან ერთად პატივისცემაც გაქრებოდა. ეს ნიჰილისტების შეხედულება გახლდათ. თუმცა აქ დაფარულად საფუძველში სხვა აზრიც იდო: თუ ადამიანი არსში მაიმუნის მსგავსი იყო, მაშინ შესა-ქმის სწავლება – ადამიანი ღვთის ხატად შექმნილიაო, შეცდომად იმხილებოდა და ამით ღვთის ხატება და მს-გავსება ისპობოდა. თუმცა აქ ნიჰილისტების მოსაზრება სრულყოფილად არ იყო დასაბუთებული, მას მით უფრო ჯიუტად ებღაუჭებოდნენ.

ნიჰილისტების ზეგავლენას სტალინიც ვერ ასცდა და გზნებით შეუდგა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლას. მას მტკიცედ სწამდა, რომ ეს შტუდიები მას უღმერთობამდე მიიყვანდა. თუმცა ეს იყო არსებითი: ღმერთი მოკვდა, მაშ, თავისუფლება მოპოვებულია. ის ნათლად ვერ ითავისებდა, რომ ღვთისაგან გამოყოფილ, უღმერთო ადამიანს ღმერთთან ერთად ასევე სამყაროს-თან კავშირიც სამარადისოდ უნდა დაეკარგა. შესაძლოა, სტალინს ქვეცნობიერად სწორედ ეს სურდა. თუ საგნებს შორის საკრალური ურთიერთკავშირი დაირღვეოდა, ამგ-

ვარად თვით სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდებოდა. გა-თვლა სწორი გახლდათ მისთვის, ვისთვისაც სიცოცხლე იმთავითვე ტანჯვა იყო. სტალინს ბასრი მეხსიერება ჰქონდა – და არა მახსოვრობა! – და ძლიერი, ცივი ლო-გიკა. ის საკუთარ თავს ღმერთისაგან განაცალკევებდა და საკუთარ თავს დანაშაულებრივი თვითნებობისაკენ აღამაღლებდა. ის ყველგან ნეგატიურს ხედავდა და, გა-მორჩეულს თუ შეხვდებოდა, იქედნურად იღიმებოდა. ის ცივსისხლიანი, ულმობელი და მკაცრი ხდებოდა. ჰყვებიან, რომ ერთხელ, ვიწრო შუკაში მიმავალმა, ფეხი წიწილას დაადგა. წიწილას ფეხი მოტყდა და წიოკით წაფარფა-ტდა. სტალინი მას დაეწია და ბოლომდე გასრისა. „სულ ერთია, შენ მეტად აღარაფრად ვარგიხარ“, – დაუყვირა მან, უცნაურად გაცხარებულმა. შესაძლოა, ამ წამს სრუ-ლიად სხვაგვარმა, სახის შემაშინებლად უცხო ჩრდილმა მის ნაკვთებს გადაურბინა.

სიცოცხლის მიმართ ის მტრულად იყო განწყობილი და ყველგან მტრებს ეძებდა. მტრის გასანადგურებლად ორი რამაა საჭირო: თავდაჭერა და ირონია. სტალინის თავდაჭერა იმ იოგას მსგავსი, ირონია კი შეუდარებელი გახლდათ. ის მოწინააღმდეგეს ნელა, უძრავად, შეუპო-ვრად იწვევდა, წამლავდა, აქილიკებდა მას, მდგომარეო-ბიდან გამოჰყავდა იგი. ის თავის მტრებს ცილისწამებითა და დამცირებით ანადგურებდა. ამაში იგი დაუნდობელი და ულმობელი გახლდათ. მისი ცივი ჩაღიმება დროდა-დრო მკაცრ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიცილში გადადიოდა.

იყო ის ბოროტი ჩვეულებრივი აზრით? არა. არც მკვლელი გახლდათ, არც ყაჩაღი, არც სხვა ვინმე დამნა-შავე. პირიქით: მას ადამიანებისათვის საუკეთესო სურდა, და მაინც – მის ხასიათში იმთავითვე უცხო სახის ბორო-

ტი ჩანასახი ცოცხლობდა. ნუთუ ის პირად სიამოვნებას მიელტვოდა? სრულიადაც არა: მისთვის არ არსებობდა მიწიერი სიამენი – ქალი, ღვინო, აზარტული თამაშები, ოქრო, ბანგი. აღსანიშნავია, რომ ქართული სუფრიდან, სადაც მუდამ დიონისეს ადიდებენ, როცა სხვა ყველა გალეშილი იყო, მარტო ის რჩებოდა ფხიზელი. ის გულუხვი გახლდათ, რამდენადაც კი შეეძლო, ასეთი ყოფილიყო და დახმარებისათვის მზად იყო, ვითარცა სულიერი მეგზური. და მაინც: ის არავის ენდობოდა. არ შეეძლო მეტაფიზიკური „შენ ხარ“ ეთქვა. მას არცერთი მეგობარი არ ჰყავდა, რადგან ვინმე, მეგობარიც კი, მუდამ ქვეშევრდომად რჩებოდა ხოლმე. შესაძლებელია, რომ თავად იგი სულის სიღრმეში ამაზე სწუხდა კიდეც. ასევე შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მას ხანდახან საკუთარი ხასიათი ამძიმებდა. ამგვარ წამს მას ალბათ ღრმა მელანქოლია ჩრდილავდა. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ მას ეს მელანქოლია, თუნდაც მხოლოდ ერთი წამით, სხვისთვის ეჩვენებინა... აქ მუდამ იყო რაღაც, რაც მისი სულის გადახსნას შეუძლებელს ხდიდა.

ის ძველ სამყაროს უკვე გამოემშვიდობა. მისთვის მეტად არ არსებობდა არც სისხლით ნათესაობა, არც ხალხი, არც სულიერი კავშირი, არც რწმენა. ხალხი მასამ შეცვალა, სული კი – კლასმა. აქ ის თავის სტიქიაში იყო. სოციალისტური იდეის მისაღებად ის სავსებით მომწიფებული გახლდათ. სენ-სიმონისა და ფურიეს მოძღვრება მის გულს არ ეკარებოდა, რადგან ის არასოდეს ყოფილა მიდრეკილი უტოპიის რაიმე გადახრისა და რომანტიკისაკენ. მარქსის დოქტრინამ კი მისი არსება მთლიანად მოიცვა: აქ იყო ლოგიკა და სიმტკიცე და არა მათი მენშევიკური ნაირსახეობის უხერხემლობა. სტალინი ბოლშევიკად გახლდათ დაბადებული. უწინდელ დროში ალბათ ვინმეზე იტყოდნენ: ის წინაქრისტიანული ქრისტე იქნებოდაო. სტალინისათვის ბოლშევიზმამდელი ბოლშევიკი შეიძლებოდა გვეწოდებინა. არალეგალური მარქსისტული ლიტერატურა იმდროინდელი რუსეთიდან საქართველოშიც შემოდიოდა და მოულოდნელად ლენინის სტატიებიც ჩნდებოდა ხოლმე. მათ მთლიანად მოიცვეს სტალინი. ეს მისთვის ღრმა და ერთადერთ განცდას – საკუთარი თავის პოვნას – ნიშნავდა, მაგრამ სხვაში. აქ იყო ის, რასაც სტალინი თავისი ბრმა ინსტინქტით გრძნობდა: მარქსისტული იდეის დემონურობა. რაც დასავლეთში „სიტყვა“ იყო, რუსეთში „საქმე“ უნდა გამხდარიყო. მაგრამ ეს „ქმნადობა“ მძვინვარე ქარიშხალივით თავს უნდა დატყდომოდა მსოფლიოს, რომელსაც ომმა საძირკველი უკვე შეურყია.

ლენინი გამოჩნდა, ვითარცა ქარიშხლის შეკუმშული ენერგია. როდესაც ის თავის ამხანაგებთან ერთად ჯავშნოსანი მატარებლით გერმანიის მხარეს გადმოკვეთდა, რათა რუსეთში რევოლუციის ცეცხლი გაეჩაღებინა, კაცობრიობა ვერც კი ხვდებოდა, თუ რა ვულკანური ძალები იყო აქ თავმოყრილი. ლენინი რუსეთში გამოჩნდა, ვითარცა რევოლუციის ბედისწერა. ის ოქტომბრის გადატრიალების კოსმიური თაურმდგენი გახდა. მასში განსახიერებული იყო ორი სტიქია (ელემენტი): ნახევრად რუსის და ნახევრად მონგოლის; სლავური – სუნთქვა ქაოსის, ყოველგვარი საზღვრის სიძულვილი; მონგოლური: შინაგანი სიმამაცე და სივრცეში გაქანება. ლენინში ინსტინქტი და ნება ერთი იყო. მასში თანდაყოლილი და გამოხატული იყო გამოცდილი ქირურგის თვისებები: სწორი, უშეცდომო თვალზომა; ინტუიცია, რომელიც საგნის

შუაგულს ხვდებოდა, თავდაჭერა, მაგრამ არა ცივი, არამედ ცეცხლოვანი, ზუსტი, საიმედო ხელი. ყოველი მათგანი მის არსებაში უკვე პირადი შეხვედრისას იგრძნობოდა. სტალინმა ეს უკვე მასთან შეხვედრამდე შეიგრძნო.

1903 წელს მან ევროპიდან ლენინისაგან წერილი მიიღო. ეს მისთვის თითქმის მოსეს დაფების მიღებას ნიშნავდა. სტალინი ლენინს 1903 წელს ფინეთში, პარტიის კონფერენციაზე შეხვდა. დიდმა რევოლუციონერმა მდუმარე ქართველში საიმედო მებრძოლი ამოიცნო. 1906 წელს სტოკჰოლმში შედგა პარტიის ყრილობა, რომელზეც ბოლშევიკებმა მარცხი განიცადეს. მაგრამ როგორ მიიღო ეს ლენინმა: „ნუ ნაღვლობთ, ამხანაგებო, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ, ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ". მის თანამებრძოლთა შორის სტალინი ერთადერთი გახლდათ, ვისაც ეს სიტყვები მხოლოდ ყურებით არ შეუსმენია. 1907 წელს ლონდონში, პარტიის ყრილობაზე ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს. როგორ მიიღო ეს გამარჯვება ლენინმა? სტალინი ამას მოგვიანებით იხსენებდა: „გამარჯვების შემდეგ ის განსაკუთრებით ფხიზელი და ფრთხილი გახდა" და მოჰყავდა ლენინის სიტყვები: „უპირველეს ყოვლისა, გამარჯვება თავში არ უნდა აგივარდეთ და არ გაყოყოჩდეთ. მეორე, გაამყარეთ თქვენი გამარჯვება, მესამე, ბოლომდე გაანადგურეთ თქვენი მტერი, რადგან ის მხოლოდ დაცემულია, მაგრამ არა მკვდარი". ამ სიტყვებს განსაკუთრებით სტალინი უნდა შეეძრა, რომელიც გამარჯვების ხიბლს ვერასოდეს პოულობდა და დაცემულ მტერს ბრძოლის ველზე არასოდეს სტოვებდა, ვიდრე მას მთლიანად არ გაანადგურებდა. სხდომებზე სტალინი სიტყვაძუნწი გახლდათ: ის დუმდა, ნამდვილი მოქმედების კაცი.

სტალინის სტიქია მასა იყო, იგი აქ გახლდათ ჭეშმარიტი. ფინეთის კლდოვანი ნაპირებიდან კოლხეთის დაბლობამდე ის საკუთარ თავს მასებთან ორგანულად შერწყმულად გრძნობდა. იგი ხვდებოდა და უახლოვდებოდა როგორც რუსებს, პოლონელებს, უკრაინელებს, ასევე ქართველებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, ლატვიელებს, ლიტველებს და მრავალი სხვა ხალხის წარმომადგენლებს. ის მუშების კლასის ჯერ კიდევ მთვლემარე ფსიქოლოგიას სწავლობდა. იგი მასებს პულსის ცემას უსინჯავდა და მათ პროლეტარულ ინსტინქტს უღვივებდა. ის მათ ნებისყოფას უნარჩუნებდა და მათ მებრძოლ სულს აწრთობდა, ათასებს ხვდებოდა და ათასები სცნობდნენ მას. მას მეგობარი არ ჰყავდა – ჰყავდა მხოლოდ ურიცხვი ამხანაგი. ის ოხრანკას კვალს არ უტოვებდა, მუშებში კი მისი კვალი წარუშლელი გახლდათ. იგი აქაც ჩრდილში რჩებოდა. საიდუმლო ორგანიზაციაში ის ჩნდებოდა, როგორც მასების სულის იდუმალი ანონიმი. გასაკვირი არაა, თუ მან დასაწყისშივე შეიგრძნო რუსული რევოლუციის თავისებურება. 1917 წელს, ივლისის ამბების შემდეგ, შედგა პარტიის კონფერენცია. ლენინმა მონაწილეობა არ მიიღო, რადგან იგი ამ დროს იმალებოდა. იქ ტროცკიც არ იყო: ამ კონფერენციაზე პირველად ის ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩიეს. კონფერენციას სტალინი ხელმძღვანელობდა. იქ მან ისტორიული სიტყვა წარმოთქვა: „გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ რუსეთი ალბათ მთლად განსაკუთრებული რანგის ქვეყანა გახლავთ, რომელიც სოციალიზმის გზას მოამზადებს. ჩვენი რევოლუციის საძირკველი უფრო ფართოა, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, სადაც პროლეტარიატი ბურჟუაზიის პირისპირ მარტოდმარტო დგას. ჩვენს მუშებს უღა-

რიბესი გლეხობის ფენა უჭერს მხარს. საჭიროა მოვიშოროთ სამარცხვინო შეხედულება, რომ მხოლოდ ევროპას შეუძლია გზა გვაჩვენოს“. კონფერენციის მსმენელები ალბათ დაეჭვდნენ, თანხმობაშია თუ არა ეს თეზა დოგმატურ მარქსიზმთან. ჩანს, სტალინმა ეს შენიშნა და დაამატა: „მე ვცნობ შემოქმედებით მარქსიზმს“. უკვე აქ ის თავისი მომავალი სიდიადით წარმოჩნდა.

უკვე პირველი შეხვედრისას მან ლენინზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. ლენინი ამ რევოლუციონერში რაღაც ძლიერ დამთრგუნველს გრძნობდა. 1914 წელს სტალინი ტურუხანსკში, ენისეისკის გუბერნიაში იყო გადასახლებული. ამ წლის ნოემბერში ლენინი თავის მეგობარ კარპინსკის ჟენევიდან სწერდა: „დიდი სამსახურის გაწევა უნდა გთხოვო: ეცადე, გაიგო კობას უკანასკნელი სახელი (იოსებ ჯ...), ჩვენ ის დაგვავიწყდა. ეს ძალზე მნიშვნელოვანია“. გადასახლებაში სტალინი თავისი ნამდვილი გვარით, ჯუღაშვილით იმყოფებოდა და ლენინმა სწორედ ეს გვარი ვერ გაიხსენა. ის აქ სტალინს იხსენებს და კიდეც ვერ იხსენებს. აქ რაღაც ბუნდოვანი, უცხო და, ამავე დროს, მიმზიდველად ახლობელი შორეული ქართველის შეგრძნება იკვეთებოდა. ოქტომბრის გადატრიალებამდე ცოტა ხნით ადრე ლენინი გერმანიის აგენტობაში დაადანაშაულეს. ლენინის კეთილშობილი სული აღშფოთდა: მან გადაწყვიტა, იმდროინდელი პეტროგრადის საბჭოების სასამართლოს წინაშე თავი ემართლებინა. სტალინმა საფრთხე მაშინვე იგრძნო და დაარწმუნა იგი, რომ ამაზე წასვლა არ შეიძლებოდა. შესაძლოა, რომ ამ უეცარმა გადაწყვეტილებამ ოქტომბრის ბედი გადაწყვიტა. გადატრიალების შემდეგ სტალინი ლენინის მხარდამხარ იდგა, აქაც უჩინარად. როცა ტროცკიმ

1918 წლის 15 თებერვალს ბრესტ-ლიტოვსკიდან ტელეგრამით ვრცელი ინსტრუქცია ითხოვა, ლენინმა უპასუხა: „მე მინდა, თავდაპირველად სტალინს მოველაპარაკო, ვიდრე თქვენ კითხვას ვუპასუხებ“. ალბათ ტროცკიმ აქ პირველად იგრძნო, მომავალში ვისთან ექნებოდა საქმე.

სტალინს მხოლოდ ლენინის სწამდა. მაგრამ ლენინის გვერდით მეორე ფიგურა წამოიმართა – ტროცკი. თუ ლენინი რევოლუციის ბედისწერა გახლდათ, ტროცკი მას ნახევრად ბედისწერად მოევლინა – ნახევრად ბედისწერაც არსებობს. გენია ლენინში მეტად იყო განსხეულებული, ტალანტი კი – ტროცკიში. ტროცკის მოხსენება ორატორობის შედევრი გახლდათ: ის აქაფებულ და მღელვარე ტალღებს ჰგავდა, მსმენელს სივრცეში რომ მიაქანებს. ლენინის სიტყვა იყო უბრალო, მარტივი, პათოსის გარეშე, მაგრამ ზუსტი და უფრო ძლიერად ზემოქმედებდა. ერთის სიტყვა შთააგონებდა, მეორისა წარმართავდა. ტროცკის სტილი დახვეწილი გახლდათ. მარქსის დროიდან არცერთი მარქსისტი ასე მარჯვედ არ წერდა. ლენინს არ ჰქონდა სტილი, მისი წინადადებები დახლართული და მძიმე იყო, მაგრამ მკითხველს უფრო არწმუნებდა. ტროცკი რევოლუციურის გარდა მრავალი სხვა პრობლემით (ხელოვნების, ლიტერატურის, თეატრალურის) გახლდათ დაკავებული. ლენინს მხოლოდ ერთი პრობლემა ჰქონდა: რევოლუციის გზით პროლეტარიატის გამარჯვება. ის, როგორც მარტორქა, შეკუმშული ნებისყოფით მხოლოდ ერთადერთ გზას ეძებდა. ტროცკი, როგორც რევოლუციონერი, ზიგზაგისებურად მიდიოდა, ხანდახან არასწორი გზით. ალბათ სწორედ აქ იყო მისი ნახევრად ბედისწერულობა. მას ყველაფერი ჰქონდა, რათა დიდი რევოლუციონერი ყოფილიყო, მაგრამ ბოლ-

შევიკური სული აკლდა. თუმცა არსებობს კი ასეთი რამ საერთოდ?

სახარებაში ქრისტეს „ძე ღვთისა“ და „ძე კაცისა“ ეწოდება. ძე ღვთისა თანამედროვე ადამიანში თითქმის მკვდარია. ლოგოსის მაგიერ მასში რაციო ბატონობს. Homo Sapiens გარდაიქმნა Homo Technicus-ად. მასში სრულად მხოლოდ ძე კაცისა დარჩა და მისი ღვთაებრივი ნიჭი, იყოს უფრო მეტად ადამიანი, საფრთხის ქვეშაა. ამიტომ ხდება ის, რომ მითიურად წარმომქმნელმა ძალებმა, რომლებშიც ღვთისაგან წარმომავლობა ნაყოფიერად ვლინდება, თავიანთი ზემოქმედება დაკარგეს, რადგან მითოსის სიცოცხლის წარმომშობი ძალა მუდამ იქ განმტკიცდება ხოლმე, სადაც ფენომენში ჯერ კიდევ ფორმის მიმნიჭებელი თაურფენომენი ქმნის.

ჯერ კიდევ შეიცნობს თანამედროვე ადამიანი თავის თაურფენომენს? ოდნავ. თავად მხოლოდ „ძე კაცისა“, ე. ი. მხოლოდ ფენომენი, ყოველ მოვლენას ასევე ფენომენად აღიქვამს. დედამიწა მისთვის აღარაა Magna Mater, არამედ ოდენ გეოლოგიური რეალობა. იგი ლოგოსისაგან მეტად აღარ ნაყოფიერდება და მიწას მეტად არ ანაყოფიერებს, მისით კვლავ სარგებლობს, ის მას ამუშავებს. იგი მეტად აღარაა ქმარი, მხოლოდღა მბრძანებელია: მოძალადე და არა აღმგზნები. ასეა საქმე ევროპასა და ამერიკაში (გერმანია საფრთხეს უკვე ღრმად ჩასწვდა).

რა ხდება ამჟამად ბოლშევიკურ რუსეთში? ის, რაც ევროპასა და ამერიკაში ტექნიკის ზეგავლენით მიიღეს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ ეს განვითარება განზრახ სურთ და აღწევენ კიდეც. მსოფლიოს განხიბლვა, დედამიწის, როგორც ღვთაებრივი დედის, წიაღის მკვლელობა – ესაა ის, საითაც ბოლშევიკური (წყობის) ადამიანი

° წიაღი - ჰიპოდერმა

აკვიატებულად ისწრაფვის. ამ მიმართულებით აშკარავდება ისტორიული მიზანი ბოლშევიკური ძალაუფლების ნებისა. ერთხელ ლენინმა ზუსტად განსაზღვრა კომუნიზმი, როგორც ელექტრიფიკაცია პლუს საბჭოთა ხელისუფლება. ეს, ჩვენს ენაზე გადმოღებული, ნიშნავს: ამერიკანიზმი პლუს დემონია. Homo Technicus აქ სატანად იქცევა. ეს ევროპისა და ამერიკისათვის ადამიანებში ლოგოსის ძალის კლებას, კოსმიური მასშტაბის ტრაგედიას ნიშნავს, ბოლშევიკური ადამიანისათვის, უღმერთოსათვის, რომელსაც ლოგოსი შინაგანად სძულს და ყოველგვარი ღვთის ძეობა ზარავს, ორგიასტული უარყოფს ცეცხლს. ევროპისა და ამერიკისათვის გაბატონებული რაციო წყევლაა, ბოლშევიკური ადამიანისათვის მძვინვარე ტრიუმფი. ევროპელი და ამერიკელი მიწას მეტად არ ანაყოფიერებს და თავს გარდასული ბედნიერებისაგან გაძარცულად გრძნობს, ბოლშევიკი კი დედამიწას ძალას ატანს, მის წმინდა უჯრედთა სისტემას სპობს და მიწის კოლექტივიზაციაში თავის დემონურ ყოვლისშემძლეობას ზეიმობს. მაგრამ ახლა: როდესაც ევროპამ და ამერიკამ ლოგოსთან ერთად ყოფიერების ქვედა პლასტები – წინათგრძნობა, ინსტინქტი, ფესვები – თითქმის მთლიანად დაკარგა, საკვირველია, რომ ეს პლასტები ბოლშევიკებმა ხელუხლებლად შემოინახეს. გამოცანა, ახალი თემა თავისთავად. თუ ინდიელის თავიდან ღვთაებრივ ცეცხლს ამოვგლეჯთ და მის ნაცვლად ინტელექტს გადავნერგავთ, ბოლშევიკურ ტიპს მივიღებთ. რაციო და ინსტინქტი: რევოლუციონერისათვის უკეთეს შერწყმას ვერც მოიფიქრებ.

ლენინს ჰქონდა ეს შერწყმა, ტროცკის კი არა. მას აკლდა ბოლშევიკის რასიული სული. თავის ანდერძში ლენინმა მიმდევრებს შორის ტროცკი პირველ ადგილზე

დაასახელა. თუმცა, საკვირველია, რომ მან დაამატა: ტროცკი ბოლშევიკი ვერ იქნება.

ერთი შემთხვევა. ეს იყო 1923 წლის ზაფხულში. ხელისუფლება ტრიუმვირატის – სტალინის, კამენევისა და ზინოვიევის – ხელთ გახლდათ. ლენინი ავადმყოფი იწვა, ტროცკი განზე იდგა: ის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელობდა. ბონაპარტეს აჩრდილი მას მოსვენებას არ აძლევდა. ლენინის ავადმყოფობის დროს მისმა თანამდებობამ სახიფათო ძალა შეიძინა. ტრიუმვირატმა გადაწყვიტა, ცენტრალური კომიტეტის რამდენიმე წევრი სამხედრო საბჭოში გაეგზავნა, მათ შორის, ბუნებრივია, სტალინიც. საეჭვო არ იყო, რომ ამ დაკვეთის ინიციატორი სტალინი გახლდათ. შემოდგომაზე პლენუმის სხდომა შედგა. ეს საკითხი ფრთხილად, შენიღბული ფორმით წამოჭრეს. სტალინი მდუმარედ და მომლოდინედ იჯდა. ტროცკიმ უმალვე იგრძნო, რომ აქ საქმე მისი კომპეტენციის შეზღუდვას ეხებოდა. ის გაცხარდა, გამძვინვარდა, ცივსისხლიანობა და თავდაჭერა დაკარგა. შემოტანილი წინადადება მან უნდობლობის ნიშნად აღიქვა და ჩვეული პათოსით კრებას მიმართა: „გამათავისუფლეთ თანამდებობიდან და ნება დამრთეთ, გერმანიაში წავიდე, როგორც რევოლუციის რიგითი ჯარისკაცი“. ეს უკვე მეტისმეტი იყო: მისმა ეფექტურმა ჟესტმა მიზანს ვერ მოახვედრა – მიუხედავად იმისა, რომ მოხსენება, როგორც ყოველთვის, ძლიერი იყო. ტროცკი ცეცხლს აფრქვევდა, პლენუმის უმრავლესობა დაბნეული იყო. უეცრად ზინოვიევი ადგა და – განზრახ თუ ეშმაკურად, რათა ტროცკის ამ წამოყენებულ წინადადებაში მისი მონაწილეობა არ შეემჩნია, წამოიძახა: „ნება დამრთეთ, მეც, როგორც შეთქმული, გერმანიაში წავიდე“. თუ ტროცკის სიტყვები ცეცხლივით

იყო, ქალური ზინოვიევისა შავქლიავივით რბილი გახლდათ. პათოსი ფარსში გადაიზარდა. აქ სტალინი ნელა წამოიმართა და, მოჩვენებითად ნაღვლიანად განაცხადა: „როგორ შეუძლია ცენტრალურ კომიტეტს ორი ძვირფასი ადამიანის სიცოცხლე სასწორზე შეაგდოს?“ მაგრამ ტროცკი არ დაწყნარდა და თავის მოთხოვნას იმეორებდა. მაშინ ლენინგრადელმა დელეგატმა კომაროვმა ითხოვა სიტყვა და უხეშად წამოისროლა: „რატომ ქმნის ამხანაგი ტროცკი ამ ამბიდან ამგვარ დიდ სენსაციას და თქვენ, პატივცემულო ხელმძღვანელებო, არასწორად იქცევით, ასეთი წვრილმანის გამო რომ ღელავთ!“ ეს ტროცკისათვის მოულოდნელი იყო: საქმე იქამდე მივიდა, რომ მის მიერ დასმული საკითხი ვიღაც კომაროვის მიერ წვრილმანად უნდა შერაცხულიყო? ის გაშმაგებული წამოიჭრა, იყვირა, რომ ამ სპექტაკლის მოთამაშეებისაგან გამოერიცხათ და, მდგომარეობიდან გამოსული, კარს ეცა.

კართან ტროცკის მუდამ ეს დამოკიდებულება ჰქონდა. ცნობილია, რა თეატრალურად მიაძახა მან კაპიტალისტურ სამყაროს, როცა 1919 წელს საბჭოთა ქვეყანა უდიდესი საფრთხის წინაშე იდგა: „ჩვენ მივდივართ! მაგრამ კარს იმგვარად გავიჯახუნებთ, რომ მსოფლიო შეზანზარდება!“ ის ალბათ ამავე ფრაზაზე ფიქრობდა, როცა ახლა აქედან გადიოდა.

მან დატოვა პლენუმი, რომელიც ალბათ შეცბუნებული დარჩა: მაშინ ტროცკი ჯერ კიდევ დიდი კაცი იყო. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ისტორიული წამი. ყველა რაღაცას მოელოდა, ალბათ, კარის მოჯახუნებას. ტროცკიმ კარის სახელურს გარკვეული განზრახვით ხელი სტაცა – თუნდაც 1919 წლის მუქარა მცირე მასშტაბით რომ განეხორციელებინა. მაგრამ მას დაავიწყდა,

რომ პლენუმი კრემლის სატახტო დარბაზში გაიმართა, რომლის კარი ისეთივე მასიური იყო, როგორც რომანოვების ოდინდელი დინასტია. ტროცკიმ კარის სახელურს ხელი ჩასჭიდა, მაგრამ დახეთ: კარი უძრავად რჩებოდა. ის მას მთელი სხეულით ჩამოეკიდა, რათა გაეღო. კარის სახელური სუვერენული სიდინჯით ნელა ამოძრავდა. პლენუმმა დაინახა პატარა, გამხდარი, აფართხალებული კაცი, რომელიც საშინლად წვალობდა, ეს ულმობელი კარი რომ დაეძრა. ყველამ სიცილი შეიკავა. მხოლოდ ერთი მათგანი ულვაშებში იღიმებოდა. ტროცკიმ დარბაზი დარცხვენილმა დატოვა. ელოდნენ კარის მოჯახუნებას, მაგრამ... ისტორიისათვის განსაზღვრული ჟესტი მის უკან საბედისწერო მასიურობაში ჩაიკარგა. ადამიანი, რომელიც ულვაშებში ჩუმად იღიმებოდა, სტალინი გახლდათ: მას ამგვარი რამ ძნელად თუ შეემთხვეოდა.

სტალინი იმთავითვე ლენინის ნატეხი გახლდათ. მასშიც ასევე რაციოსა და ინსტინქტის შერწყმას ვპოულობთ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მეორე სტიქია მასში უფრო განვითარებულია. ეს ლენინთან შედარებით სტალინს უპირატესობასაც აძლევს. ცხოველური ინსტინქტით ის მუდამ გრძნობდა, რომ ნახევრადფატალური რევოლუციის ხელმძღვანელობას ვერ შეძლებდა. ის ნახევრად ბედისწერულ ტროცკის მუდამ ალმაცერად უყურებდა: მას სრულად არ ენდობოდა. ამ დროს მას შური არ ამოძრავებდა, არამედ ჭეშმარიტი რევოლუციონერის ალღო სტიქიისადმი, რომელიც უშუალოდ რევოლუციის წიაღიდან იყო ნაშობი. ცარიცინის დაცემის დროს ეს შესანიშნავად გამოვლინდა. ტროცკის სურდა, წითელ არმიაში მეფის ყოფილი ოფიცრები გამოეყენებინა, სტალინს კი უბრალოდ სძულდა ინტელექტუალები. აქ მოხდა შეჯახება ერთისა, რომელიც რევოლუციის წიაღიდან მოდიოდა, მეორესთან, რომელიც რევოლუციამდე მივიდა. ლენინი ორივე მათგანის საჭიროებას გრძნობდა და ურთიერთსაწინააღმდეგო დინებებს დიდი ოსტატობით არიგებდა. ის სტალინის საშუალებით ტროცკის ბონაპარტიზმისაგან იცავდა და ტროცკის მეშვეობით სტალინს თავისი ვიწრო სწორხაზოვნებისაგან ათავისუფლებდა. აქ ბრძოლა გაჩაღდა ორ უცხო, თითოეული შერწყმით დაპირისპირებულ სტიქიას შორის, რომელთაგან ერთი ხილული გახლდათ, მეორე კი – უხილავი.

ტროცკი ლენინის გვერდით იზრდებოდა: ნახევრად ბედისწერული აქ სრული ბედისწერული ხდებოდა. ლენინის გარეშე კი მან დაკარგა ის, რასაც ფატალურ გაბედულებას უწოდებენ. ტროცკი ბუნებით არ იყო მშიშარა: სამოქალაქო ომში მან დემონური მამაცობა გამოავლინა: გენერალ იუდენიჩის დაპყრობისაგან პეტროგრადის გადარჩენა მისი დამსახურება გახლდათ. აქ სიმამაცეს იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ თავიდან ლენინი მზადაც კი იყო, ქალაქი მტრისათვის ჩაებარებინა. მას მაშინ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრებოდა და, ამას გარდა, ლენინს ინტუიცია მხოლოდ მაშინ უჭრიდა, როცა ის მოვლენებში თავად ერეოდა – ფრონტები მან ტროცკის გადააბარა. ტროცკიმ ის პეტროგრადის დაცვის საჭიროებაში დაარწმუნა და ქალაქს უკანასკნელი, ზეადამიანური გაბედულებით იცავდა. და მაინც: ამ სიმამაცის უკან ურყევ კლდესავით სრული ბედისწერა – ლენინი იდგა. საკმარისი იყო, ლენინს ტვინის დამბლა მიეღო, რათა ტროცკის სიმამაცე მყისვე დაეკარგა.

დადგა რევოლუციის გადამწყვეტი, საბედისწერო მომენტი. ტროცკიმ მცირე ფაქტზე ფიასკო განიცადა და ეს

სწორედ ქართული საკითხი გახლდათ. ქართველი კომუნისტების ერთი ნაწილი ბუდუ მდივნის ხელმძღვანელობით საქართველოს ფართო ეროვნულ თავისუფლებას ითხოვდა. ამ მოთხოვნის წინააღმდეგ ყველაზე მწვავედ სტალინი გამოვიდა: მამის სიძულვილმა ის შინაგანად სამშობლოს წინააღმდეგ განაწყო. ლენინი მიხვდა, რომ საქართველო ძალზე თავისებური ქვეყანა გახლდათ და მდივნის ჯგუფის მხარე დაიჭირა, თუმცა სუფთა კომუნისტური პოზიციით აქ ალბათ სტალინის ცენტრისტული ხაზი უფრო გამართლებული იყო... შესაძლოა, რომ აქ რაღაც მოქმედებდა. დამბლის დაცემის შემდეგ ლენინის გვერდით, რომელიც თითქმის სიკვდილის ჰაერს ისუნთქავდა, მხეცის ინსტინქტი გაძლიერდა. დაცემული მარტორქა ახლა თავისი პატარა და ამღვრეული თვალებით უკვე ხედავდა, მდუმარე და შეუმჩნეველი კატა – სტალინი – ვეფხვში როგორ გადაიზარდა. ის შინაგანად თავს იდანაშაულებდა, რომ ეს აქამდე ვერ შენიშნა. ის ცდილობდა, ძალა მოეკრიბა და მძლავრი შეძახილით, შურისძიების მუქარით ვეფხვი ისევ თავის კატის ტყავში გამოემწყვდია. მაგრამ... გვიანღა იყო. ეს ლენინის უმწარესი განცდა უნდა ყოფილიყო... ქართულ საკითხში ლენინი ტროცკის მიემხრო – თავისთავად გასაგებია: არა საქართველოს სიყვარულით. ავადმყოფი ლენინი მოხსენებას ამზადებდა, რომელიც მეთორმეტე პარტიულ კონფერენციაზე სტალინის წინააღმდეგ ბომბივით უნდა გამსკდარიყო – მაგრამ რადგანაც დამბლის განმეორებისა ეშინოდა, მთელი მასალა ტროცკის მიანდო, ბუდუ მდივნისათვის მიწერილი წერილის ასლი კი კამენევს გაუგზავნა. ეს საკმარისი გახლდათ, რომ სტალინს ყველაფერი შეეტყო. იგი ბრძოლისათვის ემზადებოდა. თავდაპირველად ეცადა, დაერწ-

მუნებინა ლენინი, მაგრამ კრუპსკაიამ ხელი შეუშალა და გზაზე გადაუდგა. აქ გამძვინვარებულმა სტალინმა ბელადის მეუღლეს დიდი შეურაცხყოფა მიაყენა. ლენინი გაბრაზდა და ცოლს სტალინისათვის წერილს კარნახობდა, სადაც ის თავის ერთგულ თანამებრძოლთან ყოველგვარ პიროვნულ ურთიერთობას წყვეტდა. ეს ლენინის უკანასკნელი და, ამავე დროს, საბედისწერო წერილი გახლდათ. სტალინმა კარგად იცოდა, თუ რას ნიშნავდა განხეთქილება ლენინთან და მრისხანედ და პირქუშად ნახტომისათვის ემზადებოდა. ტროცკიმ კამენევი თავისთან იხმო, მას ყველაფერი აცნობა და მოითხოვა, რომ ეროვნულ, ამ შემთხვევაში ქართულ, საკითხში პოლიტიკა შეეცვალა და რომ კრუპსკაიასათვის ბოდიში მოეხადა. კამენევმა ეს სტალინს გადასცა. სტალინმა დათმო: ბოდიში მოიხადა, ხოლო კამენევი საქართველოში გაგზავნა პოლიტიკის შესაცვლელად. მაგრამ შინაგანად დაიბოღმა და სხვა რაიმესათვის მოემზადა. სწორედ ამ დროისთვის ლენინმა მეორე დამბლა მიიღო. სტალინმა კამენევს მყისვე დეპეშა გაუგზავნა. კამენევი საკმაოდ ცბიერი გახლდათ, იგი ხვდებოდა, ამჟამად რა უნდა გაეკეთებინა და, როდესაც ტფილისში ჩავიდა, ის სტალინის ხაზის გამგრძელებლის – ორჯონიკიძის – მხარეს დადგა. სტალინური პოლიტიკის შეცვლის მაგიერ მან მის განმტკიცებას ხელი შეუწყო კიდეც.

ასე დამთავრდა ეს მცირე ინტერმედია. სწორედ აქ გამოჩნდა, მომავალში ვინ გაიმარჯვებდა. ლენინის ტვინში სისხლის ჩაქცევის შემდეგ ტროცკიმ დაკარგა ისტორიული სიმამაცე, Amor fati-ს ძალა. მას საკუთარი თავის რწმენა ეკარგებოდა. მან არ იცოდა, რომ ქართულ ენაში „ბედს“, „გამბედაობასა“ და „ბედნიერებას“ ერთი და

იგივე ძირი აქვს. სტალინმა კი ეს იცოდა და არა მხოლოდ ბგერათა მიხედვით, არამედ მესამის – ბედნიერების – აღსაქმელად მას იმთავითვე ორგანო აკლდა. ჯერ კიდევ ლენინის აღსასრულამდე მან გაბედა, ლენინი ყოფილიყო. რაც შემდგომ მოხდა, ოდენ გაღვივება იყო ჩანასახისა. რამდენიმე ქრონიკა ამ დროისა.

1923 წელს შედგა პარტიის კონფერენცია. არ წაკითხულა ლენინის წერილი ქართულ საკითხთან დაკავშირებით – სტალინმა უბრალოდ განმარტა, რომ ლენინმა საქართველოდან არასწორი ცნობები მიიღო და კონფერენციას თავისი გადაწყვეტილება წარუდგინა, რომელიც შემდეგ ულაპარაკოდ მიიღეს. ტროცკი ამ გადაწყვეტილებას უცნაურად დაეთანხმა. ეს უკვე გარდატეხა იყო? ეს მან იგრძნო მოგვიანო შემთხვევის დროს, როცა ამის გამო მწარედ იწვნია. 1926 წელს კომინტერნის სხდომაზე კვლავ ეს საკითხი დადგა. სტალინი თავდაჯერებით და წყნარად გამოთქვამდა აზრს – (ლენინი უკვე გარდაცვლილი გახლდათ): ლენინი მაშინ ავად იყო და ამის გამო არ შეეძლო, ქართულ საქმეებს ჩაღრმავებოდაო. ბუდუ მდივანთან დაკავშირებით ის შემდგომ ამბობდა: „მე ვდევნიდი მდივანს?“ – დიახ – მაგრამ მოგვიანო ფაქტებმა დაამტკიცა, რომ ეგრეთ წოდებული გადახრა ბუდუ მდივნის შემთხვევაში სინამდვილეში უფრო მტკიცე გაკიცხვას იმსახურებდა, ვიდრე მე, როგორც ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, გავაკეთე“. დასასრულს მან კვლავ იდუმალი ღიმილით ახსენა: ამხანაგმა ტროცკიმ ასევე პარტიულ კონფერენციაზე ამ გადაწყვეტილებაზე თავისი თანხმობით უარი არ თქვა. ტროცკის ეს შენიშვნა მდუმარე რისხვით უნდა გადაეყლაპა.

დაიწყო ტროცკის ხანგრძლივი იზოლირება. სტალინმა მის წინააღმდეგ რევოლუციონერების მთელი არმია აამხედრა: ზინოვიევი, კამენევი, კალინინი, ბუხარინი, ტომსკი. თავად მხედართმთავარი ჩრდილში დარჩა: წარმატებისათვის ალბათ უკეთესი იყო. „ტროცკიზმი“ უმალვე „ლენინიზმის“ საწინააღმდეგო აღმოჩნდა და უკვე მზად იყო ლოზუნგი: ძირს ტროცკიზმი!

ახლა სტალინი თავს დაცულად გრძნობდა. მას მხოლოდ ის აწუხებდა, რომ ლენინის ანდერძში ის მკაცრად იყო დახასიათებული. ლენინი ბუნდოვნად გრძნობდა, რომ სტალინს, როგორც პარტიის გენერალურ მდივანს, შეეძლო რევოლუციის ბედისწერა გამხდარიყო. ეს ანდერძში პირდაპირ არ იყო გამოხატული, მაგრამ შეიგრძნობდნენ – უპირველესად, თავად სტალინი – სიტყვებსა და სტრიქონებს შორის. სტალინი საფრთხეს გრძნობდა, მაგრამ როგორ აეცილებინა ის თავიდან? მან მოახერხა, ხელი შეეშალა, რომ ანდერძი მე-13 პარტიულ კონფერენციაზე წაეკითხათ. მაგრამ ჩუმად ყველგან ამაზე ლაპარაკობდნენ. მაშინ სტალინმა ერთი მანევრი მოიფიქრა: ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ანდერძი თავად წაიკითხა. კომიტეტის ინტიმურ ატმოსფეროში ამან იმოქმედა, ვითარცა თავგანწირვამ და რისკმა. მან ანდერძიდან მისი პიროვნების დამახასიათებელი ციტატა წყნარად მოიტანა და ძალზე მოკრძალებულად იკითხა: „მე უხეში ვარ? თუმცა უხეში ვარ მხოლოდ მათთან, ვინც პარტიის ნებას არ ასრულებს“ (ეს მთლად გულწრფელი იყო) და დასძინა: „მაგრამ თუ პარტიას სურს, როგორც მდივანი, გამათავისუფლოს, გთხოვთ!“ (ეს ნამდვილი ხაფანგი იყო). ამ დახვეწილმა საჭადრაკო სვლამ გაამართლა: გამოწვევა გადაჭრით იქნა თავიდან

აცილებული. თუმცა უმრავლესობა წინასწარ უკვე სათანადოდ იქნა მომზადებული კამენევისა და ზინოვიევის მიერ. ამჯერად სტალინი ლენინის ანდერძზე იმარჯვებდა.

ტროცკის გავლენამ პარტიული ფენების შიგნით დაცემა დაიწყო. 1925 წელს მან გამოაქვეყნა წიგნი „ოქტომბერზე", სადაც ზინოვიევი და კამენევი გამანადგურებლად არიან დახასიათებულნი, როგორც მხდალები, რომლებსაც ოქტომბრის აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ეს წიგნი სტალინისათვის ფასდაუდებელი მონაპოვარი აღმოჩნდა ტროცკის წინააღმდეგ. კამენევი და ზინოვიევი ამჯერად მძვინვარე მონდომებით ეცდებოდნენ, ტროცკი ბოლომდე გაენადგურებინათ. ისინი ცდილობდნენ, მისი ადრეული „ცოდვები" გამოემზეურებინათ, კონფლიქტი ლენინთან და მრავალი სხვა. ისინი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაებნენ. სტალინი სიხარულისგან ხელებს იფშვნეტდა. 1925 წელს ტროცკი სამხედრო კომისრის თანამდებობიდან „გაათავისუფლეს". ამით მან დაკარგა უკანასკნელი პოზიცია, რომლითაც სახელმწიფო საქმეთა განხორციელება შეეძლებოდა. ტროცკი განადგურდა. ორივე დემონის ბრძოლაში, არიმანმა, სიძულვილის ნაშიერმა, როგორც ყოველთვის, დაამარცხა ნახევრად ლუციფერი.

ზინოვიევმა და კამენევმა ახლაღა გააცნობიერეს, რომ ისინი სტალინის ხელში უბრალო იარაღები იყვნენ. მაგრამ გვიანღა იყო. ისინი ახლაღა მიხვდნენ, რომ სწორედ ის კაცი გაანადგურეს, რომელსაც ერთადერთს შეეძლო სტალინის ძლევა. მათ გადაწყვიტეს, კავშირი შეეკრათ ტროცკისთან სტალინის წინააღმდეგ. მაგრამ ტროცკი მეტად აღარ იყო ის ტროცკი, როგორიც ადრე. დოღის ცხენი, რომელსაც ერთხელ სისხლძარღვები დაეკრუნჩხება –

ქართული ანდაზის მიხედვით – აღარაფრად ვარგა. ამას გარდა, ყველგან ისიც ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ კამენევი და ზინოვიევი უეცრად ტროცკის მხარეს დაინახეს მას შემდეგ, რაც მათ მის წინააღმდეგ ბრძოლა თითქმის დაასრულეს. სტალინმა ეს განწყობილება მართლაც ძალზე მოხერხებულად გამოიყენა. ზინოვიევმა და კამენევმა განმარტეს, რომ ადრინდელი ბრძოლა ტროცკის წინააღმდეგ გაუგებრობა ან შეცდომა იყო. ამან შთაბეჭდილება კიდევ უფრო გააუარესა.

სტალინის საწინააღმდეგო ოპოზიციამ უკან არ დაიხია. 1926 წელს მათ გაილაშქრეს სტალინის შეხედულების წინააღმდეგ, რომ შესაძლებელია, სოციალიზმი ერთ ცალკეულ ქვეყანაში განხორციელდეს. სტალინმა ჯიუტად დაიცვა თავი. მან ორივე მხრიდან ციტატების ნამდვილი ნიაღვარი ჩართო და უმეტესად ლენინის შრომებიდან. პარტია ვერ ხედავდა, რომ საკუთრივ ციტატებით ყველაფრის დამტკიცება შეიძლებოდა. ამას გარდა, ოპოზიციას ასევე დაავიწყდა, რომ ძალაუფლებას ციტატებით ვერ გამოჭედავ – და მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო: იმავე წლის 16 ოქტომბერს დაიმორჩილეს ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი, პიატაკოვი, სოკოლნიკოვი, ევდოკიმოვი. მათ განაცხადეს, რომ ისინი დაემორჩილნენ პარტიის უმრავლესობის ნებას, მაგრამ სურდათ, შეენარჩუნებინათ შესაძლებლობა, რათა თავიანთი შეხედულებანი პარტიის ჩარჩოებში კვლავ დაეცვათ. ეს უკვე კოლექტიური მარცხი იყო. ოპოზიციამ ვერ დაინახა, რომ გამოთქმა „პარტიის ჩარჩოებში" საკუთრივ „სტალინის ხელში" ყოფნას ნიშნავდა. ეს იმდენად იყო მოულოდნელი, რომ მას ამ ხელების სიმკაცრის შემოწმება უკვე საკუთარი გამოცდილებით შეეძლებოდა. ოპოზიციას საშუალება მიეცა,

ეს სიმკაცრე ხელახლა შეეგრძნო: ტროცკი და კამენევი ცენტრალური კომიტეტის შემდეგ სხდომაზე პოლიტბიუროდან გარიცხეს და ზინოვიევი, როგორც კომინტერნის ხელმძღვანელი, თანამდებობიდან დააქვეითეს. მაგრამ ოპოზიციას ამჯერადაც ჯერ კიდევ არ სურდა კაპიტულირება. ის ბრძოლას კომინტერნში აგრძელებდა. ამასთან, მას კვლავ დაავიწყდა, რომ კომინტერნი უბრალოდ ცენტრალური კომიტეტის ბრძანებას ემორჩილებოდა და ის ამჯერადაც სამარცხვინოდ დამარცხდა. აქ განსაკუთრებით კამენევმა განიცადა მარცხი, რომელიც მას ალბათ დღემდე არ დავიწყებია. ამასობაში დისკუსიას ნება შესძინა სტალინმა – ჩანს, ამას გარდა, ნდობით – თავის სიტყვაში ჩაქსოვილი შხამიანი ირონიით: „მე ვსაუბრობ ერთ ინციდენტზე, რომელშიც კამენევი გაეხვია, როდესაც ის გადასახლებაში ისევ ციმბირში იმყოფებოდა. ამხანაგი კამენევი მარტის რევოლუციის შემდეგ ციმბირის გავლენიან ვაჭრებთან ერთად ცდილობდა, მიხეილ რომანოვისათვის, რომელსაც მეფემ თავისი გადადგომისას ტახტზე უფლება ჩამოართვა, ტელეგრამა გაეგზავნა კეთილი სურვილებით“. მსმენელნი გაშრნენ. მაღალი რანგის ბოლშევიკი გავლენიან ვაჭრებთან ერთად ბედნიერების სურვილით ტელეგრამას უგზავნის მიხეილ რომანოვს, ექს-ხელმწიფის ძმას, რომელიც ტახტზე უნდა ასულიყო? ეს ცენტრალური კომიტეტის წევრებისათვის გაუგონარი რამ იყო. დისკუსიის საგანთან ეს ახალი ამბავი არავითარ კავშირში არ იყო – იმდენად გამანადგურებლად იმოქმედა ამან. კამენევთან ერთად ოპოზიციაც უნდა შერცხვენილიყო და დაბნეულად დადუმებულიყო.

ლენინური გვარდიის მარცხენა ფალანგა დამარცხებული ჩანდა. უეცრად ხმა გავარდა, სტალინმა ჩინეთში

თავისი მოკავშირეები დააღალატაო. ერთი დღით ადრე სტალინმა ჩინეთის რევოლუცია კვლავ შთაგონებული სიტყვებით განსაჯა. მავანნი ამტკიცებდნენ, რომ მისი სიტყვა „პრავდისათვის“ უკვე დაბეჭდილი იყო, მაგრამ არ გამოაჩინეს: სტალინს ალბათ არ სურდა, ეჩვენებინა, რომ ჩინურ ურთიერთობათა საწინააღმდეგოდ თავის ეშმაკობაზე უკვე უარი უნდა ეთქვა. დამარცხებული ოპოზიცია ხელახლა გამოცოცხლდა. ზინოვიევმა მათი მოულოდნელი გამბედაობა შეიგრძნო. ერთ-ერთ შეკრებაზე, რომელზეც არა მხოლოდ პარტიული ამხანაგები ესწრებოდნენ, მან ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას გაავებული გამაფრთხილებელი ნიშანი მისცა. ტროცკი სტალინს მსოფლიო რევოლუციის ღალატშიც ადანაშაულებდა. გავრცელდა 38 ძველი ბოლშევიკის მიერ ხელმოწერილი წერილი, რომელიც სტალინური მმართველობის წინააღმდეგ იყო მიმართული. მუშათა ჯგუფი, რიცხვით 15, სტალინის პოლიტიკას ანტიპროლეტარულად განიხილავდა. ახლად გაჩაღდა ცხარე ბრძოლა. სტალინი რისხვასა და შურისძიებაში იკუმშებოდა. ტროცკი საკუთარ თავში უკანასკნელ ძალებს იკრებდა. სხდომაზე ის უბრალოდ სტალინის გადადგომას ითხოვდა და თავის ორატორულ გამოსვლაში მან მაგალითი გამოიყენა Clemenceau-სი, რომელმაც 1914 წელს, როდესაც გერმანული არმია საფრანგეთის დედაქალაქს უახლოვდებოდა, უვარგისი მმართველობის გადადგომა მოითხოვა. როგორც ყოველთვის, ტროცკიმ ამჯერადაც „შორს შეტოპა“. ეს დარტყმა სტალინმა თავისებურად მიიღო: „თუ მტერი უკვე მხოლოდ 80 კილომეტრითაა კრემლის კედლებიდან დაშორებული, ეს ჩვენი Clemenceau, ეს ოპერეტის Clemenceau, რადგან მტერი კრემლამდე 80 კილომეტრზეა

მოსული, უპირველესად, ახლანდელ უმრავლესობას (ცენ-
ტრალურ კომიტეტს) ამხობს და შემდეგ დაკავდება სა-
ქმეებით". აქ ასევე არ იყო ლოგიკა – ამ საპასუხო დარ-
ტყმამ მიზანს უფრო დამაჯერებლად მოარტყა. თითქმის
შეუმჩნევლად ცხადი გახდა, რომ უმრავლესობა სტა-
ლინის მხარეს იდგა. კიდევ უფრო შეუმჩნევლად – რომ
ტროცკის პირველად ეყო გამბედაობა, წარმოსახვითი
მტრის სიახლოვეს უწინარესად ამ უმრავლესობაში არეუ-
ლობა შეეტანა. მთავარი კი ამ ჩანართში იყო – ეს ჩვენი
Clemenceau. როგორც ყოველთვის რევოლუციონერების
ურთიერთშეხლისას, გაბედული და მარჯვე სიტყვა საბე-
დისწეროდ იქცევა ხოლმე – ასე იმოქმედა ამ შეძახილმა,
როგორც სიგნალმა. ტროცკი ოპერეტის Clemenceau-ა?
ამგვარად ეს მოულოდნელიც იყო და გამანადგურებე-
ლიც. ოპოზიციას კვლავ დამარცხება უნდა ეღიარებინა.

1927 წელს ოქტომბრის გადატრიალების მე-10 წლის-
თავს დღესასწაულობდნენ. ოპოზიცია კიდევ ერთხელ
გამოჩნდა: მათ ცენტრალური ხელმძღვანელობის წინააღ-
მდეგ მასობრივი დემონსტრაციები მოაწყვეს, მაგრამ
დაავიწყდათ, რომ სსრკ მეტად აღარ იყო ცარისტული
რუსეთი, სადაც მოწინააღმდეგის წინააღმდეგ ამგვარ
საშუალებას კვლავ აზრი და გავლენა ჰქონდა. ამჯერად
შედეგად მხოლოდ ის მიიღეს, რომ ტროცკი და ზინოვიევი
პარტიიდან გარიცხეს. მსგავსი ბედი ეწიათ: რაკოვსკის,
რადეკს, პიატაკოვს, კამენევს. მაგრამ მალე ზინოვიევისა
და კამენევის შესახებ მონანიება მოვიდა. ორივესათვის,
როგორც გამოუსწორებელი მოსწავლეებისათვის, სტალი-
ნი გამოსაცდელ ვადას განსაზღვრავდა. ეს არა მხოლოდ
პოლიტიკური სიკვდილი – ეს სირცხვილიც იყო.

ასე დაამარცხა სტალინმა მემარცხენე ოპოზიცია. მა-
გრამ ზოგიერთებს, რასაც მარცხნივ ითხოვდნენ, სტალინ-
მა იდუმალად სწორად მიაკვლია და ამჯერად მართლაც
გადალაგება დაიწყო. ამგვარად მოითხოვდა ის ულმობელ
ბრძოლას კულაკთა, შეძლებული გლეხების, წინააღმდეგ.
ახლა შეიქმნა ოპოზიცია მარჯვნიდან. მაგრამ მას მემარ-
ცხენეთა არც ძალა, არც მოქნილობა, არც მოთმინება არ
ჰქონდა. და მათი გათელვა სტალინისათვის ოდენ გარ-
თობა იყო. ამ ოპოზიციის ხელმძღვანელებზე – რიკოვზე,
ბუხარინზე, ტომსკიზე – ერთ-ერთ კონფერენციაზე ის
გამხიარულდა კიდეც. „ისინი იმგვარი ავადმყოფობით
იტანჯებიან", – ამბობდა ის, – „როგორითაც ბელიკოვი,
ჩეხოვის ცნობილი გმირი, ბერძნული ენის მასწავლებელი.
როგორც ვიცით, ის მუდამ ჩექმებით, დაბამბული პალ-
ტოთი და საწვიმარი ქოლგით მიმოდიოდა თბილ თუ ცივ
ამინდში". „ამ ივლისის სიცხეში რატომ დადიხართ ჩექმე-
ბითა და ზამთრის პალტოთი?" – ეკითხებოდა მავანი ბე-
ლიკოვს და ის პასუხობდა: „არასოდეს იცი, შეიძლება რა-
ღაც მოხდეს... შეიძლება უეცრად სუსხი დადგეს... მაშინ
რა უნდა ვქნა?.." ყველაზე მეტად მას ეშინოდა სიახლისა,
უპირველესად იმისა, რაც მის მონოტონურ ცხოვრებას
რიტმიდან ამოაგდებდა. ახალი რესტორანი გაიხსნა და
ბელიკოვი აფორიაქდა: „რესტორნის ქონა ძალიან კარგია,
მაგრამ შემდეგ რაიმე არ მოხდეს"... დაარსდა ლიტერა-
ტურული გაერთიანება, გაიხსნა სამკითხველო ოთახი.
ბელიკოვი კვლავ შიშმა შეიპყრო: „ლიტერატურული
გაერთიანება, ახალი სამკითხველო ოთახი? – რისთვის?
ყურადღება მიაქციეთ, რაიმე არ მოხდეს..." სტალინს მო-
ჰყავდა შემთხვევები რიკოვის, ბუხარინისა და ტომსკის
საქმიანობიდან – ისინი ჩნდებოდა და უამრავ მსმენელს

იკრებდა. სამივე მათგანი ბერძნული ენის ამ სასაცილო მასწავლებლის როლში. კონფერენციის დარბაზს საყოველთაო, გაუგონარი ხარხარი გადაუვლიდა ხოლმე.

ამ დროისათვის სტალინი უკვე დიქტატორი იყო.

ასე გადიოდა დღეები, კვირები, თვეები, წლები. ოპოზიციური ჯგუფები მარჯვნიდან და მარცხნიდან თავს ესხმოდნენ სტალინს. სტალინი, მრავალმხრივ გამოცდილი, მუდამ იმარჯვებდა. დამარცხებულნი მის წინაშე ქედს იხრიდნენ და იჩოქებდნენ და თავიანთ ცოდვებს ინანიებდნენ. ყველას უკვირდა „ლეგენდარული ქართველის“ გამარჯვებანი და ლენინის მიერ შერქმეულ ამ ზედმეტსახელს დამატებით მეტად ყურადღებით აკვირდებოდნენ. ისინი გაოცებულნი იყვნენ და ვერ ხვდებოდნენ: როგორ? საიდან მოდიოდა ეს ძალა ველური და უხეში კავკასიელისა? მათ არ იცოდნენ, რომ სტალინის ბოლშევიკურ სულში უშრეტი ცხოველური გრძნობები რაციოს უახლოვდებოდა, და რომ გამარჯვებისათვის სწორედ ეს იყო გადამწყვეტი. გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა და სტალინი დღითიდღე იზრდებოდა და მისი ძლევა ვერავითარ ძალას ვერ შეეძლო. მითისაგან განძარცულ დროში ყოფილ რუსეთის იმპერიას მოევლინა კაცი, არნახულად ტოტემური ძალით.

რევოლუციის ბედისწერა, ლენინი, კუბოში იწვა, ბალზამირებული, მითოსი ახალი ფარაონისა. რევოლუციისათვის მებრძოლი, ტროცკი, გაძევებული, ბოსფორის ნაპირებზე ან სადმე სხვაგან, მემუარებს წერდა. რევოლუციის საჭე სტალინის ხელშია. ის კრემლში ზის, როგორც ადამიანად ქცეული რადიომიმღები. საბჭოთა ქვეყნის ყოველი კიდიდან ის ურიცხვ ტალღას იღებს. მაგრამ იგი ოდენ მიმღები არაა, არამედ მისი შემქმნელი და მსაჯულია. რამდენიმე წლის წინათ მან ერთი განკარგულებით შეაჩერა ქვეყნის კოლექტივიზაცია, როცა „წარმატებებმა“ განსაკუთრებით მონდომებულებს თავბრუ დაახვია და თითქმის კატასტროფამდე მიიყვანა. 18 წლის განმავლობაში ის, მუშათა მასების მოლეკულურ პროცესებში წარბშეუხრელად ჩაძირული – თავადაც უჩვეულო მოლეკულა – და მისგან ხელუხლები არცერთი მოლეკულა არ რჩებოდა. სხვა თანამებრძოლნი რევოლუციის წინა დროის რუსეთიდან შორს ცხოვრობდნენ: ისინი რუსულ განვითარებას თვალს ევროპის ემიგრანტული მანსარდებიდან ადევნებდნენ. სტალინი კი მუდამ მუშათა მასების გრიგალში ცხოვრობდა, მუდამ უჩინარი, მაგრამ ქმედითი ელემენტი. ადრეულ დროში ტომის ბელადი საკუთარ თავში მთელი ტომის ძალას უყრიდა თავს, სტალინში აკუმულირდებოდა პროლეტარული ენერგია და, როდესაც რევოლუცია ძლევამოსილად გაჩაღდა, ის უეცრად კვლავ გამოჩნდა: იგი მისი განმახორციელებელი გახდა. ის მეტად აღარ არის ადამიანი, ის არსებაა, ან არაარსება, საშიში და სასტიკი.

ზოგიერთები მას ჩინგის-ხანს და თიმურს ადარებენ. შედარება მცდარია: მონღოლ დამპყრობლებს ჰქონდათ ცეცხლი, გაქანება და სიშმაგე. სტალინს კი ცეცხლი არა აქვს, ის ცივსისხლიანია. ეს რაღაც სახით მის ძალმოსილებას ალბათ აძლიერებს კიდეც. ნიცშეს სიტყვები გენიის სიმწიფის შესახებ – „კვლავ პოულობს სერიოზულობას, რომელიც მას ბავშვობაში თამაშისას ჰქონდა“ – სტალინს არ შეეფერება. მას ეს სერიოზულობა არა აქვს, ბავშვობის ასაკში მას ბავშვობაც არ ჰქონია. მას იმთავითვე რაღაც ამძიმებს და თამაში არ უყვარს. ის, თავისუფალი ყოველგვარი კომპლექსებისა და შეფერხე-

ბისაგან, ზემოქმედებს, როგორც ბუნების ძალა, ბრმად და ძლევამოსილად.

მავანნი მას მიაწერენ, თითქოს შურიანია და ჰყვებიან შემდეგს: პოლიტბიურომ ტროცკის პეტროგრადის გადარჩენისათვის „წითელი დროშის“ ორდენი მიანიჭა. უეცრად კამენევმა სხდომას შესთავაზა, რომ ამგვარი ორდენი სტალინსაც მიეღო. „რისთვის?“ გაოცებით წამოიძახა კალინინმა. ბუხარინმა განმარტა „ვერ ხვდებით? ეს ლენინის იდეაა. სტალინი ვერ იტანს, თუ ის ასევე არ იღებს იმას, რაც სხვას აქვს. ის ამას არასოდეს პატიობს“. იმას არავინ იხსენებს და არ შენიშნავს, რომ, თუ მონათხრობი სწორია, აქ ლენინისათვის ადამიანის ცნობის უნარს არ უმტყუნია. სტალინს არ შეეძლო, შურიანი ყოფილიყო, თუმცა სხვისი გამორჩეულობა მისთვის აუტანელია, მაგრამ არა იმიტომ, თითქოს მას სურდეს, თავად იყოს გამორჩეული. ის გამორჩეულობას საერთოდ ვერ იტანს, საკუთარი იქნება თუ სხვისი. საკუთარი გამორჩეულობის შეგრძნება თრობის ნიჭია. სტალინში კი დიონისოს, თუნდაც გადატანითი მნიშვნელობით, არასოდეს უცოცხლია. საერთოდ, ეს თვისება ჯავშანია საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის. სტალინი არ იცნობს გამარჯვების თრობას.

ყველას აოცებს სტალინის ასკეტიზმი. უკვირთ, რომ მას არ იზიდავს გრძნობიერი სიხარული (მიწიერი სიამოვნებანი): არც ქალი, არც თამაში, არც ღვინო. თუმცა საერთოდ ვერ ამჩნევენ, რომ სტალინს ასკეტობის მოთხოვნილება საერთოდ არა აქვს: ამგვარი რამეებისათვის მას უბრალოდ ორგანო აკლია. უნდა გიყვარდეს, სიხარული რომ შეიგრძნო – თავდავიწყებამდე. სტალინი კი საკუთარ თავს არასოდეს ივიწყებს და დოსტოევსკის

სიტყვები ჯოჯოხეთის შესახებ – თუმცა სტალინს არც ჯოჯოხეთისა სწამს და არც სამოთხისა და ყოველგვარ ღვთის რწმენას ლენინის მსგავსად გვამთმავლობას ადარებს – ეს სიტყვებია: „ის (ჯოჯოხეთი) არის ტკივილი იმის გამო, რომ მეტად აღარ ძალგიძს სიყვარული“ – უფრო მეტად უნდა აფიქრებდეს მას. მას არა აქვს სიყვარულის ნიჭი. აქ ხახას აღებს მისი უფსკრულისებრი ნაღველის უღრმესი სიცარიელე, რომელიც დამნაშავის შეუვალი ნიღბის ქვეშ იდუმალებაში რჩება.

სტალინი ზის კრემლში, საქმეებში ჩაფლული, ძალაუფლების მქონე, მაგრამ არა ხელმწიფე, ბირთვი რევოლუციური ძალებისა, არსება და არა ადამიანი – ელექტროგამტარი გამაფრთხილებელი წარწერით: „სახიფათოა სიცოცხლისათვის!“ მასთან სატელეფონო საუბარიც კი თრგუნავს. მისი სახიფათო, დამუქრებული ზემოქმედებისაგან არავინაა დაზღვეული. ის, სასტიკი დინებებით აღსავსე, ძლევამოსილად აღიმართება, როგორც საბჭოთა ქვეყნისა და, ალბათ, მთელი მსოფლიოს, ცივი და ბრმა ბედისწერა. და მაშინ, როდესაც იდუმალი დენის კონტაქტი ერთხელაც გადაირთვება, როცა ის, უდრეკი, დინებათა ქსელიდან გამოცოცდება – და, საკუთარი თავისაგან გაუცხოებული, გაქრება – როდესაც ის შეშინებული იგრძნობს, რომ ყველა ძალამ დატოვა, – აი, მაშინ არის სტალინი ოდენ სოსო ჯუღაშვილი, ერთი უბრალო ქართველი. მაშინ გაახსენდება შორეული საქართველო, რომლისგანაც მას მხოლოდ ეს შემორჩა: გემო ქართული საჭმლისა „საცივი“, კახური ღვინო, სიმღერა „მრავალჟამიერი“ და ქართული გინება „მაგათი დედა კი ვატირე!“

ჰიტლერი

ჰიტლერი
უცხოელი მწერლის თვალით

გრიგოლ რობაქიძე

გერმანულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო
დალი ფანჯიკიძემ

პირველად გამოიცა გერმანულ ენაზე 1940 წელს
დიდერიხის გამომცემლობაში

კონტურები

ისი უამრავი ფოტო მინახავს, მაგრამ ყოველ მათგანზე იგი სხვადასხვანაირია. შეიძლება იფიქრო, მისი შინაგანი მზერა ობიექტივს გაურბისო. ეს „შორეული სახის“ უტყუარი ნიშანია. ჩემს ყურადღებას იპყრობს ფოტო, სადაც იგი ჰინდენბურგთან ერთად არის გადაღებული: დიდი სარდალი, ოთხმოცს გადაცილებული ჭარმაგი კაცი, ჯერ კიდევ კლდესავით დგას, ოღონდ მოკლებულია ყოველგვარ იდუმალებას. იგი აქ იმყოფება, ესაა და ეს. მაშინ როცა ჰიტლერი, მოკრძალებით გულზე ხელებგადაჭდობილი და გარინდული, ოდნავ შესაგრძნობი აურის საფარველში გახვეული, უსასრულოდ იზრდება და სიშორისაკენ მიისწრაფვის. ვინ იცის, იქნებ მისი სახე გამუდმებით ასხივებს ისეთ შინაგან ძალას, რომ დაუნდობელი, მოურიდებელი კამერა უძლურია თვალწამით შეაჩეროს და ფირზე აღბეჭდოს იგი.

დაფარული არ გაცხადდების, მაგრამ მაინც ღირს შეეცადო გამოიცნო იგი. ძალზე დამახასიათებელია ის ფოტო, სადაც იგი ბატონ რიბენტროპს, ლონდონის მაშინდელ ელჩს, ფლოტის თაობაზე მიღებული კონვენციისთვის მადლობას უხდის: სერიოზული და შეწუხებული სახე აქვს, ბატონი რიბენტროპი კი სიხარულისგან გასხივოსნებულია და ის სხივი ფიურერის შინაგანი შუქისგან მოედინება. დიახ, მისი სახე აშკარად განსახოვნდება იმ

ადამიანში, ვისაც იგი იმ წუთში ესაუბრება. იგი ხშირად ჩნდება მოზარდების წრეში და მათი აღფრთოვანებული სახეებიც მისი შუქითაა გაცისკროვნებული.

მას ჟამიდან ჟამზე კვირის ახალ ამბებში ვუყურებ ხოლმე. აქ მისი სახე უფრო უშუალო და მეტყველი ჩანს. მარშალ გერინგის ქორწილზე გადაღებული ფილმი კი მას ლამის სიმბოლურად წარმოგვიდგენს. იგი ყველასთან ახლოს დგას, განსაკუთრებით კი ახალდაქორწინებულ წყვილთან და მაინც ჩანს, რომ თანამებრძოლები და მეგობრები, ანუ მისი ახლობლები, ამ სიშორეს ყველაზე უფრო მწვავედ სწორედ მის სიახლოვეს განიცდიან.

ერთხელ იგი – თუკი უფლება მაქვს ჩემი სუბიექტური განცდა სიტყვიერად გამოვხატო – შემოქმედებით, სულიერ სიბრტყეზე აღვიქვი, იქ, სადაც ირეალური ლამის რეალურს ესაზღვრება. ამიტომაც ვბედავ ვთქვა: ვერც ერთი მხატვარი ვერ შეძლებდა მისი შინასახე სრულად გამოეხმო და პორტრეტში გაეცოცხლებინა. იქნებ ვინმე ხეზე მკვეთელს ხვდომოდა წილად ეს ბედნიერება, მაგრამ მაშინ პორტრეტს მისი მუქლურჯი და თან შუქიანი თვალები დააკლდებოდა, მის შინაგან სამყაროს თავის თავში ფარულად რომ დაატარებენ. ამ თვალების მკაცრი მზერის წინაშე გაცამტვერდება ყოველივე ყალბი და ცრუ.

მისი მიხრა-მოხრა თავის სწორუპოვრობის გამოა თვალშისაცემი. აი, იგი კიბეზე ჩამოდის. კიბის ძირში მედიდურად ჩერდება, საგნებს ზემოდან დასცქერის და შორს ისე იყურება, თითქოს უეცრად რაღაც საფრთხე იყნოსაო; შემდეგ თავს ხრის, ოდნავ მკაცრად, გრძელი, ღონიერი ნაბიჯით განაგრძობს გზას. ხელებს იქნევს, გრძელ, ენერგიულ ხელებს, რომლებიც მის მტკიცე ნაბიჯს ფრთას ასხამენ. აქ მისი ყოველი მოძრაობა პლასტიურად დასრულებული ჩანს.

ხმა იდუმალი

მისი ყოველი გამოსვლა ერთადერთი და განუმეორებელია. ათასობით ადამიანი მასთან უშუალო შეხვედრას ელოდება, მილიონები კი რადიოგადაცემის მოლოდინში გაქვავებულან. აბრიალებული ტალღა ტალღაზე მოგორავს და აღტკინებისგან გუგუნებს. ტანი უგრძნობთ: იგი მოდის, იგი უკვე ახლოსაა. შუქშობილის მოლოდინში ყოველი ხმის გაგონებაზე უტოკავთ ფესვები. უსაშველოდ მოდიდებულან ტალღები. აქ მარტო აღარავინაა: „ყოველი მხარი ძმაა და ყოველი მზერა დაია შენი“ („გრაალის მცველნი“). ტალღისგან ატაცებული ბედნიერი მსმენელი ჰაერში ნანაობს: იგი ერთდროულად ნადავლიც არის და ნადავლის მომპოვებელიც, და აი, ფიურერიც აქ არის. ქარბორბალასავით ეხვევა გარს შეძახილი: „ჰაილ! ჰაილ! ჰაილ!“ აბობოქრებული ზღვის ზედაპირი მშვიდდება. ნელ-ნელა იკეცებიან ჩამცხრალი ტალღები. არსაიდან ისმის ხმა, ყველა ჩაწყნარებულია, მხოლოდ გულები ძგერენ ძალუმად, მოლოდინით ანთებულნი. და აი, გაისმის დაბალი ხმა, მკაცრიც და მოსიყვარულეც, და სუნთქვაშეკრულთ ესმით ნაცნობი სიტყვები: „გერმანელო მამაკაცებო და ქალებო!“ რამდენიმე ჟესტი და ორატორი ჭეშმარიტად ღვთიური გზნებით საქმეზე გადადის.

ამ დაბალ ხმას მილიონობით ადამიანთან ერთად მეც გულმხურვალედ ვუსმენ. დროგამოშვებით სიტყვებს თავს

ვანებებ, მხოლოდ შინაგან ენას ვაყურადებ და უცნაურ ხილვას ვეღარ ვეშვები. ორი მილიონი მიცვალებული წევს ქანცგაწყვეტილ მიწაზე, შვიდ-ნახევარ მილიონს ჯერ კიდევ სისხლი სდის, დიდ გერმანულ არმიას იარაღი დაუხრია. პირქუშ, უმთვარო ღამეში არაამქვეყნიური სიჩუმე ისადგურებს. უეცრად შორიდან მოისმის ხმა, ნაღვლიანი და ტკივილიანი, მაგრამ თავგანწირვითა და სასიცოცხლო ენერგიით აღსავსე. სიჩუმეში გამაოგნებლად გაისმის ეს ხმა, ნუთუ ეს მითად ქცეული უცნობი ჯარისკაცის ხმაა? სიჩუმეში გამაოგნებლად გაისმის ეს ხმა და ამავე დროს გულის სიღრმეში ყველას ჰგონია, თითქოს თავად ლაპარაკობდეს.

ადოლფ ჰიტლერის სიტყვების უკან მუდამ ვგრძნობ ამ ხმის გამოძახილს. იგი ისე სულის შემძვრელად ლაპარაკობს, რომ ხანდახან აღარც კი მჯერა, ეს ხმა ერთი ცალკეული ადამიანის ხმა შეიძლება იყოს თუ არა. აი, ჭეშმარიტად სად ცნაურდება გერმანული თვითობა.

იქნებ ეს თვითობა მეტაფორულად არის გასააზრებელი?

იგავები

ყოველი მცენარე მხოლოდ დროის ერთ რომელიმე მონაკვეთშია საცნაური: მორჩობაში, ყლორტობაში ან სიმწიფეში, მაგრამ ვინაიდან იგი თავის თავში ატარებს მისი ნებისმიერი ნაწილიდან მთელის აღდგენის შესაძლებლობას, ამიტომაც ჭვრეტს მთლიანობაში მას გოეთეს მზიური თვალი: წინ – მორჩიდან ყლორტამდე და უკან – ყლორტიდან მორჩამდე. და ბოლოს ჩვენს წინაშე მატერიალურიმატერიალურად ფარფატებს თვით თაურმცენარე (ისევე როგორც ბავშვის სახეში შეიძლება დაიჭირო დედისა ან მამის სახე).

თაურმცენარე მცენარის ყოველ ფაზაში თვლემს. მართალია, ზრდის პროცესში, მაგრამ ერთჯერადად მთლიანობაშიც. იგი ხალხის ყოფიერების ხატში სრულყოფილ შესატყვისს პოულობს. ასე ხალხის თაურუჯრედზეც, ანუ დვრიტაზეც შეიძლებოდა გველაპარაკა. მე სხვა არავინ მეგულება, ხალხის დვრიტას ჰიტლერივით რომ ჩასწვდომოდეს.

უფრო ნათლად: ჩემი მშობლიური ქვეყნის ნებისმიერ გლეხს რომ ვკითხო, რა მოსდის ყურძენს სიმწიფეში შესვლისას, მყისვე მივიღებ პასუხს: მტევანში თვალი ჩავიდაო. ხოლო თვალში მზე იგულისხმება. ნუთუ მას გოეთეს ღრმა აზრი აქვს გაგონილი? „ვისაც მზიური არა აქვს თვალი, მას მზის დანახვაც არ შეუძლია“. ცხადია, არა.

მაშ, საიდან უწყის ეს საიდუმლო? საიდან და ეს ცოდნა მას თავის მშობლიურ ენასთან ერთად ეძლევა, სადაც „მზეს“ და „მზერას“ ერთი და იგივე ფუძე აქვს. მაინც ვინ მიხვდა ამას? ჯერ ერთი იმას, რომ მზე კოსმიური თვალია, რომლის სხივებშიც შიგნიდან გამოსჩანს რაღაც და მეორე: ეს თვალი რომ ჩადის მტევანში, რათა იგი სიმწიფემდე და სისავსემდე მიიყვანოს? კი მაგრამ, მაინც ვინ შექმნა ეს საკვირველი ხატი? ალბათ, ვინმე უსახელომ წინარე დროში ჩვენამდე დაბადებულმა, რომლის ხედვაც თაობიდან თაობას გადაეცემოდა? არა. აქ არც „მანამდე“ და არც „მას შემდეგ“ არ გამოგვადგება, ვინაიდან: ყოველ ცალკეულ ადამიანს თავისი ენა წინ დაუხვდება მისი თაურხატისგან უკვე ქმნილი. დასაბამიდან ასეა – ყოველ ცალკეულ ადამიანში, იქნება იგი ამჟამად მცოცხლები, დიდი ხნის გარდაცვლილი, თუ სულაც მყოფადში მომსვლელი, არის რაღაც წინასწარ მოცემული, რაიც მასში მორჩის სახითაა ჩაკირული და მარადჟამს ცოცხლობს. ეს რაღაც – ცოცხალი არსების რომელიღაც სახეობა, გაუხლეჩავი და ერთიანი, ენის მედიუმში მსოფლსახის ჭეშმარიტ ძალად გვევლინება. ხალხი თუ რაიმემ შეძრა, იქნება ეს დამარცხების ტკივილი თუ რაიმე აღმაფრთოვანებელი ექსტაზი, მაშინ თითოეულმა ადამიანმა თუნდაც წამის ერთი ნაწილაკის განმავლობაში საკუთარ თავში ღამის პიროვნულად უნდა შეიგრძნოს ის რაღაც, როგორც თავის საკუთარი თაურუჯრედი. ფესვების ამდაგვარი შეგრძნება ზოგჯერ ისე შორს მიდის, რომ ვინმე კურთხეული პიროვნება საკუთარ თავს ხალხის იდენტურად აღიქვამს: მაშინ იგი თავგანწირვისათვის შინაგანი მზაობის წყალობით ხალხის თვითობაში აღმოჩნდება ჩაზრდილი და შესაბამისად, ხალხიც მასში ხორცშესხმულ ხატს დაინახავს.

იქნებ ესეც მეტაფორაა? დავაკვირდეთ პაგანინის ვიოლინოს. მასში საიდუმლოდ შემონახულნი თვლემენ ის მუსიკალური ტალღები, გენიალური მევიოლინე მის სიმებს რომ გამოაცემინებდა. დამათრობელმა რხევებმა ისე გააკეთილშობილეს უსულო ხე, ალბათ მასში ახალი ნუჟრებიც კი წარმოშვეს – საკმარისი იყო მასზე ვინმე ხელგაუწაფავ მევიოლინეს დაეკრა, რომ შეიძლებოდა უხეშად დაზიანებულიყო მერქნის ნატიფი ქსოვილი. და თუკი ხეს ძალუძს, თუნდაც წმინდა ფიზიკური თვალსაზრისით განიცადოს ასეთი სახეცვლილება, მაშინ განა ხალხისათვის თავშეწირულ ადამიანს არ ხელეწიფებოდა ხალხის ჯანსაღი უჯრედები თავის წიაღში მიეღო და დაეუნჯებინა?

ჰიტლერის ფენომენი აქ ძევს და სხვაგან არსად.

გადამწყვეტი წამი

წარმომიდგენია: 1919 წელს გერმანიას ვერსალის დიქტატს უწესებენ. შეძრწუნებული გერმანელი ხალხი თავის ისტორიის ერთ წამს გარინდულა – დროის ეს მონაკვეთი ვარსკვლავთა თვალწამს ჰგავს. ყოველი გერმანელი, კაცი თუ ქალი, ყრმა თუ მოხუცი, ფენისა და რანგის მიუხედავად, გულის სიღრმეში მხოლოდ ერთს გრძნობს: იგი გერმანელია. შიგნით, სიღრმეში, ჭრილობიდან სისხლი მოწვეთავს, ხალხის თვითმყოფადობა საფრთხეშია. მთელ ქვეყანას ერთადერთი ტალღა გადაუვლის: ტკივილის ტალღა. მეტ-ნაკლებად მას ყველა ატაცებული ჰყავს, ყოველი მათგანი თავის უნარისა და ძალის პირობაზე მისი მატარებელი ხდება. სისხლი მოწვეთავს ჭრილობიდან და თან გამაჯანსაღებელ ძალებს შობს. ტალღა ყველას სხეულში აღწევს, მის ზვირთებში ყველა ერთია – იგი კაციდან კაცზე გადადის, თითქოს იმ ერთს დაეძებდეს, რომელიც შეძლებს ატაროს და ერთ მუშტად შეკრას იგი. და ჰოი, მიქცევა-მოქცევის საიდუმლოვ, დავანებულო მთელსა და ერთეულს შორის: ტალღა პოულობს მას, გულით ნანატრსა და ნაოცნებარს და აი, იგი რჩეული, მისი მიმღები და შემოქმედი ხდება.

არსებობს ერთი დიდი მიტინგის ფოტო, 1914 წელს ომის გამოცხადების დღეს გადაღებული. ათასობით ადამიანი, სუნთქვაშეკრული და შეშფოთებული უგდებს ყურს

ჭექა-ქუხილის მოახლოებას. მასის შუაგულში მშვიდად დგას ერთი კაცი. სახე მოლოდინისგან დაძაბვია – მას amor fati[1] აძლევს დაბრკოლების გადამლახავ ნებისყოფის ძალას. სახემოღუშული ფიქრებში ჩაძირულა, მაგრამ ჩანს, რომ მის თვალს არაფერი გამოეპარება. დგას მტკიცედ: სრულ მზადყოფნაში. იგია ის, ვისშიც იმ ტალღამ ჰპოვა თავისი იდეების მატარებელი. გერმანულ სამყაროში ამ წუთში დაიწყო ახალი ერა.

ისტორიამ შემდგომ გაამჟღავნა უსახელო გმირის სახელი: ადოლფ ჰიტლერი.

ზემოთ ერთი გამოთქმა გამოვიყენე: თავგანწირვისათვის შინაგანი მზაობა. მე მომისმენია ჰიტლერის ხმა – ხან ნაღვლიანი, ხან მუქარიანი, ხან გამამხნევებელი და აღმაფრთოვანებელი და მის უკან ყოველთვის ის მზაობა მიგრძვნია. ეს თავგანწირვის სიმამაცე როდია, ეს გარდაქმნის სიმამაცე გახლავთ: ეს ცეცხლის გენიაა. მაგალითად აქ ერთ ლეგენდას მოვიხმობ.

ერთ ხეზე ასეთ ლეგენდას ყვებოდნენ: ვინც მისთვის ცეცხლის წაკიდებას გაბედავდა, იგი ცეცხლში იხილავდა ჭეშმარიტებას, ოღონდ სიგიჟისა და მყისიერი სიკვდილის ფასად. და აი, ერთი, ჭეშმარიტების შეცნობის სურვილით გულანთებული კაცი, ბედავს ლეგენდარული ხისთვის ცეცხლის წაკიდებას. იგი ხშირად მიდის ხოლმე ამ ხესთან და მზად არის კაჟის კენჭებით სავსე პეშვით გააჩაღოს ცეცხლი, მაგრამ შიშით მარჯვენა უჩერდება. ერთხელ დაღლილ-დაქანცული ხმელ ფოთლებში წამოწვება, ჩიბუხს გააბოლებს და სულ მალე ძილი მოერევა. უეცრად დამწვრის სუნს იკრავს: ეტყობა, ჩიბუხიდან ერთი ნაპე-

[1] (ლათ.) საბედისწერო სიყვარული.

რწკალი შეუმჩნევლად გადმოვარდნილა. მიმოიხედავს და სიხარული შეიპყრობს: აი, ახლა კი ეზიარება ჭეშმარიტებას ისე, რომ არც გონი წაერთმევა და არც სიკვდილის სუნთქვას შეიგრძნობს – ცეცხლი ხომ მისდაუნებურად გაჩაღდა! მაგრამ იმწამსვე მაინც აიტანს შიში და ალის ჩასაქრობად ხეს მივარდება. ხელებს გამალებით ამოძრავებს, დემონურად ყვირის და ღმუის, თითქოს უნდა ამოთქვას: არა, არა, ეს არ მოხდება! ბოლოს, როგორც იქნა, აქრობს ცეცხლს და ხელებდათუთქული გარბის.

იგი გარბის: მას სიმამაცე არ ეყო, შეეცნო ჭეშმარიტება, რაიც, თუ გნებავთ, ამქვეყნად ყოფნის სიმამაცეც გახლავთ. ამ სიმამაცის გარეშე კი არც დაფარული შეიცნობა და არც ისტორიული საქმენი ხდება. ლუთერი წაუკიდებდა იმ ხეს ცეცხლს, ფრიდრიხ ნიცშეც და ნაპოლეონის ყოველი დიადი წამიც იმ ცეცხლის ალში დგებოდა ხოლმე. დღევანდელი წინამძღოლები, ვინც კი თავიანთ ხალხში დაწინაურებულა, ყველა, როგორც ერთი, ამ ცეცხლის გენითაა გულანთებული. მუსოლინის, amor fati-სგან მუშტად შეკრულს, აქვს გადამწყვეტი იერიშის წამოწყების გამბედაობა, ხოლო ადოლფ ჰიტლერი ამ სიმამაცით უჩვეულოდ, ნერვის უკანასკნელ ძაფამდეა შეპყრობილი. ერთ მაგალითს მოვიყვან.

„1932 წლის 8 აპრილს გერმანიას ისეთი ავდარი დაატყდა თავს, ყოველგვარ წარმოდგენას რომ აღემატება. შავი ღრუბლებიდან სეტყვამ წამოუშინა. ნიაღვარმა წალეკა ბაღები და ველ-მინდვრები. მღვრიე ქაფიანმა წყალმა დატბორა გზები და ლიანდაგები, გრიგალმა ფესვიანად ამოგლიჯა საუკუნოვანი უზარმაზარი ხეები. ამ დროს ჩვენ მანქანით მანჰაიმის აეროდრომისაკენ მივემართებოდით. ვინ გაბედავდა გამძვინვარებული

სტიქიისათვის მიენდო თვითმფრინავი – გერმანულმა ლუფტჰანზამ შეაჩერა ყველა რეისი. აეროდრომზე კი, კოკისპირულ წვიმაში დგანან ჩვენი მომხრეების ყველაზე შეუდრეკელი რაზმები. მათ უნდათ აქ იყონ, უნდათ საკუთარი თვალით იხილონ, ასეთ ავდარში ფიურერი როგორ მიენდობა თვითმფრინავს. ფიურერი ბრძანებს დაუყოვნებლივ აიღონ სტარტი. ჩვენთვის უნდა შესრულდეს დღის განრიგი, რადგან დასავლეთ გერმანიაში ასეულ ათასობით ადამიანი გველოდება. თვითმფრინავი ანგარიდან გამოჰყავთ. მონტიორებისა და სპეცრაზმელების კუნთმაგარი ხელები ძალღონის არაადამიანური დაძაბვის ფასად ახერხებენ ბილიკზე თვითმფრინავის დაკავებას, რომ ქარიშხალმა არ აიტაცოს და არ დაამსხვრიოს იგი. მოტორების ორღანი ახმიანებულია. პილოტი უჩინარი ხელით ორღანისტივით ცვლის რეგისტრებს და ხან უკლებს და ხან უმატებს გუგუნს. მოტორები უკვე გახურებულია, სანამ ასაფრენ ბილიკს გაუთავისუფლებდნენ, მოთოკილი ძალით მოუთმენლად ძაგძაგებს ჩვენი ჰიპოგრიფი[1]. ერთი ყალყზე შედგომა და ჩვენი ძვირფასი ბედაური უკვე მწვანე მინდორზე მიჰქრის. რამდენიმე თამამი ნახტომი, უკანასკნელი წამიერი შეხება მიწასთან, ჩვენ უკვე ჰაერში ვართ და ჯადოქრის მოთუხთუხე ქვაბში ვიძირებით. ამას ფრენა აღარ ჰქვია. ესაა ბზრიალ-ტრიალი, რომელიც დღემდე უშორესი სიზმარივით გვაგონდება. ჩვენ ხან გრიგალს მოვექცევით თავზე, ხან ღრუბლების ნაფლეთებს მივაპობთ, უხილავი გრიგალი ხან სიღრმეში ჩაგვიტანს, ხან კი გვეჩვენება, თითქოს შორეული ამწე

[1] (ბერძნ.) ცხენის ტანიანი ფრთიანი მითიური ცხოველი. პოეტური პეგასის წინამორბედი.

ზევით ვერტიკალურად გვეწეოდეს. და მაინც, უსაფრთხოების საოცარი შეგრძნება ღვივის ჩვენში სტიქიის ამ ბობოქრობის ჟამს. ფიურერის აბსოლუტური სიმშვიდე ყველას გვედება“ (ოტო დიტრიხი: „ღამით, ჰიტლერთან“).

ადოლფ ჰიტლერი ისე შეუპოვრად მოქმედებს, რომ გიჩნდება შეგრძნება: ურჩხულიც რომ გადაუდგეს წინ, არ შეუშინდება. დიახ, გჯერა, რომ იმ ურჩხულს დაამარცხებს. იგი მიმართავს ხალხს, მტკიცედ და გაბედულად და საკუთარ თავსა და სხვებს შორის მიჯნას ვეღარ გრძნობს; თავისი ქვეყნის პულსი მასშივე ფეთქავს. იგი კვლავ და კვლავ იყენებს პირის ნაცვალსახელს „ჩე“, ოღონდ „მე“ ამ შემთხვევაში ხალხის ზეპიროვნულ თვითობას ნიშნავს. ამ დროს მისი ფოლადივით სიტყვა უზარმაზარ ძალას ასხივებს, უფრო მეტიც – იგი ქმედით ძალად გადაიქცევა. მისი გამჭრიახი გონება ჯერ არშობილ საიდუმლოს წვდება და ლაღი ჩირაღდანმტყორცნელის დარად ბრმა ბედისწერას ათვინიერებს. სიტყვის ბოლოს მისი დიონისური ფრთების მოქნევა იმ მფრინავის ფრენას ჰგავს, ოკეანეს რომ გადაუფრინა და ახლა მის მოლოდინში გარინდული ხალხის წინ ძლევამოსილად ეშვება მიწაზე.

პირველცოდნაში ჩახედვა

იგი ბედისწერას ათვინიერებს და ბედისწერაც მის მხარესაა. აქ ცნაურდება ის რაღაც, რაც ჭეშმარიტად ისტორიულ პიროვნებას მასისაგან გამოარჩევს. ესაა იმ შინაგანი გაორების დაძლევის ნიჭი, რაც ადამიანის არსში ღრმადაა ჩაკირული. აქ ჩემი წიგნის „გრაალის მცველნის“ გმირს თავად გიორგის ვალაპარაკებ:

„დაცემამდე ადამი კადმონი ღმერთისგან განუყოფელი იყო, მხოლოდ დაცემის შემდეგ შეიცნო მან იგი, როგორც თავისი საპირისპირო რამ. აქამდე იგი საგნებს შიგნიდან გარეთ ხედავდა, ახლა კი მათ ისე აღიქვამდა, როგორც მის პირისპირ მდგომთ. იმ კითხვას, როგორ შევიმეცნო ის, რაც მე თვითონ არ ვარ, რაზეც საუკუნეების მანძილზე თავს იმტვრევდნენ მოაზროვნენი, დაცემამდე ადამი საერთოდ ვერ გაიგებდა, ვინაიდან იგი სხვას აღიქვამდა, როგორც თავის განსაკუთრებულ მეს. ყოფიერების გარშემო მოპოვებული ცოდნა უკვე აღარ არის თვით ყოფიერება. კაცობრიობამ დაკარგა ყოფიერებაში არსებული განუყოფლობა და დღეს ეს განუყოფლობა მხოლოდ ცხოველშია შემორჩენილი. აი, საიდუმლო ეს არის. ახლა ხომ გესმით, რატომ გვჯობიან ცხოველები ღონით? ახლა თქვენთვის ხომ ნათელია, რატომ ვაღმერთებთ ცხოველებს?“ შემდეგ: „სხვათა შორის, ცხოველს არ გააჩნია თვითობა, ანუ ღვთაებრიობის ნიშანი. მას არ

გააჩნია მე, სამაგიეროდ ღვთიური ყოფიერების მთლიანობა აქვს შენარჩუნებული. ცხოველი გარესამყაროს ზუსტად ისე აღიქვამს, როგორც ჩვენი თვალი აღიქვამს სინათლის ზღვას: იგი „საგნებს“ ვერ არჩევს. თვალს რომ სინათლის ზღვა საგნის სახით ედგეს წინ, მყისვე დაკარგავდა ხედვის უნარს და ეს ცოდვით დაცემის მსგავსი რამ იქნებოდა. ცხოველის მეხსიერების სამყარო მისი ქმედების სამყაროცაა. ჩვენს მეხსიერებაში ძევს ნებისმიერი არსების ხატი, თუნდაც იგი შორს იყოს ჩვენგან. ცხოველს წარმოსახვის უნარი არ გააჩნია, სამაგიეროდ იგი უშუალო შეხებისას სავსებით ხატოვნად ჭვრეტს საგანს, იგი თავის საპირისპირო საგნით იმსჭვალება. აქედან მოდის მისი უზარმაზარი მაგია, ნადირი გამოჩენისთანავე ცვლის თავის გარშემო ატმოსფეროს. ამგვარად, ცხოველი ღვთიურად მთლიანია, ყოფიერებაში მას არ გააჩნია შუალედური სივრცე. ადამი კადმონი ალბათ ერთდროულად ცხოველიც არის და ადამიანიც, ღვთიურ საშოში განუყოფელი. მას შემდეგ მისტირის ადამიანი თავის დაკარგულ ნახევარს – ცხოველს. აქედან გამომდინარე, გასაგებია მითიურ ადამიანს რატომ ესახებოდა ცხოველი წმინდანად: პირველმდგენად, ტოტემად. ტყუილად როდი გამოუსახავთ ბაბელსა და ზუმერს, უშუალო პირველცოდნის ქომაგებს, კოსმიური წრებრუნვა ცხოველების ნიშნებით. კურო, მერწყული, თხის რქა, ვერძი, ლომი, ღრიანკალი – ყველა ეს ცხოველი, რეალურადაც და ირეალურადაც, ადამი კადმონის სხვადასხვა თვისებას განასახიერებს“.

ასე და ამგვარად, ამ გადმოცემაზე შეიძლება ითქვას: იგი ძველი აღთქმის შესაბამისი გადმოცემისაგან ძირფესვიანად განსხვავდება.

კაიროსი

თუკი ვინმე მთლიანად და უყოყმანოდ გაიზიარებს თავისი ხალხის ბედს, მაშინ მას მიეცემა ნიჭი და უნარი ფარულად შეამოკლოს გამყოფი შუალედი, ანუ სივრცე ყოფიერების ირგვლივ არსებულ ცოდნასა და თვით ყოფიერებას შორის. მაშინ მასში, თავად გიორგის აზრი რომ მოვიშველიოთ, წმინდა ცხოველის ძალები გაბატონდებიან და ამიერიდან იგი მთლიანად და განუყოფელად იმოქმედებს ხოლმე. იგი თანდათან მოიპოვებს ყოფიერების იმ წყალობას, რასაც ძველი ბერძნები „კაიროსს“ ეძახდნენ, ანუ მოიპოვებს უნარს ქმედებისას, იპოვოს გადამწყვეტი წამი.

ცხოველებთან კოსმიურად დამეგობრებულ ადამიანებს მშვენივრად შეუძლიათ შეიგრძნონ იგი. საკმარისია მონადირემ თავის ძაღლთან ურთიერთობისას ინსტინქტურად შეიგრძნოს ღვთიურ-პიროვნული „შენ“, რომ ცხოველი მას მყისვე ინსტინქტის რწმენას მიანიჭებს. მაგალითად, აქ დიდ როლს თამაშობს სიახლოვე კატასთან, ამ საზარელ ცხოველთან, რომლის მეოცნებე კრუტუნში ყრუდ და წყნარად მოისმის კოსმოსის შორეული სუნთქვა, იმ პირობით, რომ მისი შემზარაობა ვინმეს წილხვედრი გახდება.

რაც უფრო ვიწროა ის შუალედი, მით უფრო ძლიერია კაიროსი. ქემალ ათათურქის ცხოვრება ამ თვალსაზრი-

სით ფანტასტიკას ესაზღვრება. იგი თითქმის ყოველთვის გამოუვალ მდგომარეობაში ვარდება, სადაც გარემოებანი დაახლოებით 90:10-ზეა მის საწინააღმდეგოდ მიმართული და აი, იგი მოვლენებში მოულოდნელად, შესაფერის წამს ჩაერთვება და სახიფათო ზონაში ბედისწერას უმალვე თავის სასარგებლოდ შემოატრიალებს ხოლმე. მუსოლინის არსებაში მოქმედ კაიროსს აქვს რაღაც მეტეორის ნამსხვრევის ცეცხლისებრი. თვალს თუ მივადევნებთ აბისინიის ომის ყოველდღიურ მსვლელობას, დავინახავთ, როგორ ვიწროვდება დუჩეში ის შუალედი და მისი ყოველი ღონისძიების კვალდაკვალ როგორ იზრდება კაიროსი. ამ სივრცეს თავის ატომგულში შემოკლების ნაცვლად თუნდაც ერთი წამით უკან რომ დაეხია, ერთი ხელის დაკვრით წაგებული აღმოჩდებოდა აბისინიური ლაშქრობა, რომელიც ფარულად თვით მის მიერ იყო ინსპირირებულიც და წარმართულიც.

ადოლფ ჰიტლერს ეს უნარი განსაკუთრებით უხვად აქვს მომადლებული. იგი შორეული სიღრმეებიდანაა ხესავით ამოზრდილი, დედამიწის ცეცხლით გავარვარებული, ნაყოფიერ სინათლის სხივად გარდაქმნილი. ჯერ იყო ისტორიული კრება 1920 წლის 24 თებერვალს, მიუნხენის ლუდსახარშის დარბაზში; წარმოდგენილ იქნა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი მოვლენის მონახაზი, რომელშიც ადოლფ ჰიტლერმა, როგორც ფიურერმა, და სხვებმა როგორც მისმა თანამებრძოლებმა, მსოფლიოისტორიული ამოცანის შესასრულებლად ერთმანეთი აღმოაჩინეს; შემდეგ, დაუნდობელი, განუწყვეტელი ბრძოლა ქვეყნის დამქუცმაცებლების წინააღმდეგ; შემდეგ, 1930 წელს მოგებული არჩევნები; შემდეგ, 1933 წელს ძალაუფლების ხელში აღება; შემდეგ, საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შემოღება, კენჭისყრა ზაარის მხარეში; შემდეგ, ავსტრიის შემომტკიცება – ამ უმაგალითო ისტორიული სვლის თითოეული ეტაპი კაიროსის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს.

ამ ნიჭის გამოვლენის ბრწყინვალე მაგალითად, რაც ფიურერს თავის სტიქიად ექცა, უეჭველად რჩება სუდეტების გათავისუფლება... ჯერ იყო 1939 წლის თებერვალში, შორეული წარსულიდან მომდინარე გამოძახილივით მკაცრი და მშვიდი გაფრთხილება ჩეხოსლოვაკიისადმი. შემდეგ აშკარა, დაუფარავი, კატეგორიული მიმართვა პარტიის ყრილობაზე ნიურნბერგში, რომელმაც სუნთქვა შეუკრა მსოფლიოს, შემდეგ ყრუ პაუზა, მოწინააღმდეგისათვის დასაფიქრებლად მიცემული, შემდეგ კი, 26 სექტემბერს, სპორტის სასახლეში წარმოთქმული სიტყვა.

საოცარია ეს სიტყვა, აქამდე არასოდეს ყოფილა მისი სიტყვა არქიტექტონიკურად ასე ოსტატურად და ძლიერად შეკრული. ეს იყო საბოლოო გადაწყვეტილებისათვის მზადყოფნის ნიშანი, ამავე დროს კი არასოდეს ყოფილა მისი სიტყვა ღრმააზროვანი პაუზებით ასე დატვირთული და დაძაბული – თითოეულ სიტყვაში იგრძნობოდა, რომ მას უნდოდა თავიდან აეცილებინა ომი. ჭექა-ქუხილი ჯერ არ დაძრული, მაგრამ პირმოქუშული, უკვე იმუქრება და გამალებით იკრებს ძალას. ამ დროს ჩემბერლენის უეცარი გამგზავრება მიუნხენში და შეხვედრა ფიურერთან ბერხტესგადენში. მსოფლიომ შვებით ამოისუნთქა. შემდეგ ხანმოკლე პაუზა. ამასობაში ხელახლა მატულობს მღელვარება. ჩემბერლენის ხელმეორე გაფრენა და თათბირი გოდესბერგში. შემდეგ კვლავ პაუზა, კიდევ უფრო ხანმოკლე და კიდევ უფრო საშიში. საკმარისია ერთი მისხალი დაემატოს სასწორის პინას, რომ ჭექა-ქუხილი

აიწყვეტს. კაცობრიობა გაქვავებულა ძრწოლასა და ლოცვაში. და მოულოდნელად ოთხი სახელმწიფო მოღვაწის თავყრილობა მიუნხენში: ჰიტლერი, მუსოლინი, ჩემბერლენი და დალადიე. მშვიდობა და მასთან ერთად მსოფლიოც გადარჩენილია. დროის ამ სუნთქვის შემკვრელი დრამატიზმით აღსავსე მონაკვეთში ჩანდა, რომ განუწყვეტლივ მოქმედებდა ფიურერის კაიროსის სხივი.

მე კი გადამწყვეტი მაინც სპორტის სასახლეში წარმოთქმული ის სიტყვა მგონია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფიურერის ყოველი სიტყვა მომწიფებული ქმედებაა; ასე იყო ამჯერადაც. ეს იყო სამართლიანობისათვის საბრძოლო მზადყოფნაც და ომის თავიდან აცილების სურვილიც. განა არ შეიძლება ამას დაქსაქსულობა გამოეწვია? 99 შემთხვევაში კი, მაგრამ ფიურერის შემთხვევაში ამან სხვაგვარად იმოქმედა. აქ ცნაურდება მისი ერთი განსაკუთრებული თვისება – იგი „გულის ადამიანია". ერთხელ ჰიუსტონ სტიუარტ ჩემბერლენმა აღნიშნა: „გამოჩენილი პიროვნებები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ, იმისდა მიხედვით, მათში თავი გადასწონის თუ გული. ჰიტლერს მე უყოყმანოდ გულის ადამიანებს მივაკუთვნებდი... ცენტრალური მამოძრავებელი ორგანო, ქურა, სადაც სისხლი აღინთება, სადაც მისი აზრები იჭედება, გულია. სხვა პოლიტიკოსებისაგან იგი ამით განსხვავდება". დიახ, ჰიტლერი გულის ადამიანია, ოღონდ არა მოდუნებული გულისა: იგი ამავე დროს პასუხისმგებლობით აღსავსე ადამიანიც გახლავთ. მის დასახასიათებლად ბჰაგავადგიტას სიტყვები უფრო გამოდგებოდა: „საკუთარ თავს რომ ჩავუკვირდები, წმინდა გულს ვპოულობ და წინ ათასობით, ათიათასობით ადამიანიც რომ გადამიდგეს, არ შევეპუები". ვინც შეძლო საბედისწერო გადაწყვეტი-

ლების მიღების წინ მოვალეობის სიმკაცრე და გულის სინაზე უფრო მაღალ ორგანოში, ანუ თავდადებული პასუხისმგებლობის ორგანოში ჰარმონიულად და გულითადად შეეუღლებინა, იმას სასწაულის მოხდენა ძალუძს. და ჰიტლერმა მოახდინა კიდეც ეს სასწაული: სამართლიანობისათვის მისმა ბრძოლამ ინგლისსა და საფრანგეთში გამოაღვიძა კეთილგონიერება და მიუნხენში დადებული მსოფლიოისტორიული ხელშეკრულება ამიტომაცაა კურთხეული ნაყოფის დარი. ფიურერის კაიროსში ეს სრულიად განსაკუთრებული რამ გახლდათ.

მან ერთხელ უკვე სავსებით გასაგებად ჩამოაყალიბა დებულება: „სულიერი ტიპის, დიდი, მართლა მსოფლიოს მომცველი რევოლუციების მოფიქრება და განხორციელება მხოლოდ ერთეულების ტიტანური ბრძოლის შედეგია და არა კოალიციების ძალისხმევისა" („ჩემი ბრძოლა"). იგი ამჯერადაც ზემოხსენებული ბრძნული გამონათქვამის ერთგული დარჩა. გადამწყვეტი ქმედების ძალა ერთეულების ხელშია. „ყოველ კაცს უდგანან გვერდში მრჩევლები, მაგრამ გადაწყვეტილებას ის ერთი კაცი იღებს", იმავე წიგნში ამბობს იგი და ეს ნათქვამი პირველ დებულებას სავსებით ესადაგება. მის გვერდითაც დგანან მრჩევლები, მისი ერთგული თანამებრძოლნი, მაგრამ გადაწყვეტილებას მარტო ის იღებს. „Allein". ამ სიტყვას ლექსიკონი ასე განმარტავს: „მარტო, ერთადერთი, მარტოდმარტო; მხოლოდ, ოღონდ." მაგრამ მე ვიცი, რომ ზოგჯერ სიტყვა „ერთად" სხვა მნიშვნელობასაც შეიცავს. „All" კოსმოსს, სამყაროს ნიშნავს და ვინ იცის, იქნებ „Allein" კოსმოსთან გაერთიანებულსაც ნიშნავდეს? ვინაიდან: კოსმოსთან რომ გაერთიანდე, ყველას და ყოველივეს უნდა განერიდო. არცერთი მისი თანამედროვე არ

ხმარობს ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობებს, როგორიცაა „მხოლოდ“ და „ოღონდ“ ისე ხშირად, როგორც ჰიტლერი. ვითომ უბრალო დამთხვევაა? ალბათ აქ ქვეცნობიერად მოქმედებს ის, რაც ზემოხსენებულ მინიშნებასთან ახლოს დგას. დიახ, იგი გადაწყვეტილების მიღებისას მარტოა, კოსმოსთანაა გაერთიანებული, ამ სიტყვის პირველი ნაწილი კი მისი ხალხის პირველმდგენსაც ნიშნავს. როგორც ჩანს, იგი გადაწყვეტილებას მხოლოდ მაშინ იღებს, როცა მარტოდმარტო დარჩენილი იმ პირველმდგენთან ამყარებს კონტაქტს. ეს არის ტაოს[1] მსგავსი მდგომარეობა, რომლის ახსნასაც მიახლოებით მაინც შეძლებს რაინერ მარია რილკეს მთელ ლირიკულ სამყაროში ალბათ საუკეთესო სტრიქონები, ოღონდ იმ პირობით, თუ ღმერთის ნაცვლად, რომელსაც ეს სტრიქონები ეძღვნება, მითიურ წინაპარს ჩავსვამდით:

... მე მეგობრები ისე დამშორდნენ,
ოდნავღა მესმის სიცილი მათი;
შენ კი ბუდიდან გადმოვარდნილხარ,
ყვითელბრჭყალება, საცოდავი,
დიდთვალა ბარტყი.
ჩემი ხელები შენთვის ფართოა,
ჩემს ხელებში ხომ ჩაიკარგები.
ამიტომ ვიღებ თითით წყაროს წყალს
და მივაყურებ, იმ წვეთს როგორ დაეწაფები
და ვიგრძნობ უმალ, შიშით ორივეს
აგვიძგერდება მყისვე გულები.

[1] ტაო – გზა, წვდომა, სრულყოფილი არსებობა ჩინურ ფილოსოფიაში.

პირველმდგენი

იდუმალებითაა მოცული ის რაღაც, რომელიც ნებისმიერი ხალხის თაურხატის სახით ვლინდება. ესაა პირველმდგენი, სიცოცხლის მქმნელი: ოღონდ არა მოდგმისა და ჯიშის შექმნის გაგებით. იგი ჩვენთაგანი არ არის, მაგრამ მაინც ყოველ ჩვენგანში ცოცხლობს. იგი ზებიოლოგიური ბუნებისაა და შინაგანი სულიერ-ხორციელი არსებობის შუაგულიდან მომდინარეობს. ეს ზესთაპიროვნული ინდივიდუალურობაა, მაგრამ მითიურ ადამიანს იგი კონკრეტული პიროვნების სახით შეიძლება გამოეცხადოს.

ქართველები ჩვენი ხალხის პირველმდგენს სახელსაც კი ვარქმევთ, კარდჰუს, ბერძნულ ყაიდაზე – ქართლოსს. მცხეთაში, თბილისის მახლობლად, სადაც ოდესღაც მზეს განდობილნი საკულტო სალოცავებს აგებდნენ, რათა მედიტაციისას გამოეყენებინათ ამ ადგილის უჩვეულო გამოსხივება, იქ, სადაც მეოთხე საუკუნის დამდეგს წმინდა ქალწულმა ნინომ ვაზის ნასხლევისგან საკუთარი თმით შეკრული ჯვრით გვაზიარა ქრისტიანობას, გადმოცემის თანახმად, გვეგულებოდა კარდჰუს წმინდა საფლავი. ყოველ წელს იმართებოდა მისი დატირება, ოღონდ ამაში ალბათ არ იგულისხმებოდა პირველმდგენის ჭეშმარიტი სიკვდილი. მაშ, რა იგულისხმებოდა? იმ ხალხის ცნობიერებაში, რომელშიც აუხსნელი მიზეზების გამო პირველმდგენის ძალებს კარგა ხანია ჭკნობა შეჰ-

პარვოდა, ფესვებს მწარე შიში ღრღნიდა, რომ თვით პირველმდგენი იყო დასაშრეტად განწირული, რადგან ძნელი წარმოსადგენია პირველმდგენი, როგორც ღვთაებრივი შესაქმეს თაურხატი, უკვალოდ გამქრალიყო. მაგალითად, ლანგებარდები, როგორც ხალხი, დიდი ხანია გადაშენებულია, მაგრამ ხმელთაშუა ზღვის ნაპირას მაინც გადაეყრებით ხოლმე ვინმეს, ვის სახეშიც რასიულად შეიცნობა მისი ლანგებარდული წარმომავლობა. ამრიგად, კარდჰუს იმიტომ დასტიროდნენ, რომ ქვეშეცნეულად გრძნობდნენ: პირველმდგენის გარეშე ხალხს ხალხი აღარ ჰქვია. ეს შეიძლება იყოს ადამიანების ჯგრო, მაგრამ მას არ ექნება არსი. მე ვიცი, კავკასიაში ბინადრობს ერთი ხალხის ნაშთი, სახელად უდები, რომელთაგან სამი-ოთხი სოფელიღაა შემორჩენილი. ერთი შეხედვით ისინი სხვა ხალხებივით, ჩვეულებრივად ცხოვრობენ, მაგრამ კარგად თუ ჩავუკვირდებით, მივხვდებით, რომ მათი სათუთი მყუდროება მეტაფიზიკური სიკვდილის მოახლოების მაუწყებელია. ყველა ნიშანი მოწმობს, რომ იდუმალებით მოცული მიზეზების გამო მათ თაურხატს ნამდვილობა აქვს დაკარგული.

ნათელმხილველური ნიჭით დაჯილდოებული ბევრი მხატვარი ჭვრეტს ადამიანის სახეში მის რასიულ ხატს. ერთმა უცნობმა ოსტატმა უტა ფონ რაუმბურგის პორტრეტში სრულყოფილი პლასტიურობით გამოსახა გერმანული ტომების ნაშიერი პირველქმნილი ქალი. გრაფინია უტას სახეში ცოცხლად არის განსხეულებული ჩრდილოელი ევას თაურხატი. ოღონდ იგი ცოდვით დაცემით არ არის დამძიმებული. ისეთი შეგრძნება გეუფლებათ, თითქოს ეს მზესთან მთელი არსებით წილნაყარი ქალი თავის წიაღში ფარული შინაგანი მგზნებარებით

თვით მზის ნაყოფს დაატარებდეს. შეუდარებელია მის მშვენიერ ყელთან მომდგარ მოსასხამზე გამოსახული უბიწო ნაოჭი: გზნების ამოსაცნობი ნიშანი, ოღონდ ისეთი გზნებისა, რომელიც მარად წმინდა რჩება და არასოდეს გახდება „ბინიერი“. იგი შორეთში ჩაკარგულივით ნანაობს ჩვენს თვალწინ და თან ისე ახლოსაა, რომ გიჩნდება შთაბეჭდილება: იგი რომელიმე შუასაუკუნებრივი ქალაქის კუთხეში შეიძლება შემოგეფეთოს.

ყოველი ცალკეული ადამიანი როგორღაც თავისი ხალხის თაურხატთან შემაკრთობელი იდუმალებითაა დაკავშირებული. ყოველი გენიოსი ქვეცნობიერად კიდევ უფრო მეტად ინარჩუნებს თავისი რასის პირველმდგენთან ფარულ კონტაქტს და მისი გამოვლენის ფორმა იმ პირველმდგენითაა დაღდასმული. ამ კონტაქტის გარეშე წარმოუდგენელია შემოქმედებითი აქტი. ისტორია ამ წესის თითქმის ვერცერთ გამონაკლისს ვერ დაგვიდასტურებს.

მაშინ ამერიკასა და ამერიკანიზმზე რაღა უნდა ვთქვათ? შემაცბუნებული კითხვაა, რომელიც თითქოს მთელ ამ კონცეფციას აცამტვერებს. ამერიკა მე მართლაც ახალ სამყაროდ მესახება, რომელსაც პირველმდგენის ძალების ზემოთ მოყვანილი მიმოხილვა ერთი შეხედვით თითქოს არ ესადაგება. ამ დროს გვახსენდება ამერიკის მთელი კულტურული ცხოვრების ატომიზირება, ყოფიერების შეუკავშირებლობა და ინდივიდუალიზმის ბატონობა. ყველაფერ ამას აკლია ერთიანი თაურახტი, ვინაიდან იგი დასაბამიდან არ მომდინარეობს. ჩვენ აქ ვაწყდებით ისეთ განვითარებას, რომელსაც შეეძლო ხალხადქცევის პროცესამდე ახლებურად მივეყვანეთ. აქ შეძლებისდაგვარად შემდეგი მოსაზრება შეიძლება გამოიკვეთოს. ის,

რაც მითიური ადამიანისათვის პირველმდგენია, ამერიკელს სამყაროს ფიზიკურ უწყვეტობად ევლინება. ცხოვრების ტექნიზაციას შეეძლო სიცოცხლის წარმოშობის სხვა ხედვამდეც მივეყვანეთ. მაგალითად, ატლანტის ოკეანის თავზე მყოფმა მფრინავმა შეიძლება უსასრულო სამყაროში ერთი წამით მზის მოლეკულად იგრძნოს თავი. მაშინ ამ შეგრძნებაში პირველმდგენი გამოვლინდებოდა. თუკი ვინმეს წილად ერგება ბედნიერება ამდაგვარად შეიმეცნოს თავისი თვითობა, მაშინ იგი, როგორც მისტიკოსი, უფრო დიდი და ღრმა იქნება, ვიდრე სხვა ვინმე, კაკლის ჩეროში წამოწოლილი წყნარ მედიტაციას რომ მისცემია და ნირვანის მეშვეობით შედის უსასრულობაში. მართალია, ეს ცდა უსაშველოდ ძნელია, მაგრამ სამაგიეროდ რა წყალობასა და ბედნიერებას ეზიარებოდა მისი მაძიებელი! ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. პირველმდგენსა და ცალკეულ პიროვნებას შორის გამუდმებით მოქმედებს დრამატიზმით აღსავსე დაძაბულობა. ნებისმიერი პოეტი, ვინც კი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის დანიშნულებას, ამას თავის შემოქმედებით შრომაში ნათლად გრძნობს. იგი ცდილობს შექმნას რაღაც ახალი, ანუ სიტყვებისა და ხატების სამყაროში ხელახლა წამოიწყოს საქმე, მაგრამ თუ წამოწყება პირველსაწყისის ერთგული არ იქნა, მაშინ შემოქმედებაში თვითნებობა აღზევდება, რამაც შეიძლება მანერულობა შვას, თორემ ჭეშმარიტი სტილის შექმნა გაუჭირდება. გოეთეს კლაისტი არ სწამდა, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ თვითონ „ოლიმპიელად“ იყო დაბადებული. იგი თავის თავში გრძნობდა კლაისტს, რომელიც უნდა დაეძლია. არაფრის არ ეშინოდა ისე, როგორც თვითნებობისა. კლაისტის შემთხვევაში თვითნებობა, მისი აზრით, გრძნობათა აღ-

რევაში ვლინდებოდა, რასაც თვითონ გამუდმებით უნდა გამკლავებოდა. ასე ამაღლდა იგი საკუთარ თავზე, რათა საწყისთა საწყისთან კონფლიქტი არ მოსვლოდა.

მზეგრძელი იყოს ის, ვისაც ხელეწიფება ჰარმონიაში ამყოფოს საწყისსა და პირველსაწყისს შორის არსებული იდუმალი ცეზურა. ვაი მას, ვინც ეს ვერ შეძლო: იგი საბოლოოდ არარად გადაიქცევა.

მაგრამ ვინ გადაურჩება პირველმდგენთან შინაგან ბრძოლას, ისე რომ განადგურების საფრთხის წინაშე არ აღმოჩნდეს? ო, ადამიანის ყოფიერების საიდუმლოვ – ასეთებიც არსებობენ: ისინი ან სამყაროს უარმყოფელები არიან – იგულისხმებიან ასკეტები – ან სამყაროს დამაქცევლები.

აქ მივადექი ადოლფ ჰიტლერის ფენომენის ცენტრალურ პუნქტს. ფრანგი მწერალი ალფონს დე შატობრიანი თავის წიგნში ახალ გერმანიაზე ჰიტლერს „Le home nouveau“-ს უწოდებს. დიახ, ჰიტლერი მართლაც ახალი ადამიანია, უფრო ზუსტად: ადამიანის ახალი ხატი. მის სტიქიაში მარად სასიკეთო ინტერფერენციის სახით შემოქმედებითად იძვრის ცალკეულ ადამიანსა და პირველმდგენს შორის დაძაბულობის შემქმნელი ცეზურა.

ცოტა რამ რასიულობაზე

ყოველ დიდ შემოქმედს თავისი მსოფლხატი შემოაქვს – სიტყვაში, ნახატში თუ საქმეში გამოვლენილი. ადოლფ ჰიტლერის მსოფლხატი ასეთია: ხალხის მთლიანობა მისი რასითაა განპირობებული. ადრეული კულტურებისათვის, რომლებსაც უცდიათ ყოფიერებაში შეენარჩუნებინათ საკრალურობა, ცნობილი იყო ეს იდეა. ჩვენში, საქართველოში, ეს იდეა ენაშიც კი ცნაურდება, ქართველს ვინმეს შეურაცხყოფა თუ უნდა, „შე უჯიშოო“, ეტყვის, რაიც „რასის არმქონეს“ ნიშნავს, ხოლო უძლიერესი ქართული წყევლა ასეთია: „შენი ჯიში ამოვარდაო“.[1]

ჩვენს საუკუნეში რასიული სიწმინდის პირველცოდნა უკვალოდაა გამქრალი. ვინმე თუ შეეცდება იკვლიოს რასის შემადგენელი კომპონენტები, ყოველი მხრიდან შემოუძახებენ: იგი თავს ნებას აძლევს, ადამიანსაც ისეთი კრიტერიუმები მიუყენოს, რითაც ძაღლის ან ცხენის წმინდასისხლიანობის ხარისხს ადგენენ ხოლმეო. ცხადია, ადამიანი არც ძაღლია და არც ცხენი. იგი გონიც არის და როგორც გონიერი არსება ქმნის პროცესშია ჩართული: იგი იქმნება, „ქმნა“ კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუკი ადამიანი ყოფიერების ერთ-ერთი მცნების მიხედვით ყალიბდება: „იქმნენ ის, რაც ხარ“.

[1] ტექსტში ეს სიტყვები ლათინური შრიფტით ქართულადაა ჩართული.

ვითარცა იმ დღეს, შენ ამქვეყნად რომ მოგავლინა,
იმ დღეს პლანეტებს მზე უძღვნიდა გულითად სალამს,
მას შემდეგ კვლავაც იფურჩქნები, როგორც
წესია, რომელმაც შენი დაბადება განაპირობა.
სხვა გზა არ გაქვს, საკუთარ თავს ვერ გაექცევი,
ეს უკვე უთქვამთ სიბილებს[1] და წინასწარმეტყველთ,
ხოლო იმ ფორმას, რომ ცოცხლობს და რომ ვითარდება,
ვერც დრო შემუსრავს და ვერც ძალა გაანადგურებს.

ამას აცხადებს გოეთე, ჩემი აზრით, უკანასკნელი საუკუნეების უდიდესი განდობილთაგანი. „საკუთარ თავს ვერ გაექცევი“ – ეს გამონათქვამი გოეთეს სხვა მცნებას: „მოკვდი და იქმენ“ არ ეწინააღმდეგება. ადამიანი ერთდროულად მონაცემიც არის და ამოცანაც, იგი ღვთიური მონახაზია, რომელიც თანდათან ყალიბდება. როგორც „მონაცემი“ იგი გარკვეული თვისებებითაა აღჭურვილი. სახიერად ღმერთის კანონის მიხედვით არის შექმნილი, ხოლო როგორც „ამოცანა“, იგი თავის თავს განახორციელებს, ანუ საკუთარ თავს თვითონვე აყალიბებს. ეს გოეთეზე უკეთ დასავლეთში არავინ უწყოდა. „ხოლო ის ფორმა, რომ ცოცხლობს და რომ ვითარდება“, ყოფიერების ის მთლიანობაა, ადამიანის პიროვნებად ქცევას რომ განაპირობებს.

ასეთივე მთლიანობად სხვა წარმონაქმნთა შორის შეიძლება რასაც მიგვეჩნია და ვინაიდან ქმნადობის სამყაროში მთელი ადამიანია ჩართული, ამიტომ რასის იდეაში სისხლთან ერთად გონიც მონაწილეობს. ბარონი იულიუს ევოლა თავის მნიშვნელოვან, მაგრამ სხვათა შორის, შეუ-

[1] სიბილები – წინასწარმეტყველი ქალები ბერძნულ მითოლოგიაში.

მზადებელი მკითხველისათვის საშიშ წიგნში ამბობს, კულტურები და რასები „სისხლის გავლით“ კი არა, „სისხლის გაყოლებით“ უნდა შევისწავლოთო. მარჯვედ მიგნებული, ზუსტი ნათქვამია.

ზედმიწევნით დამახასიათებელია ერთი რამ: ვერცერთი ცხენის მცოდნე ისე დაწვრილებით ვერ აგიწერთ ინგლისურ დოღის ცხენს, როგორც ევროპელი მწერალი აღწერს ხოლმე თავისი გმირის გარეგნულ ნიშნებს, მაგრამ ნებისმიერი მათგანი რასიული თეორიის მიმდევრად რომ ჩაგეთვალათ, უეჭველად აღშფოთდებოდა.

ამ საკითხს სერიოზული მიდგომა სჭირდება. ფლობერმა თქვა ერთხელ: მისტიკოსი გავხდებოდი, ლათინი რომ არ ვყოფილიყავიო. დოსტოევსკი რუსეთის გარეშე წარმოუდგენელია და ორივენი, როგორც მოაზროვნეები, უნივერსალურნი არიან. ეს სამყაროს მრავალფეროვნებით აიხსნება. ღმერთის ბუნება ასეთია: ღმერთი ერთსახოვანიც არის და ორსახოვანიც. გერმანული ენა ცდილობს ეს ერთ სიტყვაში ხელშესახებად აგვიხსნას: მაგალითად, „Zweig“ არის ის, რაც ერთისგან მეორის სახით იშვა: zwei უდრის ორს, ხოლო Zweig ორად განტოტვილს, ანუ ტოტს ნიშნავს.

როგორ წარმოიშობა ერთიდან მრავალი, ეს ჯერ კიდევ შეუცნობელია, მაგრამ ასე თუ ისე გასაგები გახლავთ. დიდი მოაზროვნე პლოტინი როცა კი ამ საიდუმლოს შეეჩეხებოდა, გადმოცემის თანახმად, ლოცვად დგებოდა ხოლმე. იგი მშვენივრად ხვდებოდა, რასთანაც ჰქონდა საქმე. ამბის სახით კი იგი ყოველწამს გვეძლევა. ბერძენი ქალი პირმშოს ცეცხლზე აწრთობს, რათა იგი მოუწყვლადი გახადოს. ეს ჩვილი აქილევსია. ის ადგილი, სადაც იგი დედას თითებით ეჭირა, ანუ ქუსლი, დაუცველი დარჩა. მიწიერსა და ღვთიურს შორის ჯერ კიდევ არსებობს დაძაბულობა. გერმანთა გმირი ზიგფრიდი დრაკონის სისხლში განიბანება და მოუწყვლადი ხდება, ოღონდ ბანაობისას ზიგფრიდს ფოთოლი დაეცემა და სწორედ იმ ადგილზე მიაყენებენ ჭრილობას. ამბავი ვითომ სხვადასხვაა, მაგრამ ფაბულა ერთნაირია.

დიახ, ყოფიერება დასაბამიდან ერთია, მაგრამ იგი მრავალფეროვნად ვითარდება. ერთი მარცხნიდან მარჯვნივ წერს, მეორე – მარჯვნიდან მარცხნივ, მესამე ზემოდან ქვემოთ, იაპონელი ჰარაკირს იკეთებს, ეგვიპტელი მუმიფიცირებას ამჯობინებს. ერთი სიტყვით, მრავალფეროვნება ყველაფერში მჟღავნდება.

ისაა სწორედ მარადი ერთი,
მრავალი სახით რომ გვევლინება.

გოეთე

სასარგებლო იქნებოდა დავკვირვებოდით, ზოგიერთი მწერლის უცხო, უკვე წაშლილი წარმომავლობა თავისი სისხლით როგორ მსჭვალავს და აჯერებს, უფრო მეტიც, მისი შემოქმედების რიტმულ სვლებსა და შუქ-ჩრდილებს როგორ კვებავს. ამის დასტურად საკმარისია გავიხსენოთ პუშკინი და პრუსტი. თუ ეს ასეა, მაშინ გასაოცარიც აღარ არის, ადრეულ კულტურებში რასა განმსაზღვრელ ელემენტად რომ ითვლებოდა.

ახალ ეპოქაში იგი ლამის არასერიოზულ „თეორიად“ იქცა. ადოლფ ჰიტლერმა ხელახლა შთაბერა რასას ძალა, რათა გერმანელების ხალხადქცევა დაეჩქარებინა. ამიტომაც გახდა იგი დედამიწის ძალების გამომაფხიზლებელი.

საიდუმლო კანონი

ყოველი დროის განდობილებმა უწყოდნენ სისხლის, „ამ სრულიად განსაკუთრებული სითხის“ საიდუმლო. თუკი რიტუალური მსხვერპლშეწირვის მეოხებით ვინმეს წილად ხვდომია, აემოქმედებინა პირველღვთიური ენერგიები, მაშინ იგი იმ იშვიათ თვისებას შეიძენდა, კოსმიურში წვდომის უნარს რომ ეძახიან. ასე მოგვითხრობს გადმოცემა. ეს თვისება ეთერული ტიპის სუბტილური ნივთიერების მეოხებით მომდევნო თაობებზე მემკვიდრეობით გადადის და გონის გამოცდილებას თავის თავში ნაკვალევის სახით ინახავს. „გადადის რა ტრანსცენდენტური მემკვიდრეობის გზით, იგი (თვისება) რასის საკუთრება ხდება, რომელსაც ინიციაციის რიტუალი თანდათანობით, სათითაოდ გამოაცოცხლებს და კვლავ ქმედითად აქცევს“ (ევოლა).

აქ დასაბუთებულია როგორც უძველესი არისტოკრატიის ფენომენი, ასევე სისხლის გამოყვანის არსიც.

აქ ნათლად ჩანს, რომ სისხლი და გონი ურთიერთზემოქმედებას განიცდიან. გონი ჩამოყალიბებისათვის სისხლში დაეძებს ყლორტის გამომღებ პლაზმას, სისხლი კი გონს, როგორც შემოქმედებით აღმაფრენას, ისე ნატრულობს.

ახლა კი წარმოვიდგინოთ, რომ ეს აღმაფრენა კეთილშობილთა კასტამ უგულებელჰყოს. რა მოხდებოდა მაშინ? რა და, არისტოკრატია თანდათან გადაგვარების

უტყუარ ნიშნებს გამოავლენდა. ინდოეთში ქადაგებდნენ, მსხვერპლშეწირვაში სიცრუე თუ გაერია, მაშინ მას ძალა დაეკარგებაო. ბოლოს და ბოლოს, ეს იმას ნიშნავს, რომ თვით მსხვერპლის შემწირველი აღმოჩნდება საფრთხეში. ირანულ ზეპირსიტყვიერებაში ეს აზრი ხატოვნადაა გადმოცემული: როცა ლეგენდარულმა მზის ხელმწიფემ, ჯიმამ, ტყუილების თქმა დაიწყო, იმწამსვე ჩამოშორდა შარავანდედი, „ჰვარენო“, ღვთაებრივი თვითობის მისტიკური სხივი. გვახსენდება, ტახტის ერთ მემკვიდრეს ნელნელა როგორ უქრება თვალებში სხივი. მას შესისხლხორცებული არა აქვს ხელმწიფობის საკრალური მისია და გადაგვარებისაკენ თვალდათვალ ამიტომაც მიემართება. აი, ასეთი გახლავთ გონი, მაგრამ, მეორე მხრივ, თუკი სისხლის საიდუმლო აღმოჩნდება პატივაყრილი? მაშინ გონიც ზუსტად ისევე იქნება განწირული გადაგვარებისათვის.

ეს კანონი ისევე ვრცელდება ცალკეულ ადამიანებზე, როგორც რასებზე, ხალხებზე, კულტურებსა და ენებზე.

დედამიწის ძალები

თანამედროვე მსოფლიო სწორედ იმიტომ იტანჯება, რომ ამ კანონს თავისას ჯეროვნად აღარ მიუზღავს. რა არის თუნდაც ქრისტიანობის კრიზისის მიზეზი, თუ არა დედამიწის ძალების უგულებელყოფა? ქრისტეს ფენომენი არის ანტიკური მცდელობა, იქცეს ღმერთის ძის ნაწილად. ეს ხდება შემოქმედებითი რწმენის, ანუ ადამიანის მთელი არსების ღვთაებრივი აღმაფრენის შედეგად, მაშინ როცა ღვთის წყალობა უკუდინების სახით მისკენ მიემართება. ამ აღმაფრენის მისაღწევად აუცილებელია ადამიანი დედამიწის ძალებით იყოს ნასაზრდოები, თორემ უამისოდ რწმენა მხოლოდ ფუტურო სარწმუნოებად გადაიქცევა. აქ მართებული იქნება თავად გიორგის, გრაალის მცველის სიტყვები მოვიშველიოთ: „რწმენა სარწმუნოებაზე აღმატებული რამ არის. ნივთს თუ შევიმეცნებ, იგი ჩემთვის ჯერ კიდევ საგნად რჩება. თუ რაიმე ვიწამე, მაშინ იგი მე აღარ მიპირისპირდება. შეყვარებულისათვის სატრფო მისი საპირისპირო რამ არ არის: იგი მისთვის ის განუმეორებელი სახეა, რომელშიც იგი საკუთარ თავს პოულობს. სამყარო უძლურია, ნივთიერად აღიქვას შეყვარებულთა შორის თავისთავად აღმოცენებული სინამდვილე, მაგრამ იგი მაინც არსებობს და მოქმედებს. სხვისთვის იგი არ არსებობს, მაგრამ თვითობის შიგნიდან დანახული, იგი უნამდვილესი სინამდვილე გახლავთ. სიყვარული

რომ ქრება, შეყვარებულებს შორის სიცარიელე ისადგურებს: ახლა ისინი შემაშფოთებლად გაუცხოებულნი, საგნებივით დგანან ერთმანეთის პირისპირ. მორწმუნეც ასევე იქმნის თავის საკუთარ სინამდვილეს“. და კიდევ: „ღმერთი რაიმეს წარმოიდგენს თუ არა, მაშინვე ჩნდება რაღაც. ქმნადობის ეს ძალაა რწმენის საიდუმლო. აქ მხოლოდ სარწმუნოება ვერას გიშველის... თანამედროვე კაცობრიობა მხოლოდ ამ რწმენის ქმედითი ძალის ნაკლებობით იტანჯება. იგი სახარებაში აღწერილ იმ კაცს ჰგავს, ოდესღაც მაცხოვარს რომ შეღაღადა: „მრწამს უფალო, შემეწიე ურწმუნოებასა ჩემსა“. და კიდევ: „ჩვენ მაშინ ვკარგავთ რწმენას, როცა დედამიწას, მარადიულ დედას წავბილწავთ, რამეთუ ქმნის ძალას მხოლოდ და მხოლოდ ის გვანიჭებს... ჩვენ საუკუნეების მანძილზე ან პატივს არ მივაგებდით, ან ვებრძოდით მიწას. უკეთეს შემთხვევაში ვიტანდით მას. ჩვენ დაუფიქრებლად, მკრეხელურად ვბილწავთ magna mater[1]-ს და აი, ვიგემეთ კიდეც მწარე ნაყოფი – ღმერთის ძეობისათვის ჩლუნგები და უვარგისნი აღმოვჩნდით... სიტყვა ხორცად იქცა – ეს საიდუმლო იგავადღა შემოგვრჩენია. აქ დედამიწა ხომ ლოგოსის საშოდ არის მიჩნეული! დედამიწის საშო თუ უბრალო მატერიად აღვიქვით, მაშინ მყისვე გაქრება ადამიანში ლოგოსის ძალები. გონი დაკარგავს ყლორტის გამომღებ სიმკვრივეს. იგი, ასე ვთქვათ, ფუყე და გავარვარებულ რაციოდ გადაიქცევა, რომელიც უძლურია წარმოშვას რწმენის აქტი“.

„დედამიწაში“ აქ მოიაზრება თავის თავში ჩაკეტილი სიცოცხლის ერთეულები: რასა, ხალხი, სისხლი, მიწა.

[1] (ლათ.) დიდი დედა.

დედამიწა გონის კოსმიური პლაზმაა. ჩვენს თავში ამ პლაზმის ზრდას ხელი თუ არ შევუწყვეთ, მაშინ გონი თანდათან რაციონალიზირდება, ხოლო რაციოს თვალით დანახული ქრისტეს ამბავი უბრალო მონაჩმახი იქნება და სხვა არაფერი. როცა ლოგოსი ლოგიკად გადაიქცევა, მაშინ რწმენის გარდამქმნელი ძალის საქმე წასულია.

ადოლფ ჰიტლერის მსოფლხედვის შინაგან მიმართებას ქრისტიანულთან – თავისთავად უზარმაზარ პრობლემას – ცხადია, აქ ვერც შევეხებით და ვერც განვიხილავთ. ერთი რამ კი შეიძლება ახლავე ვთქვათ: დედამიწის ძალების გამოღვიძებას შეიძლებოდა ქრისტიანობის განახლებისათვის ოდესმე დიდი სამსახური გაეწია. ამაში ეჭვის შეტანა კი ნამდვილად შეუძლებელი გახლავთ.

ქმედების ნიჭი

ასე დგას ადოლფ ჰიტლერი ქმნადობის სამყაროში – კონკრეტულ შემთხვევაში გერმანელების ხალხადქცევის პროცესში – როგორც დედამიწის ძალების გამღვიძებელი. ამ საქმეში იგი ქმედების ისტორიული ნიჭითაა გამორჩეული. ერთ მაგალითს მოვიყვან.

აქა-იქ გაიგონებთ, ჰიტლერის „ჩემი ბრძოლა“ ხელისშემშლელი ფაქტორია საფრანგეთთან ურთიერთობის მოგვარების საქმეშიო. რამდენიმე წლის წინათ, პირისპირ საუბარში ფრანგმა მწერალმა ბერნარ დე ჟუვენელმა ფიურერს მიმართა: „მართალია, ფრანგები სიხარულით ვისმენთ თქვენს სამშვიდობო განცხადებებს, მაგრამ სამაგიეროდ სხვა, ნაკლებ გამამხნევებელი ამბებით შეშფოთებულნი ვართ. მაგალითად, თქვენს წიგნში „ჩემი ბრძოლა“ საფრანგეთზე ბევრი ცუდი რამ გაქვთ ნათქვამი. ეს წიგნი კი გერმანიაში ერთგვარ პოლიტიკურ ბიბლიად არის ქცეული. იგი იყიდება ისე, რომ არცერთი მომდევნო გამოცემის იმ ნაწილში, რომელიც საფრანგეთს ეხება, არავითარი შესწორება არ არის შეტანილი“.

ფიურერმა პასუხად ბრძანა: „ამ წიგნს რომ ვწერდი, მაშინ ციხეში ვიჯექი. ეს ის დრო იყო, როცა საფრანგეთის ჯარებმა რურის ოლქი დაიკავეს. ეს გახლდათ ჩვენს ქვეყნებს შორის დიდი დაძაბულობის პერიოდი. დიახ, ჩვენ მტრები ვიყავით და მე, როგორც წესი და რიგია,

ჩემი ქვეყნის მხარე მეჭირა, ისევე როგორც ორ-ნახევარი წლის განმავლობაში ჩემი ქვეყნის დასაცავად სანგრებში ვიდექი და თქვენს წინააღმდეგ ვიბრძოდი. საკუთარი თავი შემძულდებოდა, კონფლიქტის დროს გერმანელად რომ არ მეგრძნო თავი, მაგრამ დღეს კონფლიქტის მიზეზი აღარ არსებობს. თქვენ გნებავთ, ჩემი წიგნი იმ მწერალივით ვასწორო, თავისი წიგნის გადამუშავებულ ვარიანტს რომ გამოსცემს ხოლმე, მაგრამ მე მწერალი არ გახლავართ: მე პოლიტიკოსი ვარ. შესწორებები მე ჩემს საგარეო პოლიტიკაში შემაქვს, რომელიც დღეს ჩვენს ურთიერთობებზეა დამყარებული. თუ გერმანია-საფრანგეთის დაახლოება გამომივა, მაშინ ეს ღირსეული შესწორება იქნება. შესწორება მე ისტორიის დიდ წიგნში შემაქვს".

ჟამიდან ჟამზე უცხოელებისაგან ამ პასუხის შეფასება მომისმენია: მარჯვე პასუხიაო, ამბობენ და ალბათ, საფრანგეთშიც ასე შეაფასეს იგი. ვითომ მხოლოდ მარჯვე? ის ქვეყანა, სადაც სენ ლუი, ჟანა დ'არკი, ბლეზ პასკალი, მართალია, სხვა თანმიმდევრობით დალაგებულნი, მაგრამ მაინც როგორც მარად ნაყოფიერი ძალები, ხალხის შემოქმედებით უჯრედებს ასხივოსნებენ, ანუ ის იდუმალი საფრანგეთი, ფიურერის ერთჯერად გამონათქვამს სხვადასხვაგვარად გაიგებდა: ასე ის ადამიანი ლაპარაკობს, რომელიც ისტორიას კი არ წერს, ისტორიას ქმნის.

ცეცხლოვანი სასმელი

ერთი ქართული ნაწარმოები მოგვითხრობს: მე-18 საუკუნის დასასრულს, მონებად გასაყიდად სამეგრელოდან ორი ბიჭუნა გაიტაცეს. საქართველოს ამ კუთხეში ეს საზიზღარი ვაჭრობა ჯერ კიდევ არ იყო აღმოფხვრილი. ისინი ერთხანს ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ შემდეგ ერთმანეთს დააშორეს და აი, 1798 წელს, ეგვიპტეში, ნაპოლეონის ლაშქრობისას ერთი მათგანი დიდი მხედართმთავრის არმიაში აღმოჩნდა, მეორე კი ლომგული მამლუქების ბანაკში. პირამიდებთან გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ერთი მათგანი ბრძოლის ველზე ეცემა. სასიკვდილოდ დაკოდილს ერთი სიტყვა აღმოხდება: „ნენა", დედის საალერსო სახელი, ერთადერთი სიტყვა მშობლიური ენისა, რომელიც დაწნეხილი სულის სიღრმეში ჰქონდა შემორჩენილი. როგორც დაუნაწევრებელი ბგერებისაგან შემდგარი გმინვა, ისე განიბნა მისი ხმა კოსმიურ სივრცეში. განა ვინმეს შეეძლო გონმიხდილის ხმა გაეგონა? მაგრამ არის ერთი კაცი, ვინც ამ ხმას გაიგონებს: მისი ოდინდელი მეგობარი. მის გულშიც მშობლიური ენის ეს სიტყვაა შემორჩენილი. თავზარდაცემულს ესმის სულთმობრძავის ხრიალი. ტკივილი უორმაგდება, როცა მიხვდება, რომ მისი ბედის მოზიარე ხელჩართულ ბრძოლაში საკუთარი ხმლით განუგმირავს. მაშინ კი სასოწარკვეთილი ყვირილი აღმოხდება და მის ყვირილში წუთისოფელ-

თან გამოთხოვების გმინვა თვით წუთისოფლის წყევლა-კრულვად გადაიქცევა.

ვისაც ეს ყვირილი ძარღვს არ შეუტოკებს, იგი სიტყვა „სამშობლოს“, ფიურერის მიერ წარმოთქმულს, ვერასოდეს გაიგებს. ადოლფ ჰიტლერმა ამ საკვირველ სიტყვას ჭეშმარიტად დაუბრუნა თავისი პირვანდელი აზრი. სამშობლო – აი, რა არის მისი ცეცხლოვანი სასმელი.

იგი მკაფიოდ გამოკვეთს სამშობლოს ცნებას და მისი მეოხებით თვითონაც ვითარდება. ისევე როგორც მისი სახე ირეკლება ხოლმე მასთან მოსაუბრის სახეში, ასევე ხელშესახებად ცნაურდება გერმანიის მზის წნულში მისი არსი. ამბად ყვებიან: ერთი ახალგაზრდა კაცი მეგობარს საჩუქარს უძღვნის, მეგობარს კი თავის მხრივ სამაგიერო საჩუქარი აქვს მომზადებული. ორივე ერთდროულად ხსნის პაკეტს და გაოცებულნი ხედავენ: ერთმანეთისთვის ფიურერის პორტრეტები მიუძღვნიათ. კიდევ ერთი სიურპრიზი ისაა, რომ სურათებზე ორივეს წაუწერია: „ფიურერისადმი ერთგულების ნიშნად“. სხვა ამბავსაც ყვებიან: ერთ მოხუც მანდილოსანს საგანგებოდ გამოუკითხავს, რა ჯიშის ვარდი ჰყვავის აპრილში. იმ ჯიშის ვარდი თავის ბაღში დაურგავს და ყოველი წლის 20 აპრილს, ფიურერის დაბადების დღეს, მოწიწებით თავდახრილი, მლოცველივით დგას მის წინაშე. გამიგონია: ერთი ყმაწვილი გოგონებს გაუბრაზებიათ, მასაც ერთ-ერთის ცემა დაუპირებია, მაგრამ უეცრად მიმხვდარა, რომ ეს სწორედ ის გოგონაა, ერთხელ ფიურერმა რომ გადაუსვა ქერა თავზე ხელი და თვალის დახამხამებაში გახსენებია, ხელის გადასმისთანავე იმ გოგონას შარავანდედივით რომ დასდგომია ნათელი და მარჯვენა მოსდუნებია. კიდევ ერთ ამბავს გავიხსენებ. ერთი ქალი აგვიწერს ჰიტლერთან შეხვედრის ამბავს: თავიდან მხოლოდ ვუყურებდი ფიურერს, მაგრამ როგორც კი ლაპარაკი დაიწყო და ხელები აამოძრავა, იგი საოცრებად გადაიქცაო. ეს სიტყვები ბავშვური გენიალობის ნიმუში გახლავთ! (გეორგ შოტი: „სახალხო წიგნი ჰიტლერზე“). ერთი ახალგაზრდა კაცისთვის უკითხავთ, როგორ ეზიარე ნაციონალურ სოციალიზმსო. მას მოკლე პასუხი გაუცია: ფიურერის დანახვისთანავე გამიჩნდა გრძნობა, იგი ჩვეულებრივ ადამიანზე აღმატებული რომ იყოო. კიდევ ერთი პატარა ამბავი: ერთი უცხოელი ბერლინიდან იენაში მიემგზავრება, მასთან ერთად კუპეში ერთი ქალი და მისი ხუთი-ექვსი წლის გოგონა ზის. გაიბმება უბრალო საუბარი. ქალი შეამჩნევს, რომ მისი თანამგზავრი დამწუხრებულია და ეკითხება, რა შეგემთხვათო. იგიც უყვება, ახლახან, თბილისში, როგორ დახვრიტეს მისი მეგობრები, მისი სამშობლოს მზეკაცები, რომლებიც მისთვის ძმებზე მეტი იყვნენ. შეწუხებული ქალი დუმს, მისი გოგონა კი კაცს უცნაური სახით დიდხანს, სერიოზულად უყურებს, მერე კონვერტიდან სათუთად იღებს რამდენიმე ღია ბარათს და დამწუხრებულ კაცს ათვალიერებინებს. „აი, ფიურერის სახლი“, ჩურჩულებს იგი სიყვარულით სავსე ხმით, „აი, თვითონ ფიურერი“. გულაჩუყებული კაცი გოგონას სამოთხისებურ სიახლოვეს შეისუნთქავს და შეუცდომლად გრძნობს, რომ ბავშვი ამ სურათებით შეუმჩნევლად მის ნუგეშისცემას ლამობს. არასოდეს დაავიწყდება გოგონას გულთბილი სახე, თუმცა მისთვის სახელიც კი არ უკითხავს. ასე ჯობიაო, ფიქრობდა შემდეგ: ჭეშმარიტი შეხვედრა, რომელშიც რაღაც ღმერთთან სიახლოვისებური ურევია, ჩვეულებრივი „ნაცნობობით“ ვერ დამთავრდება. ის კაცი, ვისაც ეს ამბავი შეემთხვა, ამ სტრიქონების ავტორი გახლავთ.

და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ.

აი, ასე, უმცირეს დეტალებში მჟღავნდება ფიურერის ზემოქმედების ძალა. იგი ხალხის ენერგიებს განასხეულებს და მისი პიროვნული არსიც იმ ენერგიებით იკვებება. იგი ამას საკუთარი სულის სიღრმეში გრძნობს. 1936 წლის 29 მარტს წარმოთქმულ წინასაარჩევნო სიტყვაში მან გულიდან ამოხეთქილი სიტყვები თქვა: სამი წლის მანძილზე მე ვაძლევდი გერმანელ ხალხს ძალას, ახლა ველოდები გერმანელმა ხალხმა თავის მხრივ მე მომცეს ძალა, მე ერს რწმენა განვუმტკიცე, ახლა ვიმედოვნებ ერი მე განმიმტკიცებს რწმენასო.

ღრმააზროვანი, შუქმფინარე სიტყვებია. მხოლოდ მას, ვინც თავისი სულის იდუმალ სიღრმეში დაძაბულობის ფასად უზრუნველყოფს პიროვნული თვითობისა და მთელის ნების ფასად ნაყოფიერ ურთიერთზემოქმედებას, მხოლოდ მას ძალუძს ბედნიერების მომნიჭებელი ღვთიური ჟრუანტელით ატანილმა მიადევნოს თვალი ამ ენერგიების მიქცევა-მოქცევას.

წინასაარჩევნო უკანასკნელი სიტყვა ადოლფ ჰიტლერმა 28 მარტს, კიოლნში წარმოთქვა. „ისეთი შეგრძნება დაგეუფლებოდათ, – ამბობს მისი თანამებრძოლი დოქტორი გებელსი, – თითქოს გერმანია ყველა ფენის, პროფესიისა და კონფესიის მომცველ დიდ ღვთის სახლად გადაქცეულიყოს, სადაც მათი მფარველი ყოვლადძლიერის მაღალი საკურთხევლის წინაშე ნებისა და საქმის დამადასტურებელი სიგელის მოსაპოვებლად იღვწოდა და თან უზენაესს წყალობასა და მფარველობას ევედრებოდა იმ მომავლისათვის, რომელიც ჯერ კიდევ გაურკვევლად და ბუნდოვნად იდო ჩვენს თვალთა წინაშე“. როცა მიმართვა გერმანელი ხალხისადმი დასრულდა, ფიურერი კიოლნიდან გაემგზავრა. დოქტორი გებელსი განაგრძობს: „ვაგზლებზე, სადაც კი რამდენიმე წუთით შევჩერდით, ხალხის ტევა არ იყო. ისინი ეტყობა, გულის კარნახს აჰყვნენ და ერთხელ კიდევ განადიდებდნენ იმ ადამიანს, ვისმა ხმამაც ისინი აქ მოიყვანა. ის კი მდუმარედ იჯდა თავის კუპეში, ფანჯარათან, თავის ქვეყანაში, თავის ხალხში გამავალ გზას მიუყვებოდა და იმ წუთებში ალბათ არ ტოვებდა ბედნიერების განცდა, თავისი ერის გულში ღრმად და მყუდროდ რომ იყო ჩაბუდებული“. ზუსტი ნათქვამია!

ზოგჯერ ერთი ჭის წყალს მთლიანად გამოფიტულ მიწაზე მიუშვებენ ხოლმე, მერე ამომშრალი ჭა ერთხანს ჩაფლულია ნეტარ მყუდროებაში, მაგრამ მისი სიღრმიდან მაინც ჟინიანად მოიკვლევს გზას წყლის ნაკადი – საქართველოში ამას წყაროსთვალს ეძახიან – და ჭის წიაღი ნელ-ნელა უხმაუროდ ივსება. ეტყობა, მაშინ სიმშვიდეში ჩაძირული, მდუმარე ჰიტლერი გრძნობდა მასში იმ ჭასავით როგორ მოედინებოდა ხალხის ძალები.

ჭა იფან იგდრაზილის შორიახლოს

ადოლფ ჰიტლერმა შექმნა დიდი გერმანია; იგია მისი სუვერენული დამაარსებელი. მართალია, მისი მოღვაწეობა ჯერაც არ გასრულებულა, მაგრამ ისტორიამ მისი სახელი უკვე ამოტვიფრა მითიურ რუნებში. ამის გახსენებაზე გონებაში ამოტივტივდა ერთი ჩრდილოური მითი:

გამიგონია, ხარობს სადღაც ერთი იფანი,
იგდრაზილია სახელი მისი.
ტანაშოლტილ ხეს მუდამ ადგას ნათელი ნისლი.
იქიდან მოდის თურმე ცვარ-ნამი,
დაბლა ხეობებს რომ ეფინება.
თვითონ იფანი მარად მწვანეა,
ურდის[1] ჭის ახლოს ამონაზარდი.

კვლავაც საკვირვლად ჰყვავის მსოფლიო ხე. მის ახლომახლო ჭები არ დაშრეტილა. ორი ფრინველი, ორი გედი ბუდობს იმ ურდის ჭაში. მათი მედიდური, მელანქოლიური ცურვა უსაშველოდ ნაზი ფშვინვით ავსებს კოსმიურ სიჩუმეს. იფნის კენწეროში ირმები სახლობენ. მათი კრიალა თვალებიდან გაცხადებული ყოფიერების

[1] ურდი – ბედისწერის ქალღმერთი.

პირველმზერა გამოკრთის. დაკუნტრუშებენ ეს ღვთისშვილები და შენს სმენას ფოთლების შარიშური აჯადოებს.

„იქიდან მოდის თურმე ცვარ-ნამი,
დაბლა ხეობებს რომ ეფინება“.

იმ იფნის შთამომავლები არიან: თეოდორიხ დიდი, დითრიხ ბერნელად წოდებული, ოტო I, გერმანელი ერის წმინდა იმპერიის შემქმნელი, ფრიდრიხ II ფონ ჰოენშტაუფენი.

ეს ხე ადოლფ ჰიტლერის საგვარტომოც გახლავთ. მისი მაცოცხლებელი ძალა იმ ჭიდან მოედინება, მსოფლიო იფანს რომ ასაზრდოებს.

მთარგმნელისაგან

გრიგოლ რობაქიძის გამონათქვამი, რომ მწერლის უცხო, თუნდაც წაშლილი წარმომავლობა თავისი სისხლით მსჭვალავს, უფრო მეტიც, კვებავს მისი შემოქმედების რიტმულ სვლებსა და შუქ-ჩრდილებს, უპირველეს ყოვლისა, მასზე ვრცელდება.

გრ. რობაქიძე სრულყოფილად ფლობდა გერმანულ ენას. ამას მოწმობს მისი გერმანულენოვანი შემოქმედება, მაგრამ მის ცნობიერებაზე მაინც მოქმედებს ის „პირველმდგენი", რომელიც ტექსტში ჩართულ ქართულ მაგალითებთან, ლეგენდებსა და გადმოცემებთან, ცალკეული ქართული სიტყვების ეტიმოლოგიასთან ერთად ტექსტის რიტმულ სვლებსა და შუქ-ჩრდილებში შეიცნობა. ეს გერმანულ-ქართული ლექსიკურ-ინტონაციური ნაზავი ქმნის გრ. რობაქიძის სტილს, რომელსაც გერმანელი მწერლები თუ გამომცემლები თავის დროზე ახალსა და უჩვეულოს უწოდებდნენ, ჩვენთვის კი ეს სტილი ქართულ ფესვებთან მისი ღრმა კავშირის გამოვლინებაა.

ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გრ. რობაქიძის ქართული ესეისტიკა თავის მხრივ გერმანული ენის მძლავრ ზეგავლენას განიცდის. უფრო მეტიც, მწერლის ექსპერიმენტები ქართულში გერმანული ხატებისა და სიტყვათქმნადობის დამკვიდრების მცდელობადაც კი აღიქმება. განსაკუთრებით ითქმის ეს გერმანულ

პრეფიქსზე „ur-", რომელიც სიტყვას სიძველის, პირველქმნილობის სემას მატებს. აქედან მოდის გრ. რობაქიძისეული „თაურ-" პრეფიქსი, რომელსაც იგი იყენებს ისეთ სიტყვებში, როგორიცაა თაურხატი, თაურმოვლენა, თაურმცენარე, თაურუჯრედი და სხვ. ასევე გერმანული ენის სტრუქტურითაა ნაკარნახევი სიტყვები: თვალწამი, მზიურშობილი, მზეოსან განფენილი, პირველმდგენი, მზეკაცი, ზეკაცი და სხვ.

მე შევეცადე თარგმანში გამომეყენებინა გრიგოლ რობაქიძისეული ლექსიკა, რიტმული სვლები და შუქ-ჩრდილები, რაც სტილის ადეკვატურობის მაღალი ხარისხის საწინდარი უნდა ყოფილიყო.

მუსოლინი

მუსოლინი
მზიურნიშნეული

გრიგოლ რობაქიძე

გერმანულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო
ნანა გოგოლაშვილმა

პირველად გამოიცა გერმანულ ენაზე 1942 წელს
დიდერიხის გამომცემლობაში

დედა იტალია

ეი, უკვე რამდენიმე დღეა, ამ ადგილებში საშინელი ქარი ქრის, ფონეტიკურად ესოდენ შთამბეჭდავი სახელი რომ შეურქმევიათ: სიროკო.[1] სქელი ჟანგისფერი ნისლი, – საჰარის გავარვარებული ხახის ეს ბედოვლათი პირმშო, ნელ-ნელა ედება კუნძულის შიშველი ქარაფების ოკრო-ბოკრო კალთებს. ნესტიან ჰაერში ნისლი ძვირფასი, წარმავალი კოსმიური მტვერივით ეფინება მიდამოს და შეიძლებოდა მისთვის მზის უსახური ნაყოფიც გვეწოდებინა. აქ ყოველი სულდგმული უთანაზიარო მოუსვენრობას შეუპყრია. ცხოველები ჯიქურ ჩერდებიან ადგილზე, მერე კი თითქოს მუქარით იზმორებიან და ამთქნარებენ: მათი ყნოსვა აშკარად აწყდება რაღაცას, რაც ამ ყნოსვას, თავის მხრივ, მუქარას უთვლის. თვით ფოთლებიც კი ოცნებებში ჩაძირულან და ისე უჩვეულოდ თრთიან, თითქოს ზედ მჟავა მოუპკურებიათ და ჩანასახშივე ჩაუკლავთო. დაბნეული ადამიანები ერთმანეთს ნაზად შეჰყურებენ და ყოველი მზერა მეორე ადამიანის მზერაში შიშით აირეკლება. უსახური ჩანს თაურსამყაროს ცინცხალი სხივისგან განძარცული კუნძული. ქარი სუნთქვას აძნელებს.

[1] სიროკო (იტალ. scirocco) – ხმელთაშუა ზღვის ხორშაკი ქარი, ანადგურებს მცენარეებსა და ცხოველებს.

სევდა მიპყრობს და ვგრძნობ, როგორ დამძიმებული მაქვს გული.

ბატონი ფონ რიბენტროპი სიხარულს ასხივებს, ოღონდ ეს სხივი ბელადის შინაგანი ნათელიდან გამოკრთის. დიახ, მისი სახე ძლივს შესამჩნევად, იდუმალად აირეკლება იმ ადამიანის მზერაში, რომელსაც იგი ამ წუთას ესაუბრება. მას ხშირად ნახავთ ახალგაზრდა გოგო-ბიჭების გარემოში; და ამ დროს ეს აღფრთოვანებული სახეები ბელადის სინათლის სხივითაა გაცისკროვნებული.

კვირის ქრონიკაში მას დროდადრო ვადევნებ ხოლმე თვალს. ამ დროს იგი უფრო უშუალო და ნათელ შთაბეჭდილებას ახდენს. გენერალ ფელდმარშალ გერინგის ქორწილის ამსახველ ფილმში ბელადის თითქმის სიმბოლური სახეა ნაჩვენები. აქ იგრძნობა მისი სიახლოვე ყველასთან, განსაკუთრებით კი მოზეიმე საქორწინო წყვილთან, და მაინც: ამ დროს ის თითქოს სადღაც შორს იმყოფება და ყველასათვის მიუწვდომელია. ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს ზეიმზე ვიღაც გადამთიელი გამოჩნდა, მაგრამ უმალ ყველასთვის ახლობელი გახდაო. თანამებრძოლები და მეგობრები მის გვერდით ამ „სიშორეს“ ალბათ უფრო ცხადად შეიგრძნობენ. ნება მიბოძეთ, აქ ჩემი პირადი განცდა გაგიზიაროთ და გითხრათ, რომ იგი ერთხელ იმგვარი შემოქმედებითი სულიერების დონეზე შევიგრძენი, როდესაც წარმოსახვა თითქმის რეალურს ესაზღვრება. აქვე გავბედავ და ვიტყვი: ვერც ერთი მხატვარი ვერ შესძლებდა, მისი შინაგანი სამყაროს ამომწურავი პორტრეტი შეექმნა. შესაძლოა, მავან მეჩუქურთმეს კიდეც ხვდომოდა წილად ეს ბედნიერება, მაგრამ მაშინ ვერ ვიხილავდით მის მუქ ლურჯ და მაინც ნათელ თვალებს, მისი არსების ხასიათს რომ მალავენ. ამ

თვალების მკაცრი მზერის წინაშე, ყველაფერი – არაჭეშმარიტი და ყალბი – რიდით უჩინარდება და ქრება. კაცს თვალში ეცემა მისი განუმეორებელი მოძრაობებიც. აი, ის კიბეზე ჩამოდის, უეცრად მკვეთრად შედგება, თავს ზევით ასწევს, საგნებს მიღმა გახედავს სივრცეს, თითქოს რაღაც უჩვეულო დაინახა, და ახლა გუმანით ცდილობს მის შეცნობასო. მერე თავს დაბლა დახრის და ოდნავ მკაცრი სახითა და გრძელი, ღონიერი ნაბიჯებით თავდაჯერებით აგრძელებს გზას. სიარულის დროს ენერგიულად იქნევს გრძელ ხელებს და, ასე გგონია, მის ნაბიჯებს ფრთაშესხმიაო. მისი ყოველი მოძრაობა პლასტიკურად სრულყოფილია.

იდუმალი ხმა

მის ყოველ გამოსვლაზე ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ეს პირველად ხდებაო. ათასობით ადამიანი მასთან უშუალოდ ლამობს შეხვედრას, მილიონები მოუთმენლად ელიან მისი ხმის გაგონებას რადიოში. ბობოქარი ტალღები აღტაცებით აწყდება ერთმანეთს, და ადამიანი ტანით გრძნობს: ის მოდის, აი, უკვე გიახლოვდება. ყოველი ბგერის წარმოთქმისას, მომლოდინე ხალხი ისე თრთის, ვითარ ფესვები სინათლის დაბადებისას. აქ აღარ არსებობენ ცალკეული ადამიანები: „ყოველი მხარი ძმაა, ყოველი მზერა კი – დაი“ („გრაალის მცველნი“). ტალღებით ზეატყორცნილი მსმენელი ბედნიერად დაფარფატებს სივრცეში.

ჰომეროსის ჩრდილის თანხლებით შევდივარ მღვიმეში. ძლევამოსილი კლდის ნაპრალებიდან ამომართულ ნიშას მღვიმე ერთ მთლიან დახურულ, მფშვინავ სივრცედ უქცევია. ტალანის უკანა კედელზე მიჯრილი, ნახევარწრიული სცენაა. მის შუაგულში: სოლისებური ფორმის ჩაღრმავება. ერთ-ერთ პატარა ღრმულში წვიმის დროს წყლის წვრილი ჭავლი ჩაწანწკარებს – ძალუმი წყაროს ორნატი უხსოვარი დროიდან. მღვიმეში ჯერაც ნახავთ ბათქაშში მყარად ჩამჯდარი ნიჟარებისა და მარჯნის ინკრუსტაციებს. ეს ადგილი პირველქმნილ სიჩუმეში გაქვავებულა, და კაცი მხოლოდ დაისის სიღრმიდან ამოსულ სუნთქვას გრძნობს, რომელიც მღვიმეს, – ამ მთვლემარე ნიჟარას, – საკუთარი სუნთქვასავით ჩუმად ათრთოლებს.

კურთხეულ სიჩუმეს ირგვლივ ზღვის შარი-შური ერთვის, ნელ-ნელა უდარდელად რომ უჩინარდება.

რამდენ ტელურულ[1] ქარიშხალს გამოივლიდა კუნძული, ვიდრე მღვიმის ამჟამინდელი უზადო სახე შეიქმნებოდა! გახსენდება აქ ნაპოვნი უზარმაზარი ძუძუმწოვარა ცხოველის გაქვავებული კბილი: კაპრი ხომ უძველეს დროებაში ხმელეთს უერთდებოდა! მოგონებაში სხვა განძიც ამოტივტივდება: კაჟის ქვები და ქვის ნაჯახები, ობსიდიანისგან[2] დამზადებული სამუშაო იარაღის ნამსხვრევები. ასე გგონია, მღვიმეს ჯერ ისევ ასდისო ვულკანური გოგირდის სუნი.

თუ მნახველი ნიჟარის მღვიმის ზუზუნში ჩაიძირება, თავადაც ნელ-ნელა გაუჩინარებას დაიწყებს, მაგრამ ამ თვითგაუჩინარებაში შეძლებს შეიგრძნოს, საკუთარ სიღრმეში ჩაძირული უცნობი ძალა უჩუმრად როგორ ამოიყრის მორჩებს. ამ დროს ადამიანს უჩვეულოდ გამახვილებული აქვს გრძნობები. შინაგანი მზერა იმ სხივად გადაიქცევა, საგნების სიბნელეს რომ განჭოლავს. მერე ეს მზერა ალბათ იმ თაურხატებსაც იხილავს, ნაცარში გახვეული ნაღვერდალივით რომ გაყუჩებულან.

ხალხი მღვიმეს „მატრომანიას“ ეძახის და „დედას“ გულისხმობს. სწავლულები კი მას „მითრომანიად“ მოიხსენიებენ და გულისხმობენ მითრას.[3] სწორედ აქ იქნა ნა-

[1] ტელურული ქარიშხალი – გაზებისა და ორთქლის შეჯახების შედეგად დედამიწის შუაგულში წარმოქმნილი ქარიშხალი.

[2] ობსიდიანი – ვულკანური მინა.

[3] მითრა – მზის ღმერთი ძველირანულ და ვედურ მითოლოგიაში; მისი კულტი რომის იმპერიაში უკავშირდება მიწიერი წარმოშობის სინათლის კულტს.

პოვნი „ქაფშიშობილის“ ერთი ფიგურა. ეს სახელები ერთმანეთს არ გამორიცხავს, დიდი დედა[1] მშობელია მზის ძისა. დედამიწა და მზე, როგორც არსებითობანი, ერთდროულ ურთიერთმოქმედებაში ყოველთვის წყვილად გამოჩნდება ხოლმე. მთავარია, კულტზე საუბრისას ამ ორიდან რომელს ეძლევა უპირატესობა: დედამიწას თუ მზეს. ასე მგონია, Magna Mater[2]-ის მღვიმე ის კურთხეული ადგილია, სადაც მზეჭაბუკი მითრა იშვა.

სმენით მინდა ჩავწვდე მღვიმეს, ჩემი შინაგანი მზერა კი ამ დროს მთვარეულივით დაბორიალობს. უხმაუროდ იწელება ოდნავ მოძრავი ტალღების სიმშვიდე. უეცრად ნაკადი ნიჟარად შეიკვრება და იქიდან ზეამოიჭრება თვალისმომჭრელად მშვენიერი იგი ქალი: „ქაფშიშობილი“. ტალღები გზნებით მიაქანებენ მისი სხეულის მოქნილ ღეროს. უეცრად ყველაფერი დაურწყულებელ მზერად იქცევა. დედამიწის სუნთქვა ლოტოსის ყვავილებად გარდასახავს მშვენიერი ქალის მკერდს. ახლა მესმის: ძველ დროში სამსხვერპლო ფიალებიდან რატომ ასხამდნენ ქალწულებს მკერდზე ღვთიურ სასმელს; აბა, სხვაგვარად როგორ შესძლებენ მის შესმას! მერე კი „ქაფშიშობილი“ ქრება.

პოეტური სურათია, არა? დიახ, ესეცაა და უფრო მეტიც.

[1] დიდი დედა – კოლექტიური კულტურული გამოცდილებიდან აღებული ზოგადი არქეტიპული ხატის სახელწოდება.

[2] (ლათ.) დიდი დედა.

ის, მარადიული ქალი, – ისიდა,[1] კიბელე,[2] იშთარი,[3] – ყოველ ქალში ჰგიებს, დიახ, „ჰგიებს“, მაგრამ მაინც არა როგორც ცალკეული „მე“. ფიქრებში ჩაძირული მნახველის მზერაში იგი მხოლოდ დროდადრო მიიღებს ხოლმე პიროვნულ ნიშნით აღბეჭდილ სახეს. წიწილა ნისკარტით გამოამტვრევს ნაჭუჭს, და, მარადიული ბინდ-ბუნდიდან გამოსული, პირველად იხილავს დღის სინათლეს. კაცი იფიქრებდა, თუ წიწილა სასწაულებრივად თავის ნაჭუჭში ისევ შეძვრება, „ღამეულ მზეს“ იხილავსო. სწორედ ამის შესაგვანია ის მდგომარეობა, როდესაც მავანი მატერიალურ სურათში მისტიკურ რეალობას ხედავს. ასე ხედავდა ვლადიმირ სოლოვიოვი,[4] დიდი რუსი მოაზროვნე და ნათელმხილველი, უხილავ სოფიოს, ჯერ ეგეოსის არქიპელაგზე, მერე კი – პირამიდებს შორის, ეგვიპტეში.

ნიჟარის მღვიმის ზუზუნი ღრმად იჭრება ჩემს შინაგან სმენაში. ყურში ჩამესმის სიტყვები მაიას სამეფოს ტაძრის წარწერიდან: „შენ, ნაკადს გამოყოლილო ქვების ჩუმო შრიალო, შენ, შარიშურო მოსრიალე ნიჟარებისა, და შენ, მოდგაფუნე ტალღავ, ნაპირს რკალად რომ ევლები: ნება მოგვეცით, თქვენი ხმა წმინდა წარწერის ხმას შევურწყათ, რადგან თქვენში იგივე ჭეშმარიტება და იგივე მოგონებაა“.

[1] ისიდა – ძველი ეგვიპტის უზენაესი ღვთაება, ოსირისის და და მეუღლე; ნაყოფიერების, დედობის, სიცოცხლის და ჯანმრთელობის ღმერთქალი.

[2] კიბელე – ფრიგიული ღმერთქალი, დიდი დედა, მკვდარი ბუნების ამაღორძინებელი.

[3] იშთარი – ბაბილონური ღვთაება.

[4] ვლადიმირ სოლოვიოვი (1853-1900) – რუსი ფილოსოფოსი, იდეალისტი, ღვთისმეტყველი, პუბლიცისტი და პოეტი.

ყურში ჩამესმის ეს სიტყვები, „essence divine"-ს[1] ქობის პირველ ნაოჭს რომ ელამუნება, მერე კი მესმის, როგორ მოგორავენ ქვები, ზრიალებენ ნიჟარები და შრიალებენ ტალღები; სიტყვები ისე ცვივა ჩემი მახსოვრობის წიაღში, რომ მიყოლებით შემიძლია მათი დათვლა: – ასე ჩაესმის ხოლმე კაცს ყურში ზარის რეკვის შემდეგ, მისი ცალკეული ხმის გამოძახილი. ეს ხმები წარღვნის შემდეგ ერთი ქვეყნის ჩაძირვას გვაუწყებს. ვიხსენებ, ტირენეიც ჩაიძირა; მღვიმეში ვერ ნახავთ წარწერას, მის ჩაძირვაზე რომ მიგვანიშნებდეს, და მაინც; აქ კაცი იმ დაუწერელ წარწერას შეიგრძნობს, რომელიც მიწის ყოველ გოჯზე მაცოცხლებელი ეთერივით გაწოლილა; იგივე ჭეშმარიტება, იგივე მოგონება. კუნძულის ტელურული ცვლილების შედეგი მარტივი არ ყოფილა: „მატრომანიის" მღვიმის სახით შეიქმნა უფრო დიდი სიმბოლო: მზე აქ თავის მარადიულ დაბადებას ზეიმობს. იდუმალი ცოდნა იუწყება: სამყარო ერთხელ და სამუდამოდ არ შექმნილა, იგი მუდმივად განაგრძობს ქმნადობას. მისტერიებში ეს პროცესი ჩასახვის ტოლფარდია: მზე ანაყოფიერებს დედამიწას. მზე ლოგოსია, დედამიწა კი – მატერია. კრეტელი ადონისი, ეგვიპტელი ოსირისი, ბაბილონელი თამუზი, ხეთელი ატისი, ირანელი მითრა, ბერძენი დიონისე, მექსიკელი ქუეტცალკოუატლი[2] – ყველა ეს მზეჭაბუკი ასე იშვა. „სიყვარულისთვის გამართულ ბრძოლებში ლოგოსს დროდადრო

[1] (ლათ.) ღვთაებრივი არსი.

[2] ადონისი, ოსირისი, თამუზი, ატისი, ქუეტცალკოატლი – ბერძნულ, ეგვიპტურ, ხეთურ და მექსიკურ მითოლოგიებში მშვენიერ ჭაბუკთა სახელები, რომლებიც მოკვდავ და კვლავ-განახლებულ ბუნებას განასახიერებენ.

ქანცი ეცლება და თავის მიზანს ვერ აღწევს. მისი თესლი ვერ აღწევს მატერიის წიაღს და ზედაპირზე რჩება. შემდგომ ამისა, მარად მოძრავ კოსმოსში გამოჩნდებიან ხოლმე ქუფრი ნაწილაკები, ქაოსის ეს თითქოსდა შინაგან შემკვრივებული მთლიანობები, კოსმოსის მუცელსმოწყვეტილი პირმშოები" (მერეჟკოვსკი). შინაგანი შემკვრივება ქაოტურის მიწიერ პლაზმას – ყოველგვარ ქალისიერს ადამიანში – სიბრმავედ, ამომძირკველ და გამანადგურებელ თვისებად აქცევს. მერე დედაკაცი დაფლეთს მამაკაცს: მენადა[1] ამარცხებს და კლავს, ამორძალი ასაჭურისებს, ბახანტინი[2] კი გადასანსლავს მას (სხვათა შორის: განა ტექნიკური საუკუნის შესაბამისად, გრძნობადი თვალსაზრისით, ჰოლივუდის ვამპირ-ვარსკვლავებიც მენადებს, ამორძალებს და ბახანტინებს არ გვანან?).

ამგვარ შინაგან შემკვრივებას მზე=დედამიწის წყვილში ელემენტების არათანაბარი ურთიერთდაპირისპირება იწვევს. ახლა კი ყურადღება „მატრომანიას" მივაპყროთ. აქ ორივე კომპონენტი ერთმანეთს უაღრესად ჰარმონიულად ერწყმის: მღვიმე თავის წიაღში მიიღებს ამომავალი მზის სხივების ნაკადს; ზღვის ტალღების შრიალი არწყლულებს თრობას. დედამიწა შობს ჭაბუკს, რომელშიც მზე ისევ და ისევ განახლებული სახით მოგვევლინება.

არ ვიცი, როგორ გადის დრო. უეცრად ვგრძნობ: კუნძული ნელ-ნელა მოძრაობას იწყებს და გუმანით მიკვლეულ მოლოდინში თვლემიდან გამოერკვევა. ტალღა, ფო-

[1] მენადა – ბახუსის თანამგზავრ ქალთა ერთ-ერთი სახელწოდება.

[2] ბახანტინი – რომაულ მითოლოგიაში – ღრეობაში მონაწილე, თავაშვებული ქალი (ღმერთი ბახუსის მიხედვით).

თოლი თუ ქვა საზორველ ნობათს ელოდება. მშვენიერია მზის ამოსვლა. ტალღები დიადი ფარაონის, მზითკურთხეული ეხნატონის[1] სიტყვებს იმეორებენ ჩურჩულით:

შენ ხარ მზრდელი ნაყოფისა ქალის წიაღში.
შენვე აღვიძებ მამაკაცის თესლს,
შენ აწვდი ჰაერს წიწილს ნაჭუჭში,
შენ აძლევ ძალას, გამოტეხოს მისი საფარი,
ჯერ არშობილთა ძიძა ხარ
და შენ კვებავ ყველას,
სუნთქვას ჩაუდგამ,
რათა სიცოცხლე შთაბერო
პირმშოს,
როდესაც იგი სულ დატოვებს
ბნელეთის წიაღს.

ახლა მეც გამომეღვიძა. ბედნიერი ვტოვებ „მატრომანიას“.

ზემოთ, ერთი წუთით ვყოვნდები ბუნების ხელით შექმნილ თაღთან. ეს ჯადოსნური ჭოგრიტი საგნებს სიმბოლოებად გარდასახავს. ქარაფის თაღში გავყურებ სივრცეში გაწოლილ, ჩუმად მოდგაფუნე ზღვას. მშვიდი ტალღების სილურჯე არამიწიერად ბზინავს მოკაშკაშე მზის ნათელში. ზღვის ზედაპირის მწვანე ჩრდილში ამოტივტივდება ღვთისმშობლის მშვენიერი, კეთილშობილი სახის ოვალი, – ოქროსა და ეთერში გამოკვეთილი. მერე სახე უეცრად ქრება. ახლა უკვე ვიცი, მაინც და მაინც იტალიაში რატომ გადაიქცა ღვთისმშობელი უნი-

[1] ეხნატონი, იგივე ამენჰოტეპ IV – ეგვიპტის ფარაონი (ძვ. წ. 1424-დაახლ. ძვ. წ. 1400 წწ.).

ვერსალურ სიმბოლოდ: მისი წარმართული **თაურხატი**, რომელსაც „მატრომანიის“ მღვიმეში სცემდნენ თაყვანს, თავის თავში არ მალავს „ქაოსის შინაგან შემკვრივებას“. ის ქვეყნის სინათლის გუშაგია. მის წინ ყველა სახლში მუდმივად ანთია ლამპარი. მას მრავალი სახელით მოიხსენიებენ, რადგან ღვთისმშობელი ყოველ ჯერზე ღვთიურად გარდასახული მოგვევლინება. მისგან მუდმივად ქმნიან სურათ-ხატს, რადგან მისი წყალობით ღვთიურად სრულქმნილი სახის დანახვას ცდილობენ. აბა, რა იქნებოდა რენესანსი მის გარეშე?! მას უამრავი სახე აქვს, რომელთაგან ფლორენციის ეროვნულ მუზეუმში მოთავსებული პატარა ბარელიეფი, – მიქელანჯელოს „La Vergine con Figlio“[1] – სასწაულებრივად გადმოგვცემს ღვთაებრივის დაბადებას მზის წიაღიდან. ალბათ ეს ერთადერთი ნაწარმოებია, რომლის სიახლოვეს ყოფნასაც ინატრებდა კაცი, ვიდრე თვალს სამუდამოდ დახუჭავდა და ამქვეყნიდან წავიდოდა.

უკან ვბრუნდები. ახლა ამ ქვეყანას შინაგანად უკეთ შევიგრძნობ, ვიდრე ოდესმე. ამ დროს ყურში ორი კურთხეული სიტყვა ჩამესმის: „დედა იტალია“, და ვფიქრობ კაცზე, რომელიც ჩვენს დღეებში ამ ღრმა გრძნობით გამსჭვალული შეძახილით მიმართავს თავის ქვეყანას.

[1] (იტალ.) მიქელანჯელოს ბარელიეფი „ღვთისმშობელი ყრმით“.

ქვაშიშობილი

„მეტეორის ნამსხვრევი უჩვეულოდ მშვიდად გდია მინდორზე, და ეს სიმშვიდე ჩვეულებრივად დაგდებული ქვის სიმშვიდეს არ ჰგავს: ასე გგონია, ციდან ჩამოვარდნილი ქვა უეცრად გონს მოეგო და ახლა დაჟინებით ელისო რაღაცას. მასში ცეცხლი მთლიანად ჩამქრალა, მაგრამ ისე, რომ კვალი დაუტოვებია. და თავს ვერ აღწევ აკვიატებულ აზრს, რომ შესაძლოა, შავი ნამსხვრევი უეცრად ცეცხლის ენებად აინთოს. რაღაც ამის მსგავსი გახსენდება ამ კაცის გარეგნობის, განსაკუთრებით კი მისი სახის შემხედვარეს. უზარმაზარი მუქი თვალები ისე უელავდა, იფიქრებდი, შიგ რვალი გამორევიაო, ბინდ-ბუნდში კი მათში მოცისფრო სხივი გამოკრთოდა. ამ თვალებში მუდმივად იმალებოდა ენითგამოუთქმელი სევდა, მაშინ, როდესაც სოლისებურად წამახული პირის კუთხეებში ურყევი მხნეობა იკვეთებოდა. მასზე ამბობდნენ, მშრალიაო, და ეს მართლაც ასე იყო; თუმცა მთლად მშრალსაც ვერ ეტყოდი: როდესაც სახეზე ღიმილი ეფინებოდა, უმალ გრძნობდი, როგორი ჩვილი გული ჰქონდა; დიახ, ის მშრალიც იყო და იმავდროულად ცხელიც. შინაგანად ვერ იტანდა, როდესაც ხელის ჩამორთმევის დროს ვინმეს ცხელი და ოფლიანი ხელი ჰქონდა. მასთან შეხვედრისას გრძნობდი, რომ მსხემი იყო და, როდესაც ელაპარაკებოდი, უხერხულობა გეუფლებოდა. საუბარსა თუ

ქცევაში არ სჩვევოდა რაიმესთვის ხაზისგასმა ან რაიმეს აკვიატება. მიუხედავად ამისა, ისეთი გრძნობა გქონდა, ეს-ესაა ცეცხლს ამოაფრქვევსო; სადაც არ უნდა გამოჩენილიყო, ყველგან სახიფათო დაძაბულობის ველს ქმნიდა, და ეს ველი თავად მისთვისაც და გარშემომყოფთათვისაც საშიში ხდებოდა“ („გრაალის მცველნი“).

წინ მიდევს მუსოლინის რამდენიმე ფოტოსურათი, გადაღებული ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ. ასე მგონია, ჩემს წიგნში დუჩე[1] დავხატე-მეთქი. ეს მზმელი ახალი იტალიისა, სწორედაც რომ აეროლითური[2] წარმომავლობისა ჩანს: იგივე მშფოთვარება სიმშვიდის ქვეშ, ცეცხლოვან მგზნებარებასთან გაჯერებული იგივე პირქუშობა, საწვავ მასალად გამოყენებული იგივე ცხელი და მშრალი ნივთიერება, და ისეთივე სახიფათო ველის შექმნა საკუთარი თავის გარშემო. მხოლოდ იმ გამოგონილი გმირის სევდა არ შეიმჩნევა მასში; ნაცვლად ამისა, პირის კუთხეებში ბრძოლის ძლიერი ჟინი ეკვეთება. ახლა ნელ-ნელა მისი სხვა თვისებებიც წარმოჩინდება: მზერა მწველ სხივად ქცეულა და თითქოს მატერიალურად განჭოლავს საგნებს; ასე გგონია, თავისი ძლიერი ყბებით რკინასაც კი გაკვნეტსო. ეს კაცი ხიფათს თითქოს ანდე-გუმანით გრძნობს; დიახ, იგი იმ საფრთხესაც კი შეიგრძნობს, როდესაც თავდასხმის დროს, მოწინააღმდეგის მოსახრჩობად შემზადებული, თავდაპირველ, ალბათ მხოლოდ იდუმალ სურვილს აყოლილი, ცდილობს მას კისერზე სიკვდილის ქამანდი გამოსდოს. რა არის ეს, ციდან ჩამოვარდნილი დემონი?

[1] დუჩე – ბელადი, ფიურერი.

[2] აეროლითური – მეტეორიტის ქვის.

დუჩე კვირის ქრონიკაში უნდა ნახოს კაცმა. აქ იგი ტომის ბელადს ჰგავს, ეს-ესაა ბრძოლა რომ მოიგო. მსუბუქად და ლაღად დააბიჯებს და მის სიარულში ნიშანკვალი არ იგრძნობა ელემენტების „მთლიანობის შინაგანი შემკვრივებისა". ეს კაცი ამქვეყნიურ ყოფას სიცოცხლით ავსებს და მასში სიხარული შემოაქვს. ნაცნობებს გაცისკროვნებული სახით ესალმება, თვალებს ჭუტავს და წამწამებს შორის ისე იყურება; მერე დარდიმანდულად იღიმება და ადამიანების გულს ინადირებს, მისი ხელისჩამორთმევა საჩუქარს ჰგავს; მოძრაობს მკვეთრად და სწრაფად, მაგრამ არა გამალებით, და ამ დროს თითქოს ნაპერწკლებს ყრის. სფერული ელვაც ხომ, ვიდრე მას აფეთქების ძალა არ განმუხტავს, ოთახში წრეებს უვლის და არამიწიერად მოთეთრო-მოიისფრო შუქს ასხივებს! მუსოლინის სახეზე ნაპერწკლებს ტკაცა-ტკუცი გაუდით დიუნებზე არეკლილი მზის სხივების მსგავსად, და ამ ნაპერწკლების ნაკვალევი ფილმში განსაკუთრებით ხილული ხდება. უყურებ დუჩეს და ანაზდად ჰერაკლიტეს[1] სიტყვები გახსენდება: ელვა მართავს სამყაროსო. ამ წუთში ადამიანი მბრძანებლის წინაშე დგას.

ანტიკური დროება ერთ იდუმალ ნიშანს იცნობდა: ეს ელვის ნიშანია: ზევსი კიბელეს ჭექა-ქუხილში უკავშირდება; რატომ? იქნებ იმიტომ, რომ მან ელვა შვას? ალბათ ცხოვრებაში ყოველ ჩვენგანს ერთხელ მაინც გამოუცდია და იცის, რას ნიშნავს, როდესაც ელვა შინაგან დაგივლის. ზოგს იგი სასიკვდილოდ დასცემს ხოლმე,

[1] ჰერაკლიტე (დაახლ. ძვ. წ. 544-483 წწ.) – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი – მატერიალისტი და დიალექტიკოსი, რომლის თანახმადაც ბუნების პირველნივთიერებაა ცეცხლი.

ზოგიც, შემთხვევისა თუ მტკიცე თვითდისციპლინის წყალობით, უძლებს ამ დარტყმას; და მისთვის, ვინც ამას გადაურჩება, ელვა უჩვეულო ძალად გადაიქცევა. გავიხსენოთ დოსტოევსკი, რომელიც სიკვდილით დასჯამდე ცოტა ხნით ადრე შეიწყალეს. ამან იგი ფიზიკურად იხსნა, სიკვდილის წამთან შეხებამ კი შემოქმედებითად აღაზევა. მუსოლინის რომ უყურებ, ასე გგონია, მან საკუთარ თავზე გამოსცადა ელვის ეს გამანადგურებელი დარტყმაო. ელვადაკრული ახლა ელვითშეპყრობილად იქცა, და ელვა, – ავდარში მზაობად თავმოყრილი და დაპირისპირებულ ძალთა თანხვედრის ეს წერტილი, – მისი სტრიქონია. დედის ორნატი ელვის ნიშანია. სწორედ ამის შედეგია დუჩეს არსების უჩვეულო პოლარიზება – იგი ჭეშმარიტად „ქვაშიშობილი" და „მატრომანიის" პირმშოს – მითრას – ნათესავია.

მზის კვალი

მარგერიტა სარფატი მოგვითხრობს: „არასოდეს დამავიწყდება გაზაფხულის ის დაბინდული საღამო, როდესაც ჩვენ, „პოპოლო დ'იტალიას" სამი თუ ოთხი რედაქტორი, მთავარ რედაქტორ მუსოლინისთან ერთად რედაქციიდან წამოვედით. მილანის პარკი რომ გამოვიარეთ, გისოსებიან ჭიშკართან დარაჯი დაგვხვდა, რომელიც ხელში გასაღებს აჩხარუნებდა და გაიძახოდა: „იკეტება, ბატონებო, იკეტება". ამ სიტყვების გაგონებაზე მუსოლინი უეცრად აფორიაქდა და გაფითრდა; მერე სასწრაფოდ ჯერ ისევ ღია ჭიშკართან მისვლა დააპირა, და, როდესაც რომელიღაც ჩვენგანმა მისი შეჩერება მოინდომა, აღშფოთებული მოგვიტრიალდა და მის თვალებში ხაფანგში გამომწყვდეული ნადირის შიში დავინახეთ. „არა, არა, ვერ ავიტან, ნამდვილად ვერ ავიტან, აქ რომ გამომკეტონ. ეს გისოსები, ეს რკინის კარი! თქვენ არ იცით, რას ნიშნავს ეს! ეს ციხეა! ამის გაფიქრებაზე სული მეხუთება. თერთმეტჯერ ვიჯექი ციხეში, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცხოვრების მიღმა რჩები და მის გაგრძელებას ვერ ახერხებ". დახშულ სივრცეში მოხვედრის სიძულვილი არაერთხელ გამხდარა მისთვის იმის მიზეზი, რომ ჯარში დისციპლინა დაერღვია. ასე მაგალითად, არ ასრულებდა უფროსების ბრძანებას და სროლის დროს ღია ცისქვეშ რჩებოდა, რათა სანგარში ან თავშესაფარში არ ჩასულიყო. იმავე მიზეზით, არ მისულა

კაპრიზე, ლურჯი მღვიმის მოსანახულებლად, რაც მენავეებს ძალიან სწყინდათ. მუსოლინის მაშინაც ეღუშება ხოლმე სახე, როდესაც მატარებელი ან მანქანა გვირაბში გადის".

თერთმეტი ციხე ჰქონდა გამოვლილი, ეს კი საკმარისი მიზეზი იყო საიმისოდ, რათა დახურულ სივრცეში ყოფნის შიშს ამხედრებოდა. მაგრამ ამ სიძულვილის მიღმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ იმალება: ეს არის უჰაეროდ სიკვდილის შიში, თანდაყოლილი შიში, მზიურნიშნეული ადამიანისა. მას არ აშინებს ღია ცისქვეშ სიკვდილი, იქნება ეს ხმელეთზე, ზღვასა თუ ჰაერში, და არაფრისა არ ეშინია ისე, როგორც დახშულ სივრცეში სიკვდილისა. სწორედ ამის გამო აცხადებს მუსოლინი უარს ლურჯ მღვიმეში შესვლაზე, ამის გამო ეუფლება უსიამო გრძნობა გვირაბში გავლისას. ერთი შემთხვევა კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს მის მზიურ ბუნებას: აი, ის გვიან ღამემდე მუშაობს და ამ დროს უამრავ უცხოურ გაზეთს ეცნობა. უეცრად თვალს მოჰკრავს ერთ უჩვეულო ცნობას: მასში მოხსენიებულია ფარაონ ტუტანხამონის მუმია, რომელიც ლორდმა კარნარვონმა[1] სულ ცოტა ხნის წინ აღმოაჩინა. მერე ისიც წაიკითხა, გათხრების დროს მკვლევარი რომელიღაც საშინელმა მწერმა დაკბინაო. იქნება ფარაონმა შური ამით იძია ლორდზე, მისი მარადიული ძილის ხელყოფის გამო? შეშინებული მუსოლინი გაზეთს გვერდზე გადასდებს და უეცრად ახსენდება, რომ ცოტა ხნის წინ საჩუქრად მიიღო მუმია, რომელიც ახლა პალა-

[1] ლორდი კარნარვონი – არქეოლოგიური გათხრების დამფინანსებელი ეგვიპტეში. ამ გათხრების დროს აღმოაჩინეს ტუტანხამონის აკლდამა.

ცო ვიტორიას ერთ-ერთ კუთხეში, გობელენებს შორის განისვენებს. ერთი წუთით მას თვალწინ წარმოუდგება საშინელი მუმია. მზის ადამიანს იმდენად ძლიერი წარმოსახვის უნარი აქვს, რომ ამ წარმოსახვაში შეუძლია თავსატეხი მოვლენები დროდადრო ცხადლივ დაუკავშიროს ერთმანეთს. და აი, მუსოლინი ტელეფონს მივარდება და სასწრაფოდ გასცემს ბრძანებას, იდუმალი მუმია დაუყოვნებლივ მოაშორონ აქედან. მერე, ერთი საათის განმავლობაში, ყოველ ათ წუთში ტელეფონზე რეკავს, ვიდრე არ დარწმუნდება, რომ ეს შემზარავი საგანი იქ აღარ იმყოფება. ეს ისევ და ისევ მზის ადამიანის ორნატია. ამგვარ არსებაში საწვავი იმდენად სრულყოფილად იწვის, რომ ფერფლსა და წიდას არ ტოვებს. წამი მისთვის მროკავი ალის შესაგვანია. ეს წამი მუდმივად ამოტივტივდება ხოლმე მზის მარადიული ახალგაზრდობის წყაროში და საკუთარ თავს მზის ახალი სხივით განაახლებს. ადვილი წარმოსადგენია, რა საშინლად უნდა მოქმედებდეს მუსოლინიზე ხრწნილების ნაშთები, და, ალბათ კიდევ უფრო საშინელია მისთვის ხილვა მუმიაში არაბუნებრივად შემორჩენილი სიცოცხლის საფარისა. მაგრამ ესეც არაფერი. მართალია, მზის ადამიანი ალივით იწვის, მაგრამ თავად ალისგან არც ფერფლი რჩება და არც ნაცარი. ეს ადამიანი დროდადრო უფსკრულთან დგას: მის „მენ“ – პიროვნებას შეუძლია სიცარიელეში გაუჩინარდეს. ასეთ წუთებში იგი სულისშემხუთავად მწვავედ ჩაისუნთქავს სიკვდილს. სწორედ ამის შედეგია ის მოულოდნელი პირქუში სევდაც და ის უეცარი სიფიცხეც. ალის სიკვდილის ანუ საკუთარი თავის შთანმთქავი სიკვდილის წარმოდგენა მას კიდევ შეუძლია, მაგრამ აქ, მუმიის სახეში, სიკვდილი, ასე ვთქვათ, სხეულმოვლენილი წარსდგება მის წინაშე. ეს კი შემზარავია მზის

ადამიანისათვის. და მაინც, ერთი სცენა ყველაზე უკეთ დაგვანახებს მუსოლინის მზეოსან ბუნებას. ერთ დღეს, მინდორში სეირნობისას, დუჩე უეცრად შენიშნავს ქვისმთლელს, რომელიც პაპანაქება სიცხეში თავდაუზოგავად შრომობს. ქვისმთლელში იგი სკოლის ამხანაგს შეიცნობს; თავის მხრივ, ეს უკანასკნელიც იცნობს მას. მუსოლინი ქვისმთლელის გვერდით ჩამოჯდება, შეენაცვლება მას და რიყის მძიმე ლოდების მტვრევას იწყებს, მაგრამ პიტალო ქვა აგრერიგად ადვილად არ დაჰყვება მის ნებას. „თქვენო ბრწყინვალებავ, ვერ მოერევით, ლოდი მეტისმეტად მაგარია“, – ეუბნება ქვისმთლელი. დუჩე ამაზე მიუგებს: „ასეთი ქვები დამიმტვრევია? მთავარია, კაცმა ძარღვი უპოვოს“. და აი, ის ქვას შემოატრიალებს და სქელ ძარღვს პოულობს. ამის შემდეგ ერთი ძლიერი, ზუსტი დარტყმა და ლოდი ორად იპობა.

ნუთუ ეს სანახაობაზე გათვლილი აფექტია? შესაძლოა, სხვა ყველაფერი იყოს, ოღონდ არა ეს. მზის ადამიანი პლასტიკურად ვითარდება: მის მიერ განცდილი, თავისდაუნებურად, მასში რჩება. ასე გგონია, ყოფილი კალატოზი ამ წუთში თავად ქვისმტეხელიაო. არსებობის სიხარულის წყალობით დაგროვილი ცხოვრებისეული სისავსე, აქ აშკარად გამოვლინდა თავისუფალ, შთაგონებით აღსავსე აღმაფრენაში. თავს ბედნიერად ნამდვილად მხოლოდ ქვისმთლელი არ გრძნობდა. და, როდესაც მუსოლინი პონტინის ნაყოფიერ მინდორზე პირველ მოსავალს იმკის, ეს არ არის მხოლოდ სიმბოლური შრომა.

დიახ, იგი საკუთარ თავში მზეს, როგორც არსებითობას, ისე ძლიერად შეიგრძნობდა, რომ მან ბოლშევიზმზე ერთხელ ხუმრობით ასეთი რამ თქვა: „ქვეყანაში, სადაც ასე უხვად არის მზე, ის ვერ მოვაო“. მუსოლინი იტალიას გულისხმობდა.

რომანიის მკვიდრი

ადამიანის პიროვნებას ვერც შექმნი და ვერც წარსულში დააბრუნებ. ბურუსითაა მოცული, თუ როგორ „შეიქმნა“ იგი ღვთიური თაურხატებისაგან. შეიძლებოდა მხოლოდ გვეცადა და გამოგვეკვლია, როგორ „იშვა“ იგი სივრცესა და დროში: „დავიბადე კვირას, შუადღის 2 საათზე. სწორედ იმხანად მრევლის ეკლესიის – დელე კამინატეს – მფარველის პატივსაცემად ზეიმი იყო გამართული. ამ ეკლესიის უძველესი, შელახული სამრეკლო საზეიმოდ და დიდებულად გადაჰყურებს ფორლის დაბლობს. მზე ლომის ნიშანში უკვე რვა დღის შესული იყო“. მზე ლომის ნიშანში იყოო: აქ მზიანი ღამის იდეაში პლანეტარულ-რუნული ნიშანი იგულისხმება. მუსოლინი მდინარე პოს ვრცელ დაბლობში, ალპებს, ადრიატიკასა და აპენინებს შორის მდებარე რომანიაში დაიბადა. აქ ვულკანური ნიადაგი ადამიანს ამოუცნობი მშფოთვარებით ამაგნიტებს. ეს სრულიად ემთხვევა მუსოლინის ხასიათს. „ნიადაგი ნოყიერია, მაგრამ აქ დაუოკებელი ადამიანები ცხოვრობენ“, – ეს შენიშვნა კარდინალის ერთ-ერთ ლეგატს[1] ეკუთვნის; და ეს თვისებაც ხელისშემწყობი აღმოჩნდა ისეთი გენიოსის შესაქმნელად, როგორიც მუსოლინია. მისი მამა, ალესანდრო, მჭედელი იყო დოვიაში. ხომ ვერ

[1] ლეგატი – რომის პაპის რწმუნებული კათოლიკურ ეკლესიაში.

წარმოიდგენდით, რომ „ელვითშეპყრობილი“ შეიძლებოდა სხვაგვარი წარმომავლობისა ყოფილიყო?

„მოუსვენარი და ერთობ ონავარი ბიჭი ვიყავი. ბევრჯერ მოვსულვარ სახლში თავგაჩეხილი, მაგრამ შურისძიებაც მშვენივრად შემეძლო. მომთაბარის ინსტინქტი მქონდა, დილიდან საღამომდე მდინარის ნაპირზე დავრბოდი, ხილს ვიპარავდი და ჩიტის ბუდეებს ვანადგურებდი,“ – მოგვითხრობს თავად მუსოლინი. ამ დროს ცოცხლად წარმოიდგენ ჭაბუკ მითრას, რომელსაც ხელში ჯერ არ უპყრია მწიფე ყურძენი.

ბიჭი მამას სამჭედლოში უნდა მოხმარებოდა. ამ დროს უფლება არ ჰქონდა, თვალები ცეცხლის ნაპერწკლებისგან დაეცვა, – მკაცრი და კუშტი ალესანდრო მას ამისთვის სჯიდა. მაგრამ ბიჭი იმას კი ხედავდა, გავარვარებული ფოლადი ცივ წყალში როგორ შიშინებდა და ცივდებოდა, და თავადაც ფოლადივით იწრთობოდა, როდესაც მამის ბრძანებებს ასრულებდა. საკუთარი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, ცეცხლს უთუმცაოდ იცნობდა და ახლა ისღა დარჩენოდა, რკინა თავისად გაეხადა. მერე ის იყო, მჭედლის სახელოსნოში ნელ-ნელა თავადაც რკინის თვისებები შეიძინა.

წყნარი საღამოა. მამა კერიასთან ახლოს დგამს სპილენძის ქვაბს, რომელიც სავსეა მშობლიურ მიწაზე მოწეული ყურძნის წვენით, და ქვეშ ცეცხლს შეუნთებს. მამა ზუსტად იცავს ღვინის დაყენების საიდუმლო წესებს და დიდად აფასებს მათ. იგი სასოებით წონის ნაირნაირ სუნელს, რომელთაგან ზოგი უცხოეთიდან არის ჩამოტანილი; მერე სუნელებს ქვაბში ყრის და ციცხვით გულმოდგინედ ურევს. ზანტად ადის ჰაერში მოტკბო, მწკლარტე სუნი, და, ცოტა ხანში უკვე ნანატრი ნელსურ-

ნელება იფრქვევა ირგვლივ. კმაყოფილი მამა ჭინჭილით ხაპავს ქვაბიდან გემრიელ გლინტვეინს, ნეტარი სახით აჭაშნიკებს მას და მხიარულად ადასტურებს: „მაგარია!“ მერე შვილს უსხამს ღვინოს. ბენიტო დუმს. ახლა ღვინოს კურთხეული სიტყვები სჭირდება და მამა კითხულობს ადგილებს ელეელებიდან,[1] მაკიაველიდან[2] თუ დანტეს „ბრინჯაოს ტერცინებიდან“. ბიჭი ჯერ არ იცნობს სოფოკლეს, მაგრამ იცის: „ბედნიერებაა, როცა მშობლებს თვალებში ჩახედავ“. და ამ სიტყვების მნიშვნელობა გასაგები ხდება, როდესაც დუჩე მისთვის დიად წუთებში ჩუმი სერიოზულობით იხსენებს მამას.

და, თუკი მამა სიმკაცრით გამოირჩეოდა, უმცროსი ძმა თავად სიკეთის განსახიერება იყო. „არნალდოს სულიერების ნავსაყუდელში შემეძლო საკუთარი სულიერების ღუზა ჩამეშვა“, – გულწრფელად აღიარებს მუსოლინი. მამასა და ძმას შორის მყოფი ეს პოლარული ადამიანი ასე სრულყოფდა საკუთარ თავს. გადის წლები. 1930 წელს არნალდო კარგავს თავის ოცდაორი წლის ვაჟს, საყვარელ სანდროს, და, შინაგანად განადგურებულია. 1931 წლის 31 დეკემბერს კი მილანში, სრულიად

[1] ელეელები ანუ ელეატები – ძვ. წ. აღ. V-VI სს. ძველი ბერძნული ფილოსოფიური სკოლა ქალაქ ელეაში (სამხრ. იტალია); შექმნა მოძღვრება ჭეშმარიტი ყოფიერების უცვლელი არსებისა და ყველა ცვლილებისა და განსხვავების ილუზიონურობის შესახებ.

[2] ნიკოლო მაკიაველი (1469-1527) – იტალიელი მოაზროვნე; მისი აზრით, საზოგადოება ვითარდება არა ღმერთის ნებით, არამედ ბუნებრივი მიზეზებით. პოლიტიკური მიზნების მისაღწევად დასაშვებად მიაჩნდა კანონების უგულებელყოფა და ნებისმიერი საშუალების გამოყენება.

მოულოდნელად, კვდება თავად არნალდოც. მუსოლინი მას მიუძღვნის წიგნს, რომელშიც სულისშემძვრელად აღწერს ძმის პორტრეტს. წიგნს მხოლოდ ნაწყვეტებითაც რომ იცნობდეს, მკითხველი მაინც იგრძნობს დუჩეს დიდ სიყვარულს ძმისადმი, და საოცარია: თავადაც სიყვარულით იმსჭვალება გარდაცვლილის მიმართ. „ყოველთვის მიხარია, როცა ვხედავ, როგორ გარდაისახება მატერია“, – უთქვამს ერთხელ მუსოლინის. ასეთ რამეს კი მხოლოდ ის კაცი თუ იტყვის, საკუთარ თავში ქმედითად რომ შეიგრძნობს მზის გამანაყოფიერებელ ძალას. მაგრამ მატერიის გარდასახვისთვის ადამიანს ხომ დედამიწის ძალების შესახებ პირველთაური ცოდნა სჭირდება!

იდუმალებითმოცული მოხუცი ჯოვანა, რომელთანაც ახალგაზრდა ბენიტოს მეგობრობა აკავშირებდა, უხვად ასაჩუქრებდა მას ამ ცოდნით. ამ ქალისგან ისწავლა მან ყველაფერი; გაიგო: „რა მნიშვნელოვანია მთვარის გავლენა, იმისდა მიხედვით, მონავანია ის თუ მოსავანებელი; რატომ უნდა მოერიდოს ადამიანი მთვარის შუქზე ძილს; რა ღრმა შინაარსი შეიძლება ჰქონდეთ სიზმრებს, და რა მნიშვნელობა აქვს ახალი წლის დილას; როგორ უნდა გაშალო ბანქო; რატომ ვერ იტანენ ხარები პატრონად ქალებს, და რომ კურდღლებს სირბილის დროს წინა ფეხები უმოკლდებათ, უკანა კი უგრძელდებათ, რათა ბალახის წიწკნის დროს კარგად დაეყრდნონ მიწას“. ასე ეზიარა მუსოლინი ზმევის მისტერიას მისანი ქალის წყალობით, წარსულის აწმყოში გამოხმობის ცოდნას ანდე-გუმანით რომ ფლობდა.

მუსოლინის ცხოვრებაში ცალკეულ ფასეულ მიგნებებსაც ვხვდებით. მაგრამ ერთი მათგანი სწორედ ის საიდუმლო გასაღები მგონია, რომლის საშუალებითაც მისი

ხასიათის ამოცნობას შევძლებთ: დუჩეს საოცრად უყვარდა ბუკნაჭოტები. ყოველწლიურად, განსაზღვრულ დროს, ხიდებს მიაშურებდა ხოლმე, სწორედ აქ, ხიდის თაღებქვეშ ჰქონდათ ბუდე ამ პატარა არსებებს; და მუსოლინი წებოწასმული წკეპლით მარდად იჭერდა ბარტყებს. ერთ ბარტყს წაიყვანდა და თავისი საწოლის გვერდით, პატარა კონკილაზე, მიუჩენდა ხოლმე ბინას. „ღამღამობით რომ ვიღვიძებდი, ამ მრგვალ, ფართოდ გაღებულ, ყვითელ თვალებს ვხედავდი, განათებულ ოქროს დისკოებს რომ ჰგავდნენ; ეს თვალები მომჩერებოდნენ და მდარაჯობდნენ“.

ბუკნაჭოტი ბუს პატარა სახეობაა. ბუ კი, ხალხური გადმოცემით, ხან სიბრძნის, ხანაც უბედურების სიმბოლოდ გვევლინება. რა თქმა უნდა, ცრურწმენაა! მაგრამ ეს ცრურწმენა პალიმფსესტს – ანუ იმ ხელნაწერს ჰგავს, რომლის ქვეშაც უფრო ძველი წარწერა აღმოჩნდება ხოლმე. ბუს შემთხვევაში უპრიანი იქნება, თუ ზედა წარწერას გადავფხკთ, რათა ქვედა გამოჩნდეს. აი, მაგალითად, ღამით მარტოდმარტო სადღაც მიდიხარ, და უეცრად, თითქოსდა მიღმა სამყაროდან, ბუს კივილი შემოგესმება. ადგილზე ჩერდები და იცდი. ამ წუთებში გრძნობ, რომ შენთვის დრო და სივრცე აღარ არსებობს. საკუთარ თავში ჩაფიქრდები და კითხვა: „საით“ შენს გონებაში გამოუხმობს კითხვას: „საიდან“. აი, სწორედ მაშინ დგება ის წუთი, როდესაც საკუთარი სულის ჭვრეტას იწყებ. სწორედ ასეთ წუთს გამოუხმობს შენში ბუს ძახილი. ხალხს ნამდვილად არ ღალატობს გუმანი, როდესაც ბუს სიბრძნის სიმბოლოდ სახავს. მაშ, რატომ უნდა იყოს იგი ამავდროულად უბედურების სიმბოლოც? და აი, აქ გაცხადდება დაფარული აზრი: თუ ბუს ძახილს გა-

ფრთხილებად არ შეისმენ, მაშასადამე, უბედურებასთან შეხვედრას ელტვი. მაგრამ ამ „ცრურწმენაში“ რაღაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იმალება. ბუ ხომ ღამის წყვდიადში ჩაბუდებული ვირთხაა! ვირთხა კი ერთდროულად რეალურსაც განასახიერებს და მოჩვენებითსაც. ის მხოლოდ ბუ კი არა, პუმაც არის, ყველასთვის ახლობელი და თან შორეული, იდუმალიც და ბოროტიც. ის, როგორც სიმბოლო, ცხოვრების რიტმში იმ მოფარფატე ცეზურას ქმნის, როდესაც ორი ურთიერთდაპირისპირებული ნაკადი ჯერ გამოეყოფა ერთმანეთს, მერე კი კვლავ აღიდგენს წონასწორობას და ისევ შეერთდება. ამ ცეზურის შესახებ ყველაზე უკეთ ძველმა ეგვიპტელებმა იცოდნენ, რომელთა ცხოვრების მდინარებას ნილოსის მიმოქცევა განსაზღვრავდა. სწორედ ამიტომ შერაცხავდნენ ვირთხას წმინდა ცხოველად. სხვათა შორის, ვირთხების დიდადმოყვარულ მუსოლინის, რომელიც გამუდმებით დგას ჭექა-ქუხილის დროს დაგროვილ ორ დაპირისპირებულ ძალას შორის, როგორც არავის, ისე სჭირდებოდა სიმშვიდის ამ წუთის ხელშეუხებლობა. როგორც ჩანს, მისი არსება მიილტვოდა არსებობის დამცავი ცეზურისკენ და ეს უკანასკნელიც ბუ-ვირთხის სახით შეუმჩნევლად მოევლინებოდა ხოლმე. „მდარაჯობენო“, – ეს სიტყვა ქვეცნობიერის მრავლისმთქმელ ფსიქოგრამას წარმოადგენს.

თვითდისციპლინის საფრთხე

ერთ-ერთი საცდელი ფრენის დროს მუსოლინის თვითმფრინავი ჩამოვარდა. მხოლოდ ორმოცი მეტრის სიმაღლიდან გადმოვხტიო, – მხიარული ხმით ამცნო მან მეგობრებს ტელეფონით. ეს „მხოლოდ“ მას ფეხის დაზიანებად დაუჯდა. „სიცოცხლე ხომ მშვენიერი რამ არის! საფრთხეში თავის ჩაგდება ნამდვილად ღირს. ადამიანი დროდადრო რისკზე უნდა წავიდეს, რომ საკუთარი თავის ფასი გაიგოს“, – ამბობდა უკვე გამოჯანმრთელების გზაზე მყოფი. ამ სიტყვების აზრს უფრო ანდე-გუმანით ხვდები, ვიდრე თავად გამონათქვამით. არსებობა, – ეს ღვთივბოძებული უდიდესი საჩუქარი, – საფრთხეში გამოიცდება. დიახ, ის თავად წარმოადგენს საფრთხეს; ეს ის არჩევანია, რომლის წინაშეც მზმელი ყოველ წუთს შეიძლება აღმოჩნდეს. ადამიანი მარად დგას ღმერთსა და არარას შორის, და, ნებისმიერმა მცდარმა ნაბიჯმა, შესაძლოა, იგი უფსკრულის პირას მიიყვანოს. თვით ყველაზე სრულქმნილი სიყვარულიც კი გამუდმებით დგას სახიფათო უკეთურების წინაშე. აქ გერმანული ენის გენიოსს მოვიშველიებ და ვიტყვი: როგორც კი რამეს უგულებელყოფ, საფრთხე მუქარად იქცევა. ყველაზე მთავარი კი, აი, რა არის: რაც უფრო მაღალაღმატებულია არსება, მით უფრო მეტად ექცევა იგი დემონების გავლენის ქვეშ. გოეთეს აქ მხედველობაში აქვს სახიფათო

ზონა, რომლის მოქმედების არეც არსების ზრდასთან ერთად ფართოვდება.

ახალგაზრდა მუსოლინი ნიცშეს იდეების გავლენით წერდა: „ამ ახალი იდეალის გასააზრებლად უნდა შეიქმნას თავისუფალ სულთა ახალი ნაირსახეობა, გამოწრთობილი ბრძოლაში, სიმარტოვესა და დიდ საფრთხეში. მათ ეცოდინებათ, რა არის ქარი, მარადიული თოვლი, მაღალი მთები და მყინვარები, და თამამად გაზომავენ უფსკრულების სიღრმეს“. იქნებ ამ დროს დუჩე საკუთარ თავზე წინასწარმეტყველებდა?! როგორც ჩანს, მის ამ ნათქვამში უფრო მეტი დაფარული აზრი იმალება.

ყოველ ჩვენგანს ნესუსის პერანგი[1] გვმოსავს, ჰერაკლეს მსგავსად, სასიკვდილოდ რომ შეგვამზადებს. ამ სხივნათელი გმირივით, ჩვენც საზორველ ცეცხლში უნდა ვიწვოდეთ, რათა ამ პერანგისგან თავი დავიხსნათ. და ეს ყოველდღიურად, ყოველ წამს უნდა ხდებოდეს. ეს შინაგანი თავგანწირვისათვის სრულ მზადყოფნას, მზადყოფნა კი – სიმამაცეს გულისხმობს; სწორედ სიმამაცის წყალობით იქცევა საფრთხე თვითრეალიზაციის მასალად. და მხოლოდ ძალიან ცოტა ადამიანის ხვედრია, მუსოლინის მსგავსად, შეუვალი იყოს და მამაცად იქცეოდეს სახიფათო ზონაში. იგი საფრთხეს ისე ელტვის, რომ ხანდახან თავგადასავლების მაძიებელი გგონია. დიახ, „გგონია“, რადგან, საბოლოო ჯამში, მუსოლინი მხოლოდ საკუთარ ინსტინქტს ენდობა, და ასეც

[1] ნესუსის (ნესოს) პერანგი – ბერძნულ მითოლოგიაში კენტავრ ნესუსის მოწამლული პერანგი, რომელმაც ჰერაკლეს სიკვდილი გამოიწვია.

ამბობს: „ჩემს ინსტინქტს როცა მივენდობი ხოლმე, არასოდეს ვცდები“.

მას დარაჯად ბუკნაჭოტის მახვილი მზერა უდგას.

მუსოლინი ომისდროინდელ ერთ-ერთ ეპიზოდს იხსენებს: „დავალებული მქონდა, მტრის მიერ ნასროლი ხელყუმბარის დაჭერა და, სანამ აფეთქდებოდა, მისი უკან გადაგდება. ეს სახიფათო თამაში იყო, მაგრამ ყოველთვის ვახერხებდი ხელყუმბარის დაჭერას და მის გაღმა გადასროლას. მოგვიანებით ჯარისკაცებსაც ვასწავლიდი სროლის წესებს; ასანთი მალე ქრებოდა, ამიტომ ფალიას სიგარეტით ვუკიდებდით; ყუმბარა კი ერთხანს კიდევ უნდა გვჭეროდა ხელში, რადგან თუ მას დროზე ადრე ვისროდით, შეიძლებოდა მტერს ისევ უკან გამოებრუნებინა. საბრალო ჯარისკაცები შიშით კანკალებდნენ და შეძრწუნებული სახით მიყურებდნენ, ვიდრე ერთიდან სამოცამდე დავითვლიდი წამებს“. ასეთია მუსოლინი ყველაფერში. მისთვის საფრთხე თვითდისციპლინის ნაირსახეობაა და ამ საფრთხეში იწრთობს თავს.

1917 წელს მუსოლინი მძიმედ დაიჭრა. იგი საკაცით ჯერ დობერდოში, იქიდან კი რონკიში ჩაიყვანეს. საველე ლაზარეთის ექიმი მოგვითხრობს: „მისთვის წვივის ძვალი უნდა გაეხვრიტათ. თავშეკავება არ აკლდა; შუბლშეჭმუხნილი ხმას არ იღებდა და ერთობ პირქუში იყო. საოპერაციო დარბაზში რომ შეიყვანეს, გეგონებოდა, მასში რაღაც უჩვეულო ნერვმა დაიწყო ფეთქვა და მიზანსწრაფულმა ენერგიამ ამოხეთქაო. დაჟინებით ადევნებდა თვალს დასტაქარის დანას; მერე კი, როდესაც დანის პირი ხორცში ჩაესო, მუსოლინიმ აუტანელ ტკივილზე რეაქცია იმით გამოხატა, რომ ყბები დააღრჭიალა, პირი დამანჭა და შეიკურთხა, მაგრამ იმავე წუთს სახეზე

ღიმილმა გადაურბინა. ერთ პატარა ადგილას 42 ჭრილობა ჰქონდა და სხეულში ყუმბარის უამრავი ნამსხვრევი ჩარჩენოდა“.

რა მოთმინება ჰქონია! თუმცა ყოველთვის ასეა: თუ ადამიანი უფერფლოდ იწვის, მისგან რჩება რაღაც ისეთი, რაც შთანმთქმელ ცეცხლს სძლევს.

„დადით“ აღბეჭდილი კაცი

არაბები ამბობენ: თუ ცეცხლს საწვავს არ ჩაუმატებ, იგი თავის თავში შთაინთქმევაო. არავის ისე არ სჭირდება საკუთარი შინაგანი ცეცხლის გაღვივება, როგორც მზით ხელდასხმულ ადამიანს. ამიტომაც იგი გამუდმებით და მიზანდასახულად უნდა ცდილობდეს, ცეცხლს საწვავი არ მოაკლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცეცხლის წყაროსა და საწვავს შორის შეიქმნება ვაკუუმი, რომელიც, შეიძლება, ბევრად უფრო შემმუსვრელი გამოდგეს, ვიდრე „შინაგანი შემკვრივება“. ეს თვითჩაფერფვლის ტოლფასია. წარმოვიდგინოთ გენიოსი, რომელიც თვითქმნადობისთვის საწვავს ველარ შოულობს; ცხადია, ის ჩაიფერფლება. მუსოლინი ცდილობს, – და თან ნამდვილად ქვეცნობიერად, – თავიდან აიცილოს ეს საფრთხე და საკუთარი ქმედითობისთვის საჭირო საწვავს გამუდმებით ცვლის. ეს ადამიანი მხოლოდ საზოგადო მოღვაწე არ არის! ის ვიოლინოზე უკრავს და უმთავრესად იმპროვიზაციებს ასრულებს, არის მწერალი და წერს დრამებს, ნოველებს, კრიტიკულ წერილებს და მოგონებებს; მოტოციკლეტის აწყობაც შეუძლია და მანქანის საჭესაც უზის; არის დიპლომირებული მფრინავი და უამრავი პიკირებული ფრენა აქვს შესრულებული; ამავდროულად, თავგამოდებული მოთხილამურეც არის. მას ხშირად ნახავთ თავის ახალგაზრდა ვაჟთან – რომანოსთან – ერთად, მოთხილა-

მურეებს შორის 2200 მეტრის სიმაღლეზე ტერმინილოსა თუ რომის სიახლოვეს, აბრუციში. კარგი მოფარიკავეა, და ამაზე მისი ორთაბრძოლები მეტყველებენ. მეტწილად შუადღისას ცურავს; ცხენითაც ჯირითობს, და ხშირად ნახავთ, როგორ ვარჯიშობს ცხენოსნობაში თავისი რომაული სახლის, „ვილა ტორლონიას“, პარკში; სალაშქროდ მთებშიც დადის; აბა, კიდევ რისი თქმა შეიძლება? საკუთარ თავში მოძრაობათა მონაცვლეობა მას იმისთვის სჭირდება, რომ ძირითად საქმიანობას თავი დააღწიოს. მისთვის ეს არ არის დასვენება, როგორც შესაძლოა, ერთი შეხედვით იფიქროს კაცმა: ამგვარი მონაცვლეობა, იმ თვალითუხილავ ორთაბრძოლას საწვავით ამარაგებს, და ეს არის მომხიბვლელი სინკოპის ნაირსახეობა შინაგანად ღრმად მოძრავი ადამიანისა. ამის შესახებ, რა თქმა უნდა, შეიძლება უფრო მეტიც და რაღაც სრულიად სხვაც ბევრი ითქვას.

„მოუსვენრობა სიმშვიდის მიღმა“, – ასეთ თვისებას დაინახავს კაცი მუსოლინის არსებაში, მაგრამ ეს ისტორიული მოვლენის დონეზე განისაზღვრება. მეტაფიზიკურ შრეში იგი, ნებისმიერი ადამიანივით მშვიდი რჩება, კერძოდ კი, რაც უფრო მეტს მოძრაობს, მით უფრო მშვიდია. „ეს არის უცვლელად დარჩენა იმის შუაგულში, სადაც არსებობს ღირსება; მაგრამ ადამიანები ამ შუაგულში იშვიათად ჰგიებენ“, – შეგვაგონებს ჩინური სიბრძნე. ადამიანური თაურხატის გულისგული შენარჩუნებულ უნდა იქნას ქალწულებრივ უბინოებაში და სრულიად ხელშეუხებელი, ასე ვთქვათ, ღვთიურად „მომლოდინე“ უნდა დარჩეს. პოლ ვალერიმ თავის ერთ-ერთ ლექსში გამოძერწილ სურათ-ხატს „ატომის დუმილი“ უწოდა, რაც ატომის ბირთვში იმ სიმშვიდის არსებობას გვაუწყებს,

რომელიც, შესაძლოა, ქარტეხილისთვის ემზადება. შუაგულში უცვლელად დარჩენა ადამიანს ღვთიურობის ხარისხში აღავლენს და სიმტკიცეს ანიჭებს. უძველეს გადმოცემებში ამ თვისებას, იულიუს ევოლას თანახმად, „დადს“ უწოდებენ (ეს ამოუცნობი სიტყვა საქართველოში ერთ-ერთი წარჩინებული გვარის სახით გვხვდება: დადიანი, „დადი“=დადით შეპყრობილს; იყო მცდელობა, ეს სიტყვა ციხე-სიმაგრესთან დაეკავშირებინათ, მაგრამ, შესაძლებელია, „დადი“ თავდაპირველად, საერთოდ, „მაგარს“, „მტკიცეს“ ნიშნავდა: ამიტომ მისი კავშირი „სიმტკიცესთან“ აშკარაა).

როგორც არ უნდა იყოს, „დადი“ შინაგანი სიმტკიცის, ღვთიურად მუდმივის საცნაური ნიშატია; და სწორედ „დადია“ დუჩეს მეფური ორნატი. ეკერმანთან საუბარში გოეთეს ნაპოლეონზე ასეთი აზრი გამოუთქვმს: მისი სიძლიერე იმაშია, რომ ყოველ წამს „ერთი და იგივე“ რჩებაო. უკანასკნელი საუკუნეების უდიდესი ხელდასხმული გუმანით გრძნობდა „დადის“ არსებობას. ნაპოლეონის ამ ზუსტ დახასიათებას შეიძლება შევადაროთ თქმულება, რომელიც რომში მუსოლინიზე დადის; მასზე ამბობენ, დუელის წინ, ცოტა ხნით ადრე და მის შემდეგაც, ერთნაირად თანაბარი პულსი ჰქონდაო. განა აქაც არ იგრძნობა „დადისმიერი“ სიძლიერე?

ძნელია ამ თვისების შექმნა შინაგან არსში. „ოქროს ყვავილის საიდუმლო“, ჩინელების ეს ავბედითი წიგნი, შეგვაგონებს: „ვეი-ვუ-ვეი“, ანუ, იმოქმედე ისე, რომ არ იმოქმედო, აკეთე ისე, რომ არ აკეთოო. კი მაგრამ, როგორ? ქმედება შიგნიდან უნდა დაამუხრუჭო? არა! გავიხსენოთ მშვილდისრის სროლის კულტი იაპონელებში. განა ამ კულტში აშკარად არ ჩანს ეს „ვეი-ვუ-ვეი“? სუძუკის

თანახმად, აქ საქმე შემდეგს ეხება: „მიზანს კი არა, საკუთარ თავს, ისევ და ისევ საკუთარ თავს არ მოახვედრო! ეს ნიშნავს, იყო უძრავი შუაგული, და ამით, არარაც და ყველაფერიც“. კიდევ ერთ პარადოქსთან გვაქვს საქმე? არა, ეს მხოლოდ მოჩვენებითია. მშვილდოსანი ჭიმავს ლარს, მაგრამ იმავდროულად მთელ ყურადღებას საკუთარ თავს მიაპყრობს. ეს იმდენხანს გრძელდება, ვიდრე შინაგანად იმ უძრავ შუაგულს არ მიაღწევს, სადაც მისი ყველაფერს მოწყვეტილი, დროის ამ მონაკვეთში არარასა და ყველაფერს შორის მოქცეული, საკუთარ თავში ჩაკეტილი თვითობა იმყოფება. ერთ წერტილში გაყუჩებული მშვილდოსანი ყველაფერს გამორიდებია, და ახლა მისი შინაგანი მზერა შორეთიდან მხოლოდ მშვილდს გამოუხმობს. ის ახლა მშვილდის პირისპირ დგას, მისკენ სახით შემობრუნებული, „ცარიელი და ცოცხალი“; ცარიელი ეთქმის, რადგან ყველაფრისგან თავისუფალია, ცოცხალია, რადგან მზად არის სამოქმედოდ. მასსა და მშვილდს შორის ამ „დაშორებაში“ არაფერი არსებობს, ისე, რომ შეუძლია გაყუჩებული მდგომარეობიდან მთელი ძალით გადაინაცვლოს მშვილდზე. წამიც, და, მასსა და მშვილდს შორის სიცარიელის ბოლო ნაშთიც ქრება. სწორედ ამ დროს მოჭიმული ლარი ელვის ბურთივით გასტყორცნის ისარს. დიახ, ასეა ეს: მსროლელი გარეთა მიმართულებით, წინ, – მიზანს ახვედრებს; შიგნითა მიმართულებით, უკან კი – საკუთარ თავს. მთელი ეს პროცესი ატომის ბირთვის ქმედების შესაგვანია: სპონტანურია და თვითსაიმედო. ამის შედეგია ამ ქმედების ელვისებური ძალა. სწორედ ამ მდგომარეობაში იმყოფება სამურაი, როდესაც იგი მახვილით ხელში იბრძვის.

„ვეი-ვუ-ვეი“ – საბოლოო ჯამში ეს ნიშნავს: მთელი არსებით ნუ მიეცემი წუთიერ საქმიანობას; პირიქით,

შეეცადე, ისე გაიზარდო, რომ ეს საქმიანობა საკუთარი თაურსაწყისისკენ წარმართო. თუ კაცი ამ წუთს მთლიანად მიეცემა, იგი საკუთარ თავს ამაოების ილუზიას შეუქმნის. შემდეგ კი ეს წუთი ქრება და თაურხატის წყაროც ამის გამო საგრძნობლად კარგავს ძალას. თვითრეალიზაცია კაცმა ისე უნდა განიცადოს, თითქოს ეს წუთი მხოლოდ არსის შუაგულის შინაგანი შემკვრივებული ემანაცია ყოფილიყოს. მაშინ წუთს თავისი დროით ხანგრძლივობა მიენიჭება, და ამ გზით დაბადებული განცდა ღრმადდაფარული თაურხატის წყაროსთვალს გამოკვებავს. მუსოლინის ცხოვრების რიტმის სინკოპა ამ „ვეი-ვუ-ვეის" გვაგონებს: იგი ყოველთვის ისე იქცევა, გეგონება, შინაგანად იმ უსასრულოდ შორი, „უცვლელი შუაგულისკენ" მიემართება, ისე, რომ განვლილი ცხოვრება მარადისობაში რეტროსპექტულად მიმავალ დროით ხანგრძლივობად ეჩვენებაო. „ნეტავ რამდენი წელი ან საუკუნე გავიდა მას შემდეგ?" – იხსენებს მუსოლინი განვლილი ბავშვობის დღეებს; ერთხელ კი შენიშნავს: ადამიანებს მარადისობის თვალსაწიერიდან ვუყურებო. ამის თქმა მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც საკუთარ თავს sub specie aeterni[1]-ში მყოფად მიიჩნევს. „მაგრამ, რაც გაკეთდა, იმის დავიწყებას გონება ვერ შესძლებს, იმ დროს, როდესაც მატერიას დახსნილი ჩემი სული, ამ კნინი მიწიერი არსებობის შემდეგ, ღმერთის უკვდავი და ყოვლისმომცველი ცხოვრებით იცხოვრებს", – წერს მუსოლინი თავის წიგნში „Vita di Arnaldo". ეს აღსარება მის „დადს" თითქმის მონუმენტურად სხივმოსილს ხდის. და მაინც, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამაშიც ატლანტიდიდან მონაბერი სიო იგრძნობა.

[1] (ლათ.) მარადისობის შუქში.

ატლანტიდიდან მონაბერი სიო

მარინა პიკოლას სიახლოვეს, ტირენის ზღვის მარილით დამძიმებულ ტალღებზე თავს ისე გრძნობ, თითქოს ნაოჭებადაყრილ, მოშარიშურე აბრეშუმზე იწვე; მშვიდად მიცურავ ამეთვისტოსფერი წყლის ზედაპირზე: ტალღა ტალღაზე გადადის. დროდადრო კი ზღვა განსაკუთრებით მშვიდია, და ასე გგონია, უზარმაზარი ფოთოლი თახთახებსო გარინდულ ჰაერში. ზღვის მიმოქცევის დროს შორიდან, ძალიან შორიდან, ყურში ჩუმი შარიშური, თითქმის ჩურჩული ჩაგესმის. შეუმჩნევლად გიახლოვდება უსასრულობა; მერე კი ნელ-ნელა თავადაც საკუთარ ნათელმხილველ სიზმარში უჩინარდები. დროდადრო თავს წამოსწევ და სიხარულით გასცქერი კლდოვან კუნძულს. მარცხნივ სოლაროს ციცაბო კლდეებია, მარჯვნივ კი – კასტილიონეს ქარაფები. აქ მთელი ცხოველმყოფელობით შეიგრძნობ ფერებს: მრეშს, რუხსა თუ თვალისმომჭრელად თეთრს. ცოტა ხნის შემდეგ ნაპირზე ბრუნდები, – ყურში უკვე ჩაგესმის მზის ბუბუნი. ქვა სინათლისკენ მიილტვის. ნიჩბების დარტყმას მხიარულად ეხმიანებიან მოდგაფუნე ტალღები და კაშკაში გაუდით. აი, იქ, მზეს მომწვანო-ოქროსფერი ხვლიკი შეფიცხებია, ეს-ესაა რომ გამომძვრალა კლდის ნაპრალიდან. მისი ძალუმად მფეთქავი ყელი გაგრძნობინებს მზის სიმხურვალეს. მთელი მიდამო გაუბრუებია მზის დამათრობელ

სასმელს. მარცხენა ფეხის წვივზე მოსკიტის კბენას და საშინელ ქავილს ვგრძნობ. ფეხს ისე ვიფხან, რომ სისხლი მდის. მერე ნაკბენზე გახურებულ რიყის ქვას ვიდებ; ქვა ისრუტავს მწვავე ტკივილს; მზე ჩემ სისხლისმიმოქცევაში შემოიჭრება და მეც მისი ნადავლი ვხდები.

მშვენიერი მიხვეულ-მოხვეული გზებით სულ ზევით-ზევით ავდივარ.

აი, აქ, ჩრდილი წრედ შემოვლებია ხეს. სულ უფრო და უფრო აცხუნებს მზე. აქა-იქ უზარმაზარი, უტყვი კაქტუსები მოჩანს: ისინი იმ უსიცოცხლო ცხოველს მაგონებენ, რომლის სხეულშიც მაცოცხლებელი ძალა თვლემით მიილტვის სინათლისკენ. ერთ-ერთ მოსახვევში ვჩერდები და ზანტად მსუნთქავი ზღვის ზედაპირს გავცქერი, რომელიც სივრცეში ცისფრად გაწოლილა და შარიშური გაუდის. ქარაფის კიდეებთან ზღვის სილურჯე იმ ნახჭს მაგონებს, წყლის ფსკერიდან ბუდეში ჩასმული საფირონივით რომ ელავს. მერე სიჩუმე ნიჟარების შრიალად გადაიქცევა; იოდის სუნით გაჟღენთილ ჰაერში ნაპერწკლებს ტკაცატკუცი გაუდის; უეცრად გრძნობ, როგორ გეუფლება შიში: ხომ შეიძლება, აი, ახლა, ამ წუთში, თხისჩლიქება პანმა[1] გაიღვიძოს და ქარიშხალივით ჩაგიქროლოს წინ! ცოტა ხანში ვია ავგუსტაზე გადიხარ. ტანძლიერი ვაზით დაშალტული სვეტნარის დანახვაზე გახსენდება, რომ აქ, სადღაც, უსიერ ჩრდილში, მზის სხივებით მთვრალი ბახუსი უნდა თვლემდეს. ანაზდად თვალს ჰკიდებ მყუდრო მესერზე შემორაგულ

[1] პანი – ბერძნულ მითოლოგიაში ტყეებისა და ჭალების თხისჩლიქება ღვთაება.

ბუგენვილს.[1] მისი მზის სხივებით განათებულ, მოლურჯო-მოიისფრო ყვავილები ხალისიანი მზერით გატკბობენ. ღვთაებრივი გრძნობა გიპყრობს და სხეულის თითოეული ნაკვთით შეიგრძნობ მზის დაბადებას.

სანტა მარია ჩეტრელას სამლოცველოს ჩარდახზე ვზივარ; სამლოცველო უფსკრულის თავზე წამომართული კლდის კიდეზე დგას; თვალწინ გადამეშლება კასტილიონეს ბორცვი და ჰოენშტაუფენების[2] ციხე-კოშკის ნანგრევები. შემდეგ ვხედავ: უნგია მარინას, ტუარას და ტრაგარას; მათ უკან კი – ზღვაში ჩამჯდარი, ტალღების შრიალით გარემოცული ფარალიონის მარადმთვლემარე ქარაფებს; ნელ-ნელ ინავლება დღე, – გაჯერებული სინათლის წყაროს სისავსით. მზე უკვე სოლაროს ზურგს ეფარება, და მთა ზღვის ზედაპირს აღმოსავლეთით უზარმაზარ ჩრდილს ჰფენს, თანდათანობით რომ ფართოვდება და ფართოვდება. ტალღები მიმოაქცევენ ირიბი მზის სხივებს, წყლის მოჩრდილული სივრცის არე კი ისევ და ისევ იზრდება. ზედაპირზე ციმციმებს ნაზი ქობა, სინათლის სხივებს თამაშით რომ შემოვლებია გარს. ტალღები ხარბად ნთქავენ სხივებს და თავად იქცევიან სინათლედ. ნელ-ნელა, ფარფატით უჩინარდება საოცრად მშვენიერი, მოკიაფე ფერი, მზეს მიფიცხებული ხოჭოს მომწვანო-მოოქროსფრო ზურგს რომ მომაგონებს. ეს ფერი წყლის ზედაპირზე გაწოლილ ჩრდილს უფრო ღრმას და ნაზს ხდის. „ოქროს და სპილენძის მადანი“, – გამიელვებს უე-

[1] ბუგენვილი – ხვიარა მცენარე, რომელიც ბრაზილიიდან ევროპაში ჩამოიტანა მეზღვაურმა ბუგენვილმა.

[2] ჰოენშტაუფენები – გერმანელი მეფეებისა და იმპერატორების საგვარეულო დინასტია (1138-1254).

ცრად თავში. ეს ატლანტიდის ტაძრის სვეტის ფერია; და, აი, მეხსიერებაში ამომიტივტივდება პლატონის[1] საოცარი მონათხრობი იმის შესახებ, რომ ატლანტიდის მეფეები თურმე „ლიბიის შიდა ზღვის ქვეყნებიდან მოყოლებული, ეგვიპტეზე, ევროპაზე და ტირენიზეც“ ბატონობდნენ. ახლა, როდესაც აქ ვზივარ და ვფიქრობ, რომ ეს ადგილი ერთ დროს ხმელეთს უერთდებოდა და ჩაძირული ტირენის ნაწილი იყო, ასე მგონია, ატლანტიდიდან მონაბერ სიოს ჩავისუნთქავ-მეთქი. ჩემი მზერა კი კვლავ იმ მშვენიერ ფერს ელაციცება. კრეტაზე, კნოსოსის სასახლეში რამდენიმე ოქროს დანა და დასტანაგი იპოვეს. ოქრო რომელიღაც უცნობ ლითონთან არის შედუღებული, რაც მას უჩვეულო სიმტკიცეს სძენს, უპირველეს ყოვლისა კი, მზის სიკაშკაშეს ანიჭებს. ბრეტანის, ატლასიის და სამარიის დოლმენურ სამარხებში[2] აღმოჩენილი საგნების პატარ-პატარა ნამსხვრევებიც იმავე მზიური სიკაშკაშით გამოირჩევიან. თუ წარმოვიდგენთ, რომ კრეტისა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს კულტურა პლატონისა და ჰეროდოტეს მიერ[3] მოხსენიებული ატლანტიდისა და ხმელთაშუა ზღვის მებოძირზე იშვა, მაშინ მივალთ ჰიპოთეზამდე: ეს ლითონი იმ ოქროს და სპილენძის მადანია, რომლითაც ატლანტიდაში ტაძრის სვეტებს აპირკეთებდნენ.

[1] პლატონი (დაახლ. ძვ. წ. 428/427-348/347 წწ.) – ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი.

[2] დოლმენური სამარხები – ადრეული რკინის და ბრინჯაოს ხანის ხიმინჯებზე შედგმული და უზარმაზარი ქვის ფილებით გადახურული სამარხები.

[3] ჰეროდოტე (დაახლ. ძვ. წ. 485-424 წწ.) – ძვ. ბერძენი ისტორიკოსი.

მზესთან გაყრისას სინათლის სხივები ციალით დაფარფატებენ ჰაერში. დაისი სინათლის ზღვის დღეასასწაულს ზეიმობს და ხან ბაც ვარდისფრად და მუქ იისფრად, ხანაც მეწამულისფრად გაუდის ციმციმი. მერე ისევ და ისევ მომაჯადოებლად გამობრწყინდება ოქროს და სპილენძის ფერი, და მე თითქმის ვუჩინარდები სინათლის ამ მისტერიაში; უეცრად ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ვიღაც სხვა ვიყო. ვინ ვარ მე? საისელი მოწაფე ჭეშმარიტების ძიებაში ქვეყნიერებას შემოივლის, მაგრამ ვერ პოულობს მას და სასოწარკვეთილი ისიდას ტაძარში ბრუნდება; წმინდა ადგილს ფეხს დაადგამს და მამაცი აზრით შთაგონებული, ქალღმერთს საბურველს ჩამოგლეჯს; და აი, აცახცახებული ხედავს, რომ სარკიდან საკუთარი სახე მისჩერებია. ნუთუ ჩვენ ჩვენივე თავის უკანასკნელ გამოცანას წარმოვადგენთ? ანაზდად ყურში ჩამესმის ხმა: „არარასაგან მოვლინებულს, ხომ შეიძლებოდა საერთოდ არ გეხილა დღის სინათლე“; და ჩემთვის უმალ ნათელი ხდება ყველაფერი. მე რომ „ვგიებ“, განა ამაში არ იმალება საიდუმლო? განა შეიძლება შემთხვევითი იყოს, ამ სამყაროს რომ ვხედავ? ვხედავ ამ ფოთოლს, ზღვის სივრცეს და კლდის ციცაბოზე დაგდებულ ქვას, მზის ჩასვლას და ამ საოცარ, ქერა ლამაზმანს, სადღაც კუთხეში რომ მიმჯდარა და მომხიბლავად მიღიმის. დიახ, მე ღმერთის ხელით ჩემივე თავისთვის მიძღვნილი საჩუქარი ვარ. ამის გაფიქრება იმდენად სულისშემძვრელია, რომ მიჭირს ამ ბედნიერების შეგრძნება. ღმერთი ქმნადობის პროცესში საკუთარ თავს უძღვნის სამყაროს. მთელი ტანით ვცახცახებ. ატლანტის ოკეანის სიღრმეში იპოვეს უცნობი ლითონისგან ჩამოსხმული დაფა: „ატლანტიდის კანონთა სჯული“. მასზედ რვაქიმიანი ჯვარია

ამოტვიფრული და ვულკანური ლავითა და ძველისძველი ჟანგითაა დაფარული. რომელიღაც ცხოველის ბუნდოვანი კონტურები გვაფიქრებინებს, რომ ეს მახვილით განგმირული საზორველი ცხოველი უნდა იყოს. მეცნიერების მიერ ამოკითხული იდუმალი წარწერა კი გვამცნობს: „ღვთის ძე ადამიანებისთვის მოკვდა“. განა ეს ღმერთის თავგანწირულობაზე არ მიგვანიშნებს? დიახ, ღმერთი საკუთარ თავს სამყაროს უძღვნის. ადამიანში ზეპიროვნული პიროვნულ გამოხატულებას ჰპოვებს. იდუმალებით მოცულ ამ პროცესს კაცი ისე წარმოიდგენს, თითქოს ღმერთი გადიოდეს სამსხვერპლო გზას ადამიანისკენ. მაშ, ადამიანი როგორღა მიდის ღმერთთან? და, აი, აქ საკუთარ თავს მივაყურადებ.

კენტ რიცხვებს ლუწებთან შედარებით უპირატესობა რომ არ ჰქონოდა, ატლანტიდის ათი მეფე ყოველ ხუთ, ხანაც ექვს წელიწადში ერთხელ, პოსეიდონის ტაძარში იკრიბებოდა, რომლის სვეტებიც ოქროთი და სპილენძით იყო მოპირკეთებული. მათ საერთო საქმეებზე უნდა ემსჯელათ და თან გაერკვიათ, რომელიმე მათგანს რაიმე გადაცდომაში ხომ არ ედებოდა ბრალი, რათა იგი შემდეგ სამსჯავროს წინაშე წარმდგარიყო. სამსჯავროს მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ისინი ერთმანეთს წინასწარ აძლევდნენ საწინდარს. პოსეიდონის წმინდა ტაძრის გარშემო, მდელოზე, ლაღად ბალახობდნენ ხარები. მას შემდეგ, რაც განმარტოებული ათი მბრძანებელი ღმერთს შესთხოვდა, სასურველი მსხვერპლი დაგვაჭერინეო, იწყებოდა ნადირობა ყოველგვარი იარაღის გარეშე, მხოლოდ ჯოხებისა და ქამანდების მეშვეობით. მერე დაჭერილი ხარი ტაძრის სვეტზე აჰყავდათ და იქვე, ზევით, წარწერის თავზე, კლავდნენ.

მაგრამ ტაძრის სვეტს კანონთა სჯულის გარდა ამშვენებდა ფიციც, რომელშიც წყევლა-კრულვით მოიხსენიებოდა ის, ვინც ურჩობასა და დაუმორჩილებლობას გაბედავდა. შემდგომ ამისა, როდესაც მბრძანებლები, კანონის თანახმად, საზორველი ცხოველის ყველა ნაკვთს ღმერთს შესწირავდნენ, მის სისხლს წვეთ-წვეთად ასხამდნენ წინასწარ მომზადებულ ქვაბში, დანარჩენს კი – ცეცხლს მისცემდნენ ხოლმე. მერე სისხლს ოქროს ფიალებით ხაპავდნენ ქვაბიდან, ცეცხლში ასხამდნენ და ფიცს სდებდნენ, სვეტის თავზე კანონით გავასამართლებთ და დავსჯით ნებისმიერ ჩვენგანს, თუკი მან რამე დანაშაული ჩაიდინა. რაც შეეხება მომავალს, განზრახ არავინ დაარღვევს კანონს და მორჩილებას არ აღუთქვამს არც ერთ მბრძანებელს, ვინც ღმერთის სჯულის თანახმად არ განსჯისო. მერე კი, როცა ათივე მათგანი საკუთარ თავსა და შთამომავლობას ხოტბა-დიდებას შეასხამდა, ხარის სისხლს სვამდა და ფიალას ღვთის წმინდა ალაგს სწირავდა. ფიცის დადების შემდეგ კი, როცა ღამე ჩამოწვებოდა და საზორველი ცეცხლი ჩაქრებოდა, ყველანი ულამაზესი, მუქი ლურჯი სამოსით იმოსებოდნენ, და ასე ისხდნენ საზორველი მსხვერპლის სიახლოვეს, რომელსაც ოხშივარი ასდიოდა. მერე კი წმინდა ადგილის გარშემო კოცონს აქრობდნენ და მთელი ღამე მსაჯულებად და მსჯავრდებულებად გვევლინებოდნენ ყველას მიმართ, ვისაც კი რამე გადაცდომაში ამხელდნენ. გამთენიის ხანს გამოტანილ განაჩენს ოქროს დაფაზე ამოტვიფრავდნენ და დაფას, სამოსთან ერთად, ღმერთს სწირავდნენ. მათ სხვა კანონებიც ჰქონდათ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის კანონი იყო, რომელიც მათ ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლას უკრძალავდა და ერთმანეთის თა-

ნადგომას ავალებდა; გარდა ამისა, წინაპრების მსგავსად, ერთობლივი სჯა-ბაასი უნდა ჰქონოდათ ომსა და ყველა სხვა საკითხზე, და უზენაესი ძალაუფლება შემდგომში ატლანტიდის მოდგმისთვის უნდა გადაეცათ". ასეთ ლეგენდას მოუთხრობს ატლანტიდაზე საისის ნეით-ისიდას ტაძრის უმაღლესი ქურუმი სჯულმდებელ სოლონს,[1] პლატონის „კრიტოსში". მონათხრობის ენა იერატიკული ენის[2] შთაბეჭდილებას ახდენს და თაურდროების შორეთიდან მოღწეული ჩურჩულივით ჩაგესმის ყურში. წინადადებები ყოფით ენას გვაგონებს, სადაა და შეულამაზებელი; მაგრამ მათი მეანდრული ხვეულები ეთერულად მოფარფატე ქსოვილში იჭერენ საიდუმლოს. პაუზები უფრო ცალკეული წინადადების დასრულებას ემსახურება, ვიდრე მათ შორის ბმულობას; ამასთანავე, მონათხრობისადმი მოწიწება იგრძნობა და არ ხდება მისი გაშიშვლება, მაგრამ საიდუმლო თავს ვერ მალავს და გამჭვირვალე რჩება. და აი, ყურში თავად ქურუმის ხმა და მისი განუმეორებელი ჟღერადობა ჩაგესმის.

საოცრად იწყება საუბარი „ტიმეოსში": „ო, სოლონო, სოლონო! თქვენ, ელინელები, ჯერაც ყრმობის ასაკში იმყოფებით, და თქვენს შორის აშკარად არ არსებობს მხცოვანი კაცი", და შეკითხვაზე: რატომ გგონია ასეო, პასუხი ასეთი იყო: „იმიტომ, რომ შორეული წარსულისა და მისი გაცნობიერების ტრადიცია არ გაგაჩნიათ". ეს

[1] სოლონი (ძვ. წ. 640/635-559 წწ.) – ძვ. ბერძენი (ათენელი) პოლიტიკური მოღვაწე.

[2] იერატიკული ენა – ძველეგვიპტური წარწერების, პაპირუსებზე დაწერილი იეროგლიფების ენა.

არ ითქმის ეგვიპტელებზეო, ამბობს ქურუმი და იწყებს თქმულების მოყოლას („კრიტოსში").

ფიქრებში ვიძირები. ახლა უკვე წარმოვიდგენ, რა გზას გადის ადამიანი ღმერთისკენ; ეს იგივე გზაა, ოღონდ პირიქით: პიროვნულიდან ზეპიროვნულისკენ მიმავალი. განა ის წმინდა წარწერა: „ღვთის ძე ადამიანებისთვის მოკვდა", ატლანტიდის ტაძრის სვეტზე ამოტვიფრულ კანონთა სჯულის განმეორება არ არის? დიახ, ჯერ ღმერთი ეწირება მსხვერპლად ადამიანს, შემდეგ კი ადამიანს მოაქვს თავი ღმერთისთვის მსხვერპლად. სწავლულები შეგვაგონებენ, საზორველი ცხოველი სიმბოლურად თავად ღმერთიაო; და თუ მზორველი მსხვერპლის სისხლს დალევს, ღმერთთან წილნაყარი ხდებაო. როდესაც მსხვერპლშეწირვის დროს ფიქრობენ, რომ ღმერთი ადამიანებს ეწირება მსხვერპლად, ეს მართლაც ასეა. ახლა კი გავიხსენოთ „კანონთა სჯულის" დაფაზე ამოტვიფრული, მახვილით განგმირული საზორველი ცხოველი, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: „ღვთის ძე ადამიანებისთვის მოკვდა". მაგრამ ამის თქმა სწორი არ არის ადამიანის მიერ ღმერთისათვის მსხვერპლის შეწირვასთან მიმართებაში, რადგან, განა შეიძლება ღმერთმა ისევ და ისევ ღმერთს შესწიროს მსხვერპლი? დიახ, ეს ასე უნდა გავიგოთ: ადამიანი ღვთისგან ბოძებულს, მაგრამ უკვე საკუთარ თვითობად ქცეულს, უბრუნებს ღმერთს უკან, როგორც საჩუქარს. მსხვერპლი ყოველთვის თვითმსხვერპლად რჩება, მაშინაც კი, თუ ეს მსხვერპლი ხარია. ადამიანი საკუთარი თავის მსხვერპლშეწირვას ახდენს, ანუ, მსხვერპლად მოაქვს ის, რაც უყვარს, ეს კი ერთი და იგივეა.

სხვაგვარი მსხვერპლი არ არსებობს.

„მაგრამ ახლა, რაც კი რამ მათში ღვთიური იყო და ხშირად ერწყმოდა ადამიანურს, ნელ-ნელა გაქრა, და ადამიანური აზროვნების წესმა უპირატესობა მოიპოვა," – შეგვაგონებს ბოლოს იდუმალებით მოცული მთავარ-ქურუმი. დიახ, ატლანტიდელები ადამიანები, სახელდობრ კი, „ღვთიური ადამიანები", andres theioi, მაგრამ მაინც ხომ ადამიანები იყვნენ! ხორციელი დაწინდვის სახიერების აღწერით, პლატონს სურს დაფარულად მიგვანიშნოს იმაზე, რომ ადამიანი ორი შესაქმეს მებოძირზე დგას; საკუთრივ ადამიანურისა და ღვთაებრივისა; ამ კვეთის არსებობა ადამიანს ყოველ წუთს უნდა ახსოვდეს. ამრიგად, როდესაც ატლანტიდის მცხოვრებლებმა ადამიანურს მიანიჭეს უპირატესობა, მათ არსებაში ამ ზღვრულ კვეთს საფრთხე დაემუქრა; „მაშინ მათ დაკარგეს არსებულ მდგომარეობაში ყოფნის უნარი და გადაგვარდნენ". როგორც ჩანს, პლატონს ატლანტიდის სულიერი ფენომენი უფრო აინტერესებს, ვიდრე მითიური კუნძულის ნამდვილობის საკითხი.

სიჩუმეში ისე მივყუჩდი, თითქოს ეს-ესაა კურთხევა მივიღეო.

ასე მადლცხებული მივდივარ სანტა მარია კასტელადან. იქვე ახლოს მშვიდად გაწოლილა პირველქმნილი ჭალა. ასეთ ჭალებში აკურთხებდნენ ხელდასხმულები ღვთითბოძებულ მგეობას. ჩემს მზერაში ჯერაც ირეკლება ოქრო-სპილენძის სხივით შეფერილი ჯადოსნური სილურჯე. და აი, ფიქრებით მუქ-ლურჯ სამოსში გამოწყობილ მამაკაცებს ვწვდები. ნაკვერჩხალი ჯერაც მოყვითალო-მოთეთრო ალით იწვის. მსხვერპლმა უკვე მიიღო ღმერთის კურთხევა. ლოცვით შეკრული ხელდასხმულები შედედებულ წმინდა სისხლს სვამენ. მეც

ვლოცულობ: უხმოდ, უწადილოდ. განა თავად ეს ლოცვა არ წარმოადგენს ღმერთსა და ადამიანს შორის გადებულ წმინდა გზას? ვგრძნობ, რომ მიყვარს, მაგრამ არ ვიცი, ვინ. კუნძული სადღაც ზევით, სივრცეში აჭრილა და მეც ფრთაშესხმული დავფარფატებ მასთან ერთად. ამ დროს თვალს ვკიდებ მომწვანო-ოქროსფერ ფითრს, მუხის კენწეროს გვირგვინივით რომ შემოსდგომია. მზის სხივების ძალით მცენარეში წარმოქმნილი ქლოროფილი ფითრის მბზინვარებას ლითონისებურ სიმკვრივეს ანიჭებს. დანას ვიღებ და მცენარეს ტოტს ვაჭრი. დრუიდები[1] ლოცვას აღუვლენდნენ მზეოსან ფითრს, ვითარცა მენადების სიმბოლოს, იმ მენადებისა, მზის ქურუმი რომ დაფლითეს. როგორც ჩანს, ქურუმს საკმარისად არ აღმოაჩნდა მზის ძალები. ფითრიც ასე შთანთქავს მუხას, რომელსაც საკმაოდ არ გააჩნია მზიური ძალები. ამ მცენარეს „პარაზიტი ბუჩქი" შეარქვეს. გაუგებარი კია, რატომ, მაგრამ ამაში ოდნავ მაინც გამოსჭვივის წინასწარ-მოსწავებული ცოდნა.

უკან ვბრუნდები და თან მიმაქვს ფითრის ტოტი, როგორც სოლაროზე ნანახი ატლანტიდური სიზმრის ფოთლოვანი ორნატი.

[1] დრუიდები – კელტების ქურუმები.

ხელ-მწიფე

ტირენის ზღვის სანაპიროზე, მზის გამჭვირვალე ნისლში უჩვეულოდ ციმციმებს მაცოცხლებელი ეთერი: თითქოს ჩუმი სიო მოაქროლებსო ჩაძირული კუნძულის უკანასკნელ სუნთქვას. აქ ადამიანს ფართოდ გაღებულ თვალებში სხივი ჩაუდგება, თუმცა დაღლილ სახეზე მიმქრალი შარავანდედი შემოსდგომია და აქ ყველაფერი რაღაც შორეულსა და გარდასულს ახსენებს. ამ უჩვეულო ორნატს დროდადრო ნახევარკუნძულზე იხილავს ხოლმე კაცი. იგი ღრმად ჩამალულა ქვეყნის ცალკეულ დიდ არსებათა ფენებში. როდესაც მიქელანჯელოზე ფიქრობ, ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს იგი ათასწლეულების წინათ გაუჩინარებული, უცხო სივრციდან მოგვევლინაო: ეს ატლანტიდის სივრცე უნდა იყოს. იქნებ მასაც ტვირთად აწევს მოვლენათა რიტმი, არც ლუწ რიცხვებს ანიჭებს უპირატესობას და არც კენტს. ვიდრე სამსჯავროს მოაწყობენ, მბრძანებლები საზორველად ემზადებიან: ჯერ თავად უნდა ეზიარონ ღვთიურ ძალას, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ შესძლებენ განსჯას?! ჰოდა, მბრძანებლები „სრულიად მარტონი“ მიდიან საზორველ ცხოველზე სანადიროდ: იმ განაჩენზე, რომელსაც ახლა გამოიტანენ, მათ გარდა სხვა არავინ არაა პასუხისმგებელი; ხარები წმინდა ალაგას „თავისუფლად“ ბალახობენ: ეს კი მეყსეულად იმაზე მიგვანიშნებს, რომ მსხვერპლ-

შეწირვა შესაძლებელია აღსრულდეს მხოლოდ როგორც თავისუფალი აქტი; მბრძანებლები ცხოველებს იარაღით კი არ ხოცავენ, არამედ კეტებითა და ქამანდებით ცდილობენ მათ დაჭერას: მსხვერპლშეწირვა კრძალავს ყოველგვარი უხეში ძალის გამოყენებას. შემდეგ დაჭერილი ხარი აჰყავთ და კლავენ იმ ტაძრის თავზე, იმ „წარწერის ზემოთ“, სადაც დაფაზე რამდენიმე კანონია ამოტვიფრული; ცოტა ქვემოთ შევიტყობთ, რომ ეს არის „მამის“ ანუ ღმერთის სჯული: ატლანტიდელები ღვთიური წარმომავლობისა არიან; ისინი ცხოველის ყველა ნაკვთს ღმერთს სწირავენ, თავისთვის კი მხოლოდ სისხლს იტოვებენ, მაგრამ თითოეული მათგანი ერთ წვეთს მიიღებს, დანარჩენ სისხლს კი ცეცხლს ასხამენ. აქ საქმე ადამიანის ღმერთისადმი მსხვერპლშეწირვას უფრო ეხება, ვიდრე პირიქით, ადამიანისადმი ღმერთისას; მბრძანებლები ფიცს სდებენ და თან სისხლს მიართმევენ ცეცხლს. სისხლი და ცეცხლი ერთად, ღმერთების სტიქიონს წარმოქმნის. ისინი ფიცს სდებენ არა მხოლოდ საკუთარი, არამედ შთამომავლობის სახელითაც; მერე სისხლს შესვამენ და ფიალებს წმინდა ალაგს სწირავენ. სამსჯავრო კი მხოლოდ მაშინ შედგება, როდესაც სიბნელე ჩამოწვება და საზორველი ცეცხლი მთლიანად ჩაიფერფლება. ამასობაში მბრძანებლები მუქ ლურჯ სამოსში გამოეწყობიან; განაჩენს კი ოქროს დაფაზე მხოლოდ დღისით ამოტვიფრავენ და დაფას სამოსელთან ერთად ღმერთს სწირავენ; შემდეგ კიდევ ერთხელ, თუმცა არცთუ უკანასკნელად, დაადგენენ, რომ უზენაესი ძალაუფლება ატლასის ანუ ღმერთის პირმშოს მოდგმას ეკუთვნის. ყველა ამ წვრილმანს წრედ ის ხაზი კრავს, თაურსაწყისში რომ იღებს დასაბამს. და, რაც მთავარია: თითოეული წვრილმანი ისე შეერწყმის მთლიანს, თითქოს

იგი შესაქმის იმ ორივე ხაზის ურთიერთისკენ ლტოლვის წარმოჩენას ემსახურებაო. და თვალნათლივ ხედავ, სულიერების სფეროში როგორ დგება ადამიანის ღმერთთან შეხვედრის წუთი. დიახ, ეს წუთი ეთერულ სივრცეში სწორედ ღმერთსა და ადამიანს შორის დაფარფატებს.

ასე გამოვლინდება პლატონის მონათხრობში ატლანტიდელთა არსი, და, სწორედ ამ ატლანტიდური ნიშნით გამოირჩევა მუსოლინი.

აქ ერთ პატარა შემთხვევას გავიხსენებთ:

„როდესაც ჯარისკაცი მუსოლინი 1915 წელს რაზმთან ერთად ტოლმეცოში შესულა, ბაზრის მოედანზე მას დახვედრია ქალი, რომელსაც მისთვის პური, ხილი და გამაგრილებელი სასმელი მიურთმევია.

– ახლა საით მიდიხარ, ბენიტო? – ჰკითხა ქალმა.

– სად წავალ? როგორც ყველა, მეც ომში მივდივარ. ხომ კმაყოფილი ხარ, შენი, ამ ჩვენი მხარის დასაცავად რომ ვიბრძვი?

– ჰო. მე კი ოთახი მოგიმზადე. ხომ გახსოვს, ის შენი ძველი ოთახი. როგორც კი შევიტყვე, რომ ჩამოხვიდოდი, მაშინვე ვიზრუნე ამაზე. წამოდი, ამდენი სიარულის შემდეგ ამაღამ მაინც დაისვენე!

მუსოლინი ერთხანს შეყოყმანებულა.

– არა! მე ისეთივე ჯარისკაცი ვარ, როგორც ყველა; ამიტომ გულზე დაბნეული ეგ სამფერი ყვავილი სახსოვრად გამატანე, და კარგად იყავი!

მერე მუსოლინის ფარაჯა ეკლესიის კიბეზე გაუშლია, თავი წინაპართა ნატერფალით შელახულ ქვებზე ჩამოუდია და ისე გაუთევია ღამე“. თითქოსდა ერთი პატარა შემთხვევაა, მაგრამ სწორედ ამ პატარა შემთხვევაში ვლინდება მთელი მუსოლინი. ასე გამოასხივებს ხოლმე

ხანდახან ერთი პატარა დეტალი ხელოვნების ნაწარმოების არსს. „მუსოლინი ერთხანს შეყოყმანებულაო“, – ეს არის იმ სიფრიფანა წყალგამყოფის შეგრძნების უნარი, რომლის გადაბიჯების უფლებაც ადამიანს არასდროს აქვს. მუსოლინიმ ამ წყალგამყოფს არ გადააბიჯა, და ეს მისი მხრიდან მცირედი მსხვერპლშეწირვის აქტი იყო. მაგრამ ის დიდშიც ასეთია; და დაძაბულ წუთებში ყოველთვის ინარჩუნებს ზომიერებას. „ბუკნაჭოტი“ იცავს და უფრთხილდება მის ატლანტიდურ ჯიშს. მან იცის, რომ ძალაუფლება ძალაა, მაგრამ ისიც იცის, სად გადის ამ ძალის ზღვარი და აღიარებს: „ძალას შეუძლია მხოლოდ ქირურგის როლი შეასრულოს; მას არასოდეს აქვს ბრძოლაში გამოწვევის უფლება; იგი თავს კი არ უნდა ესხმოდეს, არამედ უნდა იგერიებდეს. ძალა ეპიზოდად უნდა დარჩეს და არ შეიძლება სისტემად გადაიქცეს“. მუსოლინისთვის ამის ცოდნა მშრალი „თეორია“ არ არის: იგი მისი ქმედებების საფუძველს წარმოადგენს.

„ჩვენ განწმენდილი ვართ და ამით ვართ ძლიერი“, – აცხადებს იგი. მუსოლინის ეს სიტყვები პირდაპირ ეხება საქმის არსს. მზორველს მსხვერპლი განწმენდს ყოველგვარი უკეთურებისგან, და, ამ დროს განწმენდა მის სიძლიერედ იქცევა. მსხვერპლშეწირვის გზით მოპოვებული სიწმინდე ასაზრდოვებს მზეოსან მეფეთა იმ ნიშატს, რომელსაც „დადს“ უწოდებენ. „დადის“ მფლობელი ნელ-ნელა იძენს ჭეშმარიტი მბრძანებლის შორსმოქმედ ძალას. ამ თვალსაზრისით, მუსოლინის ცხოვრებაში უაღრესად სიმბოლურად იკვეთება ერთი წუთი. მისი თაოსნობით ყველაფერი მზადაა რომის დასაპყრობად. მისი თანამებრძოლები არიან ყველგან: დე ვეკი – პიემონტში, გრანდი – ბოლონიაში, იტალო ბალბო – ფერარაში, ჯურიატი – ვენეციაში, რიჩი – კარარაში, ბოტაი – რომში, ფარინაჩი

– კრემონაში, პადოვანი – ნეაპოლში, მარკიზი პერონე კომპანი – ტოსკანაში, და კარადონა – თავისი მხედრების რაზმით – აპულიაში. ახლა ისტორიული ლაშქრობა რომზე მთელ ძალას იკრებს. 1922 წლის 26 ოქტომბერს მარადიულ ქალაქს უკვე უახლოვდება ძლევამოსილი კვადრუმვირატი: დე ბონო, დე ვეკი, იტალო ბალბო, ბიანჩი. მუსოლინი კი მილანის „სკოლაში“ ზის; იგი ჩინური „ვეი-ვუ-ვეი“-ს გავლენით ამაღლებულ გუნება-განწყობას შეუპყრია და ვაგნერის ბობოქარ რიტმებს უსმენს. მუსიკის ტალღებქვეშ მშვიდად, მაგრამ ენერგიულად ფართოვდება მისი არსის სახიერება და უძრავ მდგომარეობაში მყოფი, შორი მანძილიდან ლაშქრობის მამოძრავებელ ინსპირატორად გადაიქცევა. ამრიგად, მუსოლინი, უხილავად ისე ახლოსაა თავის თანამებრძოლებთან, თითქოს სხეულმოვლენილ ჰგიებდეს მათ გვერდით. ეს ის დიადი წამია, მუსოლინის ფენომენს მთლიანად ობელისკის შესაგვანს რომ ხდის.

ასე გამოუხმობს ხოლმე იგი საკრალურ ძალას ატლანტურ-მედიტერანულ გზაზე. ჭეშმარიტი მბრძანებლის საკრალური არსი არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ცალკეული ადამიანის ინდივიდუალური ჭვრეტის შედეგად შექმნილ „ცნებას“. აქ საქმე ხალხის პირველმდგენის ზეპიროვნულ ცნობიერებას ეხება. ამაზე დაფარულადაა მინიშნებული ერთ-ერთ უძველეს ენაში – ქართულში. ქართველები სიტყვას „ბატონი“ მხოლოდ ადამიანთან მიმართებაში ხმარობენ. ღმერთს ისინი არასოდეს მოიხსენიებენ ამ სიტყვით (Herr), რადგან იგი ადამიანზე ზეაღმატებულია; მაგრამ, თუ ღმერთს გულისხმობენ, მაშინ ამბობენ: „უფალიო“. და, გასაოცარია: სიტყვა „ძალაუფლება“ ქართულში ნაწარმოებია არა პირველი, არამედ მეორე სიტყვიდან.

ამრიგად, ქართველების აზრით, ძალაუფლება საკრალური წარმომავლობისა უნდა იყოს. და კიდევ ერთი საოცრება: მბრძანებელს (Herrscher) ქართულად სიტყვასიტყვით „ხელ-მწიფე“ (Handreife) ჰქვია; მბრძანებელი მდიდარი უნდა იყოს, რათა გაცემა შეეძლოს, და, ძლიერი, – რათა დაცვა შეეძლოს; მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ნიჭიერებით უნდა გამოირჩეოდეს, რათა კურთხევის უნარს ფლობდეს; თუ კაცობრიობის სულიერ კულტურაში, განსაკუთრებით კი კურთხევის გაცემასთან დაკავშირებით, „ხელის“ სიმბოლურ მნიშვნელობას გავიაზრებთ, გაოცებულები აღმოვაჩენთ, რომ „ხელ-მწიფე“, მბრძანებლის მნიშვნელობით ერთი სიტყვით გამოხატავს „მზის მეფის“ მთელ კონცეფციას. რენე გენონი ებრაულ-არაბულ სიტყვას „Barakhla“ თარგმნის „influence spirituelle“-დ[1], რომელიც ითარგმნებოდა როგორც „ხელდასხმა“. ქართულში ეს სიტყვა ხშირად გვხვდება და აქაც სწორედ ხელთან მიმართებაში: „ბარაქიანი ხელი“, რაც „Barakha“-თი სავსე ხელს ნიშნავს და სიტყვა „ხელ-მწიფის“ იდეური შინაარსი აქ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ჩანს.

როდესაც მუსოლინის მბრძანებლად წარმოვიდგენთ, გვახსენდება ოქროს ხანის სახელწოდება მეფისა: ხელ-მწიფე, და მისი მოვლინება მიწიურ სივრცეში: რვა დღეა, რაც მზე ლომის ნიშანში შევიდაო. დიახ, მზეოსან და ლომივით ძლიერ კაცს „მწიფე ხელი“ აქვს. ეს ის ხელია, რომს რომ განაახლებს და ააღორძინებს, ვითარ სამყაროს ხატს. „რომი ჩვენი მითოსია“, – ასე განმარტავს მუსოლინი მის მიერ შექმნილი მოძრაობის ისტორიულ ამოცანას.

[1] (ფრანგ.) სულიერი გავლენა.

საშუალ
არწივისა და მგლისა

ვია დელ'იმპერო პალაცო ვენეციასთან იწყება, მუსოლინიმ საკუთარ რეზიდენციად რომ გამოაცხადა. ქუჩის თავში აღმართულ მაღალ სვეტზე წარწერა გვამცნობს, რომ ეს გზა გაიხსნა 1932 წელს, მეფე ვიქტორ ემანუელის დროს, როდესაც სახელმწიფოს მეთაური დუჩე იყო. ქუჩა თავისი სიგრძე-სიგანით ბუნებისა და ადამიანური გენიის საოცარ ქმნილებას წარმოადგენს. აქ ციური სფერო ლივლივით ისე ერწყმის სივრცეს, როგორც არსად ამქვეყნად. ქუჩა დიდებულად და პლასტიურად გამოხატავს რომის სიდიადეს, მაგრამ ისე, რომ მის არქაიზებას არ ახდენს: წარსული აქ კვლავაც განაგრძობს სიცოცხლეს. თუ ამ ქუჩაზე იმ დროს ჩაივლი, როდესაც მზე უდრტვინველად დგას შუბისტარზე, მიხვდები, რატომ იქცა ეს ადგილი ისტორიის გულისცემად, და გაგახსენდება ლეგენდა ქალაქზე.

წმინდა ცეცხლს ვინმე ქალწული იცავს. მისი უბიწოება შეესიტყვება ამ ცეცხლის სიწმინდეს. მაგრამ ქალწულს ეშინია, რომ, შესაძლოა, ცეცხლი ჩაქრეს. მალე იგი ომის ღმერთზე ქორწინდება: კერიის მყუდროება ირღვევა, მაგრამ, სამაგიეროდ, ცეცხლი უხვად მიიღებს მასალას. ქალი ორ ვაჟს შობს, რომულსა და რემს. ეს იმ ორმაგობას მახსენებს, ყოველი თაურის დასაბამი რომ ხდება. ბიჭები ტყუპები არიან, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ორს შორის ჰარმონიულად შეიძლება დაძაბულობის განმუხტვა. ძმების არსებაში წმინდა ცეცხლი ღვივის, მაგრამ, რადგან ბიჭებს ძუ მგელი გამოკვებავს, ეს ცეცხლი მათში სულ უფრო და უფრო ღვივდება. ძმები აარსებენ ქალაქს, და აი, ერთ დღეს, რომული ქალაქის განაპირას თორმეტ ძერას დაინახავს; თავად მან, თუ მის მაგიერ კიდევ ვიღაცამ, იცის, რომ ცეცხლი მასსა და მის ძმაში უნდა იწვოდეს ვითარ მზეში, და, რომ ძერები, არწივები თუ შევარდნები მზის მოდგმისანი არიან. ამის ცოდნა მას უფლებას აძლევს, ქალაქს თავისი სახელი უწოდოს: რომი. ასე ხდება არწივი მარადიული ქალაქის სახელრქმეული ნიშანი.

არც ერთ არსებას არა აქვს ისეთი საგანგებო კავშირი მზესთან, როგორც არწივს. მის მზერაში მზეოსანი თესლი კიაფობს და მისი ფრთების სწორუპოვარ ირაოში კიდევ უფრო მეტად შეიგრძნობა მზის ძალა; თვალწარმტაცად ყელმოღერებული, თითქოს მიმოიხილავს მიდამოს და საგნებს მიღმა ისე გაჰყურებს სივრცეს, თითქოს არავის ხდისო ყურადღების ღირსად. არწივის მზერა მხოლოდ მზეზეა მიჯაჭვული და მხოლოდ მისი ხვედრია, ღია თვალებით უცქიროს მზეს. ძველი ეგვიპტელისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება იყო, თუ ამომავალ მზესთან ერთად მოულოდნელად ცაში აჭრილ შევარდენსაც შეავლებდა თვალს; ასეთ წუთებში ეგონა, თავად სინათლისმჩენის ფრთაშესხმული სხივების კონას ვხედავო. ძერა-არწივი-შევარდენის თვალები ჭეშმარიტად ასხივებენ მზიურ ბრწყინვალებას; ეს ის საზეიმო ბრწყინვალებაა, მზეოსან მეფეთა სახეზე აურას რომ ქმნიდა. ხეფრენის[1] მწვანე დიორიტისგან ნაქანდაკარ, თავსუკან

[1] ხეფრენი – ეგვიპტის ფარაონი (ძვ. წ. XXVII ს. დასასრ. – XXVI ს-ის დასაწყ.).

შემომჯდარ შევარდენს ფრთები მბრძანებლის გარშემო გაუშლია: იგი ფარაონს თან იცავს, და თან თითქოს იდუმალ ძალასაც ანიჭებს. არწივი ინდოელთა ინდრას[1] უკვდავების წყალს მიართმევს, ხოლო გერმანთა ტომების არწივად გარდასახული ღმერთი ოდინი,[2] თავის მეუღლეს – გუნიოლდს – მარადიული ახალგაზრდობის სასმელს – ოდრერირს – მოსტაცებს. ერთ-ერთი ქართული ზღაპრის გმირს, „ასფურცელას“, არწივი ფრთებზე შემოისვამს და ციურ სფეროში, მზისკენ გააქანებს. პრომეთეს შემთხვევაში სასჯელს სწორედ ეს მზეოსანი ფრინველი აღასრულებს. ტიტანს ციური ცეცხლი შინაგან არ მოუპოვებია, როგორც ეს აღწერილია „რიგვედაში“,[3] სადაც ცეცხლის მბრძანებელმა ეს გზა მსხვერპლშეწირვით პირველმა გაიარა; პრომეთემ ცეცხლი „მოიტაცა“. ახლა მას არწივი ღვიძლს უკორტნის (რატომ მაინცდამაინც ღვიძლს? პრომეთე მოქმედებს ვითარ მენ-პიროვნება; ქართველების აზრით, მათ ენაში ჩანს, რომ ღვიძლი მართავს მიმოქცევას „სიფხიზლისას“. თუ ღვიძლი დაუშავდა, ადამიანი განსაკუთრებით „ფხიზელი“ ხდება. ახლა მზე ტიტანს მასში სწორედ მენ-პიროვნების გაძლიერების გამო სჯის. იგი ვერასოდეს ვეღარ შესძლებს, ძილს მისცეს თავი. მაგრამ განა აჰურა-მაზდას[4] და მერე მითრასაც, „უძილოებად“ არ მოიხსენიებენ? დიახ, ასეა, მაგრამ საკუთარ

[1] ინდრა – ძველინდური მთავარი ღვთაება და ომის ღმერთი.

[2] ოდინი, იგივე ვოდანი – ომის ღმერთი გერმანთა ტომებში.

[3] რიგვედა – ძველინდური ჰიმნებისა და ლოცვების კრებული.

[4] აჰურა-მაზდა (ორმუზდი) – ძვ. სპარსულ რელიგიაში „ნათელი საწყისის“ ღვთაება, რომელიც ებრძოდა „ბნელი საწყისის“ ღვთაებას – არიმანს. მის სახელს უკავშირდება მაზდეიზმი.

თავში მენ-პიროვნებას მათ სრულქმნილ სხივოსნობაში სძლიეს).

ამრიგად, მზეოსნობის მეფური ხატი-არწივი რომის შემქმნელ ძალად გვევლინება. გადმოცემის თანახმად, კეისრების არსებაში მზიურ ფრინველს ჩაებუდებინა: სხეულსგამოთავისუფლებული მათი სულები, არწივის სახით მოგვევლინებიან. – საზორველი ცეცხლიდან არწივის აფრენა იმაზე მიგვანიშნებდა, რომ ეს სულები სინათლის უკვდავ წიაღს, მზეს უბრუნდებოდნენ (ევოლა).

არწივთან ერთად რომის სიმბოლოს მგელიც წარმოადგენს. ტყუპი ძმები, – რომული და რემი, – ძუ მგელმა გამოკვება. მგლის ბრმა, შიშველი და თავაწყვეტილი ძალა არსებითად ცეცხლის ძალის შესაგვანია. ცეცხლის თესლსაც შეუძლია ველური და გამანადგურებელი იყოს. მგეობა, – ეს ღვთიური მადლი, – საკუთარი საფრთხის მიჯნაზე დგას, საფრთხისა, რომელიც ასევე ღვთიური ბუნებისაა. ჰერაკლიტე აცხადებს: „ყველა დაპირისპირება ღმერთში ჰგიებს“. განა ეს საფრთხე მზისთვისაც ნიშნეული არ არის? ფაეტონს, მზისშვილს, თავაწყვეტილი რაშები ისეთ სიმაღლეზე მოისვრიან, რომ მას აღარ ძალუძს მზის ეტლის მართვა და მისი შეჩერება. განა ეს თვალისმომჭრელი მითოსური ხატი სრულიად არ ხდის ფარდას ამ საიდუმლოს? დიახ, ასეა, მაგრამ მზესაც ემუქრება საფრთხე, რომ საკუთარ თავს არ მოწყდეს და არ ჩაქრეს. მითიურად მზისთვის ამ საფრთხის სიმბოლო მგელია; ძველად, მზის დაბნელების დროს, შეძრწუნებული ადამიანები თურმე სახლებიდან გამორბოდნენ და გაჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს მზესო!“. მათი აზრით, მზეს შთანთქმით მგელი ემუქრებოდა. მსგავსი ადათი სამხრეთ გერმანიაში დღესაც არსებობს.

ასე და ამრიგად, მარადიული რომი ორი ნიშნის ქვეშ დგას: ეს არის ნიშანი საშუალ არწივისა და მგლისა. კაპიტოლიუმის ბორცვზე[1] არწივი და მგელი გვერდიგვერდ ჰყავდათ გალიებში გამომწყვდეული. ისინი იმ ძერისა თუ ძუ მგლის შთამომავლებს განასახიერებდნენ, რომლებიც, მითის თანახმად, მონაწილე იყვნენ მარადიული ქალაქის დაარსებისა.

როდესაც მზებუნიობის დროს ვია დელ'იმპეროზე მიაბიჯებ, გრძნობ, ნელ-ნელა როგორ გიპყრობს ზეციური აღმაფრენა. უეცრად ჰკიდებ თვალს არწივის ფართოდ გაშლილი ფრთების ჩრდილს და მოგონებით გამოუხმობ პინდარეს[2] საოცარ ხილვას: არწივი უსმენს ქნარს, აპოლონს რომ უპყრია ხელთ:

> აქ, ზევსის კვერთხზე სძინავს არწივს,
> ფრინველთა მეფეს, დაბლა ფრთებდახრილს,
> დაზნექილ თავზე გადააფარებს შავ, მრუმე
> ღრუბელს,
> რათა რული მოეკიდოს ქუთუთოებზე.
> მთვლემარეს ზურგი ტალღისებრ უთრთის,
> და შეუპყრია აღფრთოვანებას საამო ხმებით.

ვია დელ'იმპეროზე კაცი აღტაცებაში მოჰყავს არწივის ხილვას; მაგრამ დროდადრო გუმანი ღალატობს და ფიქრობს: ვინ იცის, იქნება აქ, სამალავში, ჩასაფრებული მგელი, ხახადაფჩენილი ელოდება თავის ნადავლს?!

[1] კაპიტოლიუმის ბორცვი – რომში განლაგებულია სასახლეები და მუზეუმები; ადრე აქ იყო იუპიტერის, მინევრას და იუნონას ტაძრები.

[2] პინდარე – ბერძენი პოეტი; ხოტბას ასხამდა ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულებს.

არწივი მონუსხული მისჩერებია მზის შუაგულს, თან დიდებული სევდა ჩასწოლია თვალებში: ნუთუ იგი მგლის მითიურ ჩრდილს ხედავს?

არწივი და მგელი – დაჭიმული მშვილდის ეს ორი ლარი, – რომში თავად ბედისწერამ ამოტვიფრა. ისინი რომის ისტორიაში ყველაფერს მუდმივად მომნუსხველს ხდიან. ატლანტიდური დაძაბულობა ადამიანსა და იმას შორის, რაც ადამიანში ადამიანურს აღემატება, მითიურ გამოხატულებას სურათ-ხატებში ჰპოვებს ხოლმე. მუსოლინი, – ეს თავად დაჭიმული მშვილდი, – ატლანტიდის მბრძანებელთა მსგავსად, ოსტატურად წარმართავს დაპირისპირებულთა მდინარებას. იგი თავისი „დადით“ მთლიანად მშვილდის შუაგულში დგება, ძალიან ბევრსა და ძალიან ცოტას შორის, ისე რომ ორივე ლარი თანაბრად იჭიმება, ნატყორცნი ისარი კი კვლავაც ახერხებს დაპირისპირებულთა გაერთიანებას, როდესაც შეხვედრისას ისინი თანახმიერებაში მოჰყავს. ასე ალაგმა მუსოლინიმ მარადიული შუღლი მბრძანებლის ძალაუფლებას – ავენტინსა, და, ქურუმის კურთხევას – პალატინს შორის. ის ხედავდა, რომ ფაშიზმის სულიერი საზრისი უნივერსალურია. 1930 წლის ოქტომბერში მუსოლინიმ განაცხადა: „დღეისათვის ვამტკიცებ, რომ ფაშიზმი, როგორც იდეა თუ როგორც დოქტრინა ან მიღწევა, უნივერსალურია; იგი იტალიურია თავისი კონკრეტული ორგანიზაციით, მაგრამ უნივერსალურია სულისკვეთებით“. ეს ეხებოდა სახელმწიფო მოწყობის საკითხს. იმავე უნივერსალობას ხედავდა იგი რელიგიური გავლენის სფეროშიც. „ჩვენ კათოლიციზმში რომაულ ტრადიციას ვხედავთ, ხოლო ის ავტორიტეტი, რომლის რეზიდენციაც ვატიკანშია, მსოფლიოში ერთადერთ საყოველთაო იდეად გვესახება“, –

ამბობდა მუსოლინი. სწორედ ამ ღრმა თვალსაზრისის წყალობით დაიდო 1929 წლის 11 თებერვალს ლატერანის[1] ხელშეკრულება სახელმწიფოსა და რომის პაპს შორის და უდიდესი მნიშვნელობის სამშვიდობო დოკუმენტი იყო. სინდიკალისტმა[2] მუსოლინიმ ბრძოლაში ადრევე შეიტყო, რომ კაპიტალისტურ ეკონომიკას აშკარა გარღვევები ჰქონდა, მაგრამ მისთვის სრულიად უცხო დარჩა კოლექტივში სოციალური თანასწორობის იდეა. მან შექმნა კორპორაციული სისტემა, რომელშიც ერთმანეთს აწონასწორებს ცალკეულ ადამიანთა შემოქმედებითი ინიციატივა და სახელმწიფო დაგეგმარება. ესეც ერთი სწორუპოვარი საქმე! თავისი პიროვნების წყალობით მუსოლინიმ გარდასული დროებიდან გამოუხმო საკრალური მბრძანებლობის ფორმას, ხელახლა შთაბერა მას სული და საქმის შემდგომი წარმატების მიზნით, იგი სავოიების სამეფო კარზე შეათანხმა. ამის საუკეთესო დასტური თავად მისი აღიარებაა: „ჩემს სიტყვებს საფუძვლად ის ქმედებები უდევს, რომლებზედაც გავლენას ვერ მოახდენს ვერავითარი თავყრილობები, პრევენციული რჩევები, ცალკეული ადამიანების, დაჯგუფებებისა თუ წრეების მცდელობა, ყურში ჩამჩურჩულონ რამე. ეს სიტყვები იმ გადაწყვეტილების შედეგად იბადება, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავში რომ მოვამწიფებ. მათ შესახებ

[1] ლატერანი – პაპის სასახლე რომში. ადრე რომაელი ლატერანი ოჯახის კუთვნილება იყო, მე-19 საუკუნიდან მუზეუმია.

[2] სინდიკალისტი – სინდიკალიზმის მომხრე. პოლიტიკური მიმართულება, რომელიც უარყოფითად ეკიდება ყოველგვარ სახელმწიფო დიქტატურას, გამოდის პროფკავშირების, გაფიცვების, ბოიკოტის და საბოტაჟის წინააღმდეგ.

წინასწარ ვერავინ ვერაფერს შეიტყობს და დროულად მხოლოდ ერთი ადამიანი იქნება ინფორმირებული: ეს ადამიანი სახელმწიფოს მეთაური, მისი უდიდებულესობა მეფეა“.

აი, ასე გამოვლინდება მისი არსების ატლანტიდური ბუნება. ყველაფერი მოუდრეკელი, – მასში მოქნილი ხდება, რადგან ვერაფერი შეუქმნიდა „დადისეულ“ სიმტკიცეს ისეთ საფრთხეს, როგორც უძრაობა. მისი ღრმა რწმენით, სახელმწიფოც უნდა ჩავარდეს უძრაობაში. „მან თავისი იდეა ხალხის მეშვეობით უნდა განახორციელოს, და იმავდროულად, თავადაც მუდმივად უნდა განიცდიდეს ცვლილებას“. – და მუსოლინი ნებისმიერ ისტორიულ მომენტში ამ მცნების ერთგული რჩება. 1922 წლის ოქტომბერში მან განაცხადა: „ჩვენი ვალია, დაუღალავად ავმაღლდეთ წარმავალ დღევანდელობაზე; ეს არის ჩვენი რწმენის ჰეროიკული ნიშანი“. და, ასევე ნიშანი ყოველი შემოქმედი ადამიანის რწმენისა, – უნდა დავძინოთ ჩვენ.

დიახ, გოეთეს მსგავსად, მუსოლინიც საკუთარ თავზე მაღლდება მუდმივად.

სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე დ'ანუნციომ[1] მუსოლინის გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც წერდა: „ამდენი ბრძოლისა და გამარჯვების, წინააღმდეგობების დაძლევისა და ნებისყოფის დაძაბვის შემდეგ, შენ ჭეშმარიტად ბოლომდე მიიყვანე ის საქმე, რაც დიდი ადამიანების ისტორიაში ვერავინ შესძლო; დიახ, შენ საკუთარი მითოსი შექმენი“.

[1] გაბრიელე დ'ანუნციო (1863-1938)– იტალიელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

პალაცო ვენეციას აივნიდან

ერთ-ერთ კერძო საუბარში მუსოლინი გაკვრით შეეხო თავისი ისტორიული მოწოდების საკითხს. თავდაპირველად მის ნათქვამს მსუბუქი ირონია დაჰკრავდა, მერე კი მისი სიტყვები მგზნებარედ გაისმა: „დიახ, ამ ვნებით შეპყრობილი ვარ და მას ფიზიკური ტკივილივით განვიცდი. ეს განცდა მტანჯავს და შინაგანად მანადგურებს. მინდა საკუთარი ნებისყოფის ძალით, ვითარცა ლომის ბრჭყალებით, ამ დროებაში ორნატი ამოვტვიფრო: აი, ასე!"

გადაჭრით ნათქვამი ეს სიტყვები უბრალოდ მისი შემოქმედებითი ნების ინტენციას როდი გამოხატავს! სიტყვაში „ამოვტვიფრო" უკვე შეიგრძნობ დროში ამოკვეთილ სურათ-ხატს, რომელიც მოვლენებს მისი საკუთარი მოდელის მიხედვით ქმნის და წარმოაჩენს. ადამიანი მხოლოდ იმ „უცვლელი შუაგულიდან" ლაპარაკობს ასე. დიახ, ეს ორმარცვლიანი „ასე", მოკლე პაუზის შემდეგ, ვულკანის ნაპრალიდან აღმომხდარი სუნთქვასავით გაისმის: და, მართლაც წარმოიდგენ, როგორ ჩაასობს ლომი ბრჭყალებს თავის ნადავლს.

ასე სჩვევია ლაპარაკი მუსოლინის. იგი ძირისძირობამდე იცნობს სიტყვის სახვით ძალას. მისი აზრით: „დანტეს ესმოდა ის, რაც ბევრმა მწერალმა არ იცის; დიახ, მათ არ იციან, რომ სიტყვები ცოცხალი არსებები არიან. და, როდესაც დანტეს ისინი მოძრაობაში მოჰყავს

და მათ თავისუფლებას ანიჭებს, რათა შემდგომ კვლავაც მწყობრში ჩააყენოს, იმავდროულად იმასაც არ ივიწყებს, რომ ამ სიტყვების სახით ცოცხალ არსებებთან აქვს საქმე. როდესაც ვწერ სიტყვას „ვარსკვლავები", მისი ასოები სულაც არ არის მკვდარი, უსიცოცხლო ნიშნები. ისინი ერთად ქმნიან რეალურ, ორგანულ სუბსტანციას". გასაკვირი არ არის, რომ მუსოლინის სიტყვა ყოველთვის თაურ-ენის სიზუსტით გაისმის, იგი სიტყვაში ხედავს სურათ-ხატის მორჩს.

მარგერიტა სარფატი ერთ-ერთ შემთხვევაზე მოგვითხრობს, რომელშიც ნათლად წარმოჩინდება დუჩეს სიტყვის მადლი. საქმე ეხება მუსოლინის მუშაობას გაზეთში. „ხანდახან, როცა რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე იდგა, და თან კარგ გუნებაზეც იყო, მუსოლინის ქაღალდზე, მისთვის დამახასიათებელი, მეჩხერი ასოებით, ბრილიანტის სიმჭვირვალით გადაჰქონდა აზრები წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით. ამ დროს იგი, ასე ვთქვათ, ალგებრულ ფორმულებს იყენებდა, რადგან ვილფრედო პარეტოსგან[1] იცოდა, რომ პოლიტიკური და ფილოსოფიური აზრები განტოლებების სახით უნდა ჩამოეყალიბებინა". ალგებრული ფორმულები ხომ იმ იდუმალ პოეტურ ნიშნებს ჰგავს, რომლებშიც ადამიანი მოულოდნელად შთაგონებულ აზრს აღმოაჩენს, რა თქმა უნდა, იმ განსხვავებით, რომ ალგებრული ფორმულები თავისი უკანასკნელი მოცულობით ყველასათვის ძალაში რჩება; აი, „რუნები" კი, ვიდრე საბოლოო სახეს არ მიიღებს, მხოლოდ პოეტის შინაგანი არსისთვის არის ცნო-

[1] ვილფრედო პარეტო (1848-1923) – იტალიელი ეკონომისტი და სოციოლოგი.

ბილი: ჩანასახის ჩენჩოსგან გამოთავისუფლებისა და შიშველ სინამდვილესთან შეხების შემდეგ, შესაძლოა, ეს რუნული ნიშნები ოცნებასავით მიმოიფანტოს, მაგრამ პოეტისთვის ისინი მაინც არანაკლებ სიზუსტეს ინარჩუნებენ. ეს სიტყვები შემოქმედებითი თესლის შესაგვანია და მუსოლინის ალგებრული ფორმულებიც სწორედ ამ თესლს მოგვაგონებს.

ყველა დროების უდიდესი პოეტების: ჰომეროსისა თუ დანტეს პოეზია, ტაძრის წარწერები თუ საფლავის ქვის ეპიტაფიები: – ყოველი მათგანი „ნათქვამი" სიტყვაა. გასაოცარია: თანამედროვე პოეზიის ნიმუშები, მათ შორის საუკეთესონიც კი, უმთავრესად „დაწერილ" სიტყვად რჩება. მართალია, ეს უაღრესად ნატიფი ნიმუშებია, მაგრამ მათ პირველთაური სიტყვის ძალა აკლიათ, მუსოლინის სიტყვა მუდამ „ნათქვამი" სიტყვაა. ის არც გულს მოცილებული ჩენჩოა და არც ცარიელი სიტყვა; ის ვაჟკაცურად გაისმის; ქვაშიშობილი, – იგი სიტყვას ქვის ლოდში ძერწავს, მჭედლის შვილი კი – რკინაში ჭედავს მას. ქვას დაარქმევ თუ რკინას, მის სიტყვას მუდამ დარტყმის ძალა აქვს: ეს ცალკეული თუ ერთმანეთზე მიჯრილი, მრავალფეროვანი თუ ხაზგასმული სიტყვები წინადადებაში ისე ჩაერთვება, თითქოს თითოეული მათგანი – მომდევნოს ტრამპლინი იყოს. ეს ყველაფერი იგავისთვის ჩვეულ, აღმავალ რიტმში ხდება, რათა ბოლოს განიმუხტოს ვითარ სფერული ელვის აფეთქების ძალა.

თუ მუსოლინის მიმართვას დაბეჭდილი ლექსის ფორმას მივცემთ, იგი დითირამბის სახეს მიიღებს. 1915 წლის 24 მაისს მან გამოაცხადა:

დღეიდან ხალხი იარაღასხმულია,
დღეიდან უფრო მრავლად არიან იტალიელები.

ახლა იქ, სადაც ფოლადი ფოლადს ეხლება,
ჩვენს გულებს ერთადერთი შეძახილი აღმოხდება:
გაუმარჯოს იტალიას!

აი კიდევ, რამდენიმე სტრიქონი 1936 წლის 9 მაისის მიმართვიდან:

ოფიცრებო, უნტეროფიცრებო და
რიგითო შემადგენლობავ,
სახელმწიფო შეიარაღებულო ძალებო აფრიკასა და
იტალიაში,
რევოლუციის ერთგულო შავპერანგიანებო,
იტალიელო მამაკაცებო და ქალებო, რომლებიც კი ხართ
ჩვენს სამშობლოსა და მთელს მსოფლიოში!
.....
ეთიოპიის ბედი დღეს,
9 მაისს, ფაშისტური ერის მე-14 წელს წყდება.
ლეგიონერებო, აღმართეთ ზევით საბრძოლო დროშა,
იარაღი და გულები,
რათა თხუთმეტი საუკუნის შემდეგ,
რომის ბედისწერის ბორცვებზე,
მივესალმოთ იმპერიის კვლავდაბადებას!

პალაცო ვენეციადან გადმოტყორცნილი მისი სიტყვები გულის სიღრმემდე აღწევს.

ერთხელ მან ქალებს ასეთი მოწოდებით მიმართა:

როდესაც ბავშვს ეხმარებით,
იცოდეთ, მე თქვენს გვერდით ვარ.

და ვიდრე „დედა იტალიას" გული უძგერს, დუჩეს ეს სიტყვები ბრინჯაოს მედალივით დაამშვენებს მის მკერდს!

ოცნებებში ჩაძირული დავბორიალობ მორკალულ ბორცვზე, იმპერატორ ტიბერიუსის სახელს რომ უკავშირებენ. ჩვენი წელთაღრიცხვის 26 წელს გამოჩენილა იგი კაპრიზე. ღვთის ძის დაბადებასთან ერთად აღმოსავლეთში მსოფლიო მნიშვნელობის ცვლილებები დაიწყო და წარმართობამ ნელ-ნელა დაკარგა ძალა. მიწიერი არსებობით მობეზრებულმა მბრძანებელმა, როგორც ჩანს, იგრძნო ეს, და, ამ მზიურკუნძულზე დაიდო ბინა. აქ ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ ძველი ღმერთები, და მბრძანებელს სურდა დარჩენილი დღეები სიმშვიდეში გაეტარებინა; წინდახედულად უსაფრდებოდა საფრთხეს მისი მახვილი მზერა; ქირდვა და დაეჭვება ხშირად გადაურბენდა ხოლმე სახეზე. ბორცვზე აღმართული მისი სასახლის ნანგრევებზე დღესაც შემორჩენილა უკანასკნელი წარმართის კვალი.

ცისკენ აღმართულა დაკბილული, ველური კლდის ნეკნები. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს კუნძული უზარმაზარი კლდის ლოდი იყოს, წყლის მორევიდან ძლევამოსილად ამომართული.

ბორცვს სულ ახლოს ჩაუქროლებს ფრთების ჩრდილი, რომელიც მალე სწორ ხაზად გაიშლება და სწრაფად ფართოვდება. შიშნარევი გრძნობა მიპყრობს და, ასე მგონია, კუნძული ლაღად მისრიალებს ზღვის მოსარკულ ზედაპირზე. მაგრამ ეს ყველაფერი ერთ წამს გრძელდება, ღრუბელი გადაივლის და კუნძული კვლავაც გაყუჩდება ნაშუადღევი მზის სხივებქვეშ. ჯერაც ოცნებებში ჩაძირული, ბორცვის კიდეს მივუყვები.

უეცრად ყურში ჩამესმის ხმა: „ფრთხილად!“ ალბათ შემეშინდებოდა და ქვევით გადავიჩეხებოდი, ეს ხმა ასეთი წკრიალა და მელოდიური რომ არ ყოფილიყო. ჩემს

წინ უცნობი კაცი დგას; გაცისკროვნებულ სახეზე სათნო ღიმილი გადაჰფენია. საუბარში მხარს ვუბამთ ერთმანეთს. ენაწყლიანი უცნობი თავის კურთხეულ ქვეყანაზე მომითხრობს, და მეც, ჩემი მოკლე, აღფრთოვანებული შენიშვნებით, კიდევ უფრო ვაგულიანებ საამისოდ. ამასობაში იგი, ერთხელ, თითქოსდა სხვათა შორის, იმ კაცის სახელსაც ახსენებს, დღესდღეობით იტალიის საჭეს რომ მართავს. უცნობი გამანდობს, ფაშისტი ვარო. ახლა ვცდილობ, შევიტყო, რამ უბიძგა მას, ფაშისტურ მოძრაობაში ჩაბმულიყო, და, აი, უცნობი საკუთარ განცდებს მიზიარებს: „იმ მილანელი ყმაწვილის, ალდო სეტეს, დასაფლავების ცერემონიალს ვესწრებოდი, რომელიც იმის გამო მოკლეს, რომ ფაშისტი იყო. ფაშისტური რაზმები მწყობრად და ძლევამოსილად მიაბიჯებდნენ ქალაქში. მერე სასაფლაოს ოთხიმხრივ შემოერტყნენ და ბრძანებაზე მუხლი მოიყარეს; რამდენიმე ამოსუნთქვაში გავიდა შინაგანი ჩაღრმავების წუთი. უეცრად საყვირების ხმა გაისმა; უბედურებით შეძრული რაზმელები მწუხარე სახით წამოდგნენ ფეხზე და, როგორც ეს რომში სჩვეოდათ ხოლმე, გამოსათხოვარი სალამი მისცეს ჯალამბარზე დასვენებულ ამხანაგს. ამ დროს ჰაერში ძლიერი ხმა გაისმა: „ამხანაგო ალდო სეტე!“, რომლის პასუხადაც ფაშისტებმა დაიგუგუნეს: „Presente!“ ის ხმა მუსოლინის ეკუთვნოდა და ამ ხმის გაგონებამ თვალისდახამხამებისუმალ შემცვალა: ვიგრძენი, როგორ გაცოცხლდა ჩემში ის ჭაბუკი“. უცნობი ერთხანს სდუმდა, მერე მითხრა: მეც ალდო მქვიაო, ჩუმად დასძინა: იმხანად ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავიო, და ისევ დადუმდა. ჩვენს გარშემო კრძალვით აღსავსე სიჩუმეს დაესადგურებინა. უცნობს საუბარი აღარ გაუგრძელებია, ისე დამემშვიდობა.

მზერით ვაცილებ მას, ვგრძნობ: მისი ყოველი ნაბიჯი ზრდის ჩვენ შორის დარჩენილ მანძილს, და სულ უფრო და უფრო მიპყრობს სევდა. გული ჭეშმარიტად იმისთვისაა მოწოდებული, რომ შორეული ტკივილი იგრძნოს. ვინმესთან შეხვედრა ხანდახან რა ბედნიერად გვაგრძნობინებს ხოლმე თავს! მაგრამ, გამოთხოვებისას, მით უფრო მტკივნეულად გვიპყრობს სევდა იმის გამო, რომ ვეღარასოდეს ვეღარ შევხვდებით ერთმანეთს. ადამიანი ხომ გამუდმებით მარტოა, და განა თავად სიკვდილიც მისთვის უკანასკნელი სიმარტოვე არ არის? ისევ ვიძირებით მზეში. საოცარია: როდესაც ხეს უყურებ და აღფრთოვანებას ვერ მალავ, მაინც ისეთი გრძნობა გაქვს, რომ სხვა ხის დანახვამ შეიძლება უფრო მეტად აღგაფრთოვანოს. მზის შინაგანი ჭვრეტის დროს კი პირიქით ხდება: ასეთი აზრი თავში არ მოგდის, რადგან ერთადერთი მზე არსებობს, და იცი: მის შესაცნობად საგანგებო გრძნობების გამოვლინებაა საჭირო. ახლა მზის არსის შეცნობას შინაგანად ისე ვცდილობ, თითქოს მისი ახლობელი ვიყო, და ერთ წამში ვახერხებ ამას. ტანში სასოებრივი თრთოლვა დამივლის, რადგან მზეში ჩემს საკუთარ სიკვდილს ვხედავ. სუნთქვა მეკვრის და სული მეხუთება; გაოცებულს, ამ დროს, ჰესიოდეს[1] ჩურჩული ჩამესმის: „კრონოსის[2] დროს სიცოცხლე „ღმერთების“ სიცოცხლეს ჰგავდა“ და „მარადახალგაზრდული ძალით“ იყო აღსავსე; ეს მარადისობა დასრულდა, „მაგრამ ის ადამიანები უჩინარი ფორმით

[1] ჰესიოდე (დაახლ. ძვ. წ. VIII-VII სს. მიჯნაზე) – ძვ. ბერძენი პოეტი.

[2] კრონოსი – ძვ. ბერძნული ღვთაება, ურანისა და გეას ვაჟი, ზევსის მამა.

კვლავაც აგრძელებენ სიცოცხლეს“. ამ სიტყვებზე კიდევ უფრო ვცახცახებ, მაგრამ პირქუშ არარასთან შეხება ჩემს საზღვრებში მოქცეული თვითობის უფრო ამაღლებულ გარდაცვალებას შემახსენებს. რა ნეტარი წუთია! ერთ დროს ადამიანები მზიური ცხოვრებით ცხოვრობდნენო – გამიელვებს თავში. საოცარია: მზის სხივების შემყურე, ვგრძნობ, როგორ გაუდით ციმციმი იმ უხილავადქცეულ ადამიანებს: – ალბათ მათი არამატერიალური სურათხატნი შინაგან შემკვრივებულ მთლიანობად თუ ქცეულან და ახლა იმ კუნძულის გარშემო დაფარფატებენ, ჯერ კიდევ სამოთხისეული სუნთქვით რომ სუნთქავს. ერთხანს ღრმადჩაფიქრებული ვდგავარ. ვიხსენებ მავანს, ვინც ერთ დროს ამ ადგილას იდგა და ალბათ ზუსტად ასე ფიქრობდა; ვინ იცის, იქნება ერთხელაც აქ, ვიღაც ზუსტად ასევე მიეცემა ფიქრებს და კიდევ გაიხსენებს ვიღაცას! – იქნებ მე? ჩვენ ხომ ვიღაცაზე შემონახულ მოგონებას ან სულაც ვიღაცის მოგონებას წარმოვადგენთ! „მიცვალებული იმ ქვეყანაში ბრუნდება, სადაც ღმერთები ბავშვები იყვნენ“, ამბობდნენ ღვთიურად გულუბრყვილო ძველი ეგვიპტელები. ახლა შესაქმის მარადიული ახალგაზრდობის წყაროს ჩავცქერი და ვგრძნობ, როგორ ვუჩინარდები საკუთარ „მე“-ში. მაგრამ ამჯერად აღარ მეშინია. ვიღაც კვლავ განაგრძობს ფიქრს ჩემში. წლები გადის, ბევრი ადამიანი აღარ არის ამქვეყნად, აღარ იქნება ამ სტრიქონების ავტორიც. უხილავი გახდება ის კაციც, რომელმაც საკუთარ თავზე ასეთი რამ თქვა: „ჩემი მატერიასგამოთავისუფლებული სული ხანმოკლე მიწიერი ცხოვრების შემდეგ ღმერთივით უკვდავი და ყოვლისმომცველი ცხოვრებით იცხოვრებს“. იტალიის ყოველი კუთხიდან ყოველწლიურად მოედინება ხალხის ნაკადი სან კასიანოს სასაფლაოზე:

ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა. ამ ადამიანის უკანასკნელი სურვილი იყო: ჩემი ოჯახის წევრების გვერდით, სან კასიანოს სასაფლაოზე დამკრძალეთო. ისტორია მას ამ სურვილს შეუსრულებს თუ არა, უკვე სულერთია; – ხანდახან იგი თავისი მდგენის ნებას კითხვის ნიშნის-ქვეშ აყენებს ხოლმე: მიუხედავად ამისა, იმ მოგონებაში, რომელიც ღვთის შვილების ქვეყანაში დაბრუნებულებს აღეძვრებათ, სან კასიანო მისი ნეშტის ერთადერთ განსასვენებელ ადგილად დარჩება. ყოველწლიურად მოედინება სან კასიანოსკენ ხალხის ნაკადი: კაცი თუ ქალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა. ისინი ოთხივკუთხით გარს ერტყმიან სასაფლაოს და მოწიწებით მოიყრიან მუხლს; რამდენიმე წუთით შინაგან ჭვრეტაში იძირებიან, შემდეგ სერიოზული სახით, უხმოდ წამოდგებიან და მოწიწებით უძღვნიან სალამს საუკუნოდ განსვენებულის საფლავს. ამ დროს, რომის ადათ-წესის თანახმად, ძლევამოსილი შეძახილი გაისმის: „დუჩე!“ მას გრგვინვასავით ერთვის გრძნობამორეული ხალხის ხმა: „Presente!“ ეს შეძახილი უკიდეგანო სივრცეში გაიხმიანებს. ზემოთ, ცაში კი, თვალს ჰკიდებ მეფურად მოფარფატე მზიურ ფრინველს. შტანდარტებზე არწივები კრავენ ირაოს.

„ვიდრე ძალმიძს, რომ მზესთან ერთად,
ვით მეგობართან,
შენ ჩამოგხედო, ო, დედამიწავ,
მაშ ნუ ჩამიქრობ თვალის სინათლეს,
წელთა რბოლაში დაუძლურებულს.

შენზედ გართხმული, შენ მოგმართავ,
ო, დედამიწავ,
ყოველი მხრიდან, მარჯვნივ თუ მარცხნივ,

თუ ზურგს შეგვაქცევ,
ამ ნეკნებით შენს ზედაპირზე გართხმა
მოგვიწევს,
აი, მაშინ კი, ნუ მოგვაყენებ ტკივილს, ძვირფასო,
უარმყოფელო, შენ, ყველასთვის უარისმთქმელო.
რასაც შენი წიაღიდან ვხაპავ მარადჟამს,
დაე, იმან ამოყაროს მორჩები სწრაფად,
არ მსურს ტანჯვის მძიმე წუთში შენთან
შეხვედრა,
არ მსურს, რომ გული განგიგმირო,
ო, უთვალღებოვ!

ძველინდური „ათარვაგედა“-დან

პირთა საძიებელი

აბელი **20**
ადამი **65, 66**
ათათურქი მუსტაფა ქემალ **67**

ბაბელი ისააკ **66**
ბაკუნინი მიხეილ **19**
ბეთჰოვენი ლუდვიგ ვან **19**
ბიანჩი მიქელე **150**
ბოტაი ჯუზეპე **149**
ბონაპარტე ნაპოლეონ **10, 22, 32, 62, 89, 132**
ბუხარინი ნიკოლაი **39, 45, 48**

გებელსი იოზეფ **92, 93**
გერინგი ჰერმან **54, 102**
გოეთე იოჰან ვოლფგანგ **57, 76, 79, 81, 126, 132, 159**
გრანდი დინო **149**

დალადიე ედუარდ **70**
დანტე ალიგიერი **122, 160, 162**
დ'ანუნციო გაბრიელე **159**
დე ბონო ემილიო **150**
დე ვეკი ჩეზარე მარია **149, 150**
დე ჟუვენელი ბერნარ **87**
დე შატობრიანი ალფონს **77**
დიტრიხი ოტო **64**
დოსტოევსკი თეოდორე **10, 48, 80, 115**

ევა **74**
ევდოკიმოვი გრიგორ **41**

ევოლა იულიუს **79, 82, 132, 155**
ეკერმანი რიჰარდ **132**
ემანუელი ვიქტორ **152**
ეხნატონი **110**

ვაგნერი რიჰარდ **19**
ვალერი პოლ **31**

ზინოვიევი მიხეილ **32, 33, 39, 40-44**
ზუმერი **66**

თეოდორიხ დიდი **95**
თიმური (თემურ ლენგი) **10, 47**

იტალო ბალბო **149, 150**

კაენი **20**
კალინინი მიხეილ **39, 48**
კამენევი ლევ **32, 36, 37, 39, 40-42, 44, 48**
კარადონა ჯუზეპე **150**
კარნარვონი ჯორჯ **117**
კარპინსკი ალექსანდრე **28**
კლეოპატრა **22**
კომაროვი ნიკოლაი **33**
კომპანი პერონე **150**
კრუპსკაია ნადეჟდა **37**

ლენინი ვლადიმერ **9-12, 15, 16, 19, 20, 25-29, 31, 32, 34-41, 46, 48, 49**
ლუთერი მარტინ **62**

მაკიაველი ნიკოლო **122**
მარქსი კარლ **9, 24**
მერეჟკოვსკი დიმიტრი **109**
მდივანი ბუდუ **36, 38**
მიქელანჯელო ბუონაროტი **111, 146**
მოსე **26**
მუსოლონი ალესანდრო **120, 121**
მუსოლინი არნალდო **122, 123**
მუსოლინი ბენიტო **62, 68, 70, 113, 114, 116-128, 130-132, 134, 148-152, 157-163, 165, 168**
მუსოლინი რომანო **130**
მუსოლინი სანდრო **122**

ნინო კაპადოკიელი **73**
ნიცშე ფრიდრიხ **12, 47, 62, 127**

ორჯონიკიძე საერგო **37**
ოტო **195**

პაგანინი ნიკოლო **59**
პადოვანი **150**
პარეტო ვილფრედო **161**
პასკალი ბლეზ **88**
პეტრე დიდი **10**
პიატაკოვი გეორგ **41, 44**
პინდარე **156**
პლატონი **138, 142, 144, 148**
პლოტინი **80**
პრუსტი მარსელ **81**
პუშკინი ალექსანდრე **81**

ჟანა დ'არკი **88**

რადეკი კარლ **44**
რაკოვსკი კრისტიან **44**
რიბენტროპი იოაკიმ **53**
რიკოვი ალექსეი **45**
რილკე რაინერ მარია **21, 72**
რიჩი რენატო **149**
რობაქიძე გრიგოლ **96, 97**
რომანოვები **34**
რომანოვი მიხეილ **42**

სარფატი მარგერიტა **116, 161**
სენ ლუი **88**
სენ-სიმონი ჰენრი **24**
სეტე ალდო **165**
სკრიაბინი ალექსანდრე **10**
სოკოლნიკოვი გრიგორი **41**
სოლონი **142**
სოლოვიოვი ვლადიმირ **21, 107**
სტალინი იოსებ **15-18, 20-23, 25-29, 32-49**
სტენდალი **16**

ტიბერიუსი **164**
ტიუტჩევი თეოდორე **10**
ტომსკი მიხეილ **39, 45**
ტროცკი ლევ **9, 11, 27-29, 31-46, 48**
ტუტანხამონი **117**

ფარინაჩი **149**
ფლობერი გუსტავ **80**
ფონ რაუმბურგი უტა **74**
ფონ რიბენტროფი **102**
ფონ ჰოენშტაუფენი ფრიდრიხ II **95**
ფურიე ჟან ბატისტ ჟოზეფ **24**

შოტი გეორგ **91**
შპენგლერი ოსვალდ **11**

ჩემბერლენი ჰიუსტონ სტიუარტ **69, 70**
ჩინგის-ხანი **47**

ხეფრენი **153**

ჯოვანა **123**
ჯურიატი **149**

ჰანიბალი **10**
ჰერაკლიტე **114, 155**
ჰეროდოტე **138**
ჰესიოდე **166**
ჰიტლერი ადოლფ **53, 55-57, 59, 61-64, 68-72, 77, 78, 81, 86-88, 90-95**
ჰოენშტაუფენები **137**
ჰომეროსი **104, 162**

გამომცემლობა **არტანუჯი**

✉ თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 5.
☎ 2-25-05-22, 2-91-22-83, 5(93) 25-05-22.
www.artanuji.ge info.artanuji@gmail.com
f გამომცემლობა არტანუჯი / Artanuji Publishing